შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა ,, განათლების კვლევები და ადმინისტრირება “

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების (მონიტორინგი) პროცესი და მასთან დაკავშირებული პრობლემები

ნაშრომი წარმოდგენილია განათლების მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნინო ჯავახიშვილი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან აფთარაშვილი

განათლების მეცნიერებათა დოქტორი,

EEU-ს ასისტენტ-პროფესორი

თბილისი, 0178, საქართველო

აგვისტო, 2020

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების (მონიტორინგი) პროცესსა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს, იკვლევს თუ როგორ არის ,,ავტორიზაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის გზით'' დარეგულირებული, პროცედურები და რეგულაციები გაწერილი და განსაზღვრული კანონმდებლობის დონეზე, რამდენად თანამიმდევრულია ეს პროცედურები და რამდენად ემსახურება ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნების შესრულებას მონიტორინგის გზით. დადგენილი რეგულაციების საფუძვლად, როგორ სრულდება კანონით განსაზღვრული მონიტორინგის პროცედურები, როგორია მონიტორინგის პროცესის განხორციელების დანერგილი პრაქტიკა და პრეცენდენტები, მონიტორინგის მექანიზმები, რამდენად არის მიღებული მისი გავლენა და რაობა, რამდენად სასიკეთოა, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ასევე უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებისათვის.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა, საფუძვლიანი ანალიზის შედეგად შეგვესწავლა და დაგვედგინა, საქართველოს განათლების სისტემისათვის გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის, ,,ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების პროცესი მონიტორინგის გზით'', რამდენად ერთგვაროვანი, თანმიმდევრული, ცხადი და გამჭვირვალე მექანიზმია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, სად და რა პრობლემები იკვეთება მონიტორინგის წარმოებისას, დადგენილი რეგულაციები და დანერგილი პრაქტიკა, რამდენად გამჭვირვალე და ერთგვაროვანია, როგორც შემფასებლისათვის, ასევე შეფასების მიმღებისათვის.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია სწორედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის პროცესი, მისი მნიშვნელობა და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკვე განხორციელებული მონიტორინგების პროცედურების შეფასება.

მონიტორინგის პროცედურებთან დაკავშირებით იდენტიფიცირდა უამრავი საკითხი და გამოწვევა, მათი გადაჭრის გზები და შემდგომი კვლევის საჭიროებანი.

წინამდებარე ნაშრომი, თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მოიცავს მნიშვნელოვან **სიახლეს**. კერძოდ, ის ფაქტი, რომ დღესდღეობით ქართულ რეალობაში არ მომხდარა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად განხორციელებული მონიტორინგების შეფასების სისტემური ანალიზი. ნაშრომის ფარგლებში აღწერილი და გაანალიზებულია ის ლიტერატურა, საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უკავშირდება მონიტორინგის პროცესს, მექანიზმებსა და რეგულაციებს. საზოგადოებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის ნაშრომში წარმოდგენილი შედეგებისა და შემუშავებული რეკომენდაციების გამოყენება შესაძლებელი იქნება სახელმძღვანელო მასალადაც (ნაშრომში წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები მონიტორინგის პროცესში ჩართული მხარეებისთვის, რათა მონიტორინგის პროცესი სწორად წარიმართოს).

Annotation

The master's thesis deals with the process of checking (Monitoring) the fulfillment of the conditions of authorization in the higher education institution of Georgia and the problems related to it, examines how "verification of authorization conditions through monitoring" is regulated, procedures and regulations are written and defined at the level of legislation, how consistent these procedures are and how well they serve the purposes of verifying authorization conditions through monitoring. Based on the established regulations, how the monitoring procedures defined by law are completed, what are the implemented practices and precedents of the monitoring process, the what extent of monitoring mechanisms are adopted and their impact and how beneficial they are for the development of both the higher education institution and the higher education system.

The main goal of the research was to study and establish, as a result of a thorough analysis, the mechanism of external quality assurance for the Georgian education system, "the process of fulfillment of authorization standards through monitoring", how uniform, consistent, clear and transparent is this mechanism for higher education institutions, where and what problems arise in the conduct of monitoring, how transparent and uniform the established regulations and practices are for both the assessor and the recipient of the assessment.

This master's thesis discusses the process of planned and unscheduled monitoring in higher education institutions, its importance and assessment of monitoring procedures already implemented in higher education institutions of Georgia in order to determine compliance with the authorization standards. Numerous issues and challenges have been identified regarding monitoring procedures, ways to address them and further research needs.

The present thesis, due to the actuality of the topic, includes important **news**. In particular, the fact that today in the Georgian reality there is no systematic analysis of the evaluation of monitoring conducted in accordance with the standards of authorization in higher education institutions. The thesis describes and analyzes the literature, the legal framework related to the monitoring process, mechanisms and regulations. The results and recommendations developed in the thesis, will be available to the public and stakeholders as well as guidance

material (the thesis provides specific recommendations for the parties involved in the monitoring process to ensure that the monitoring process is conducted properly).

შინაარსი

შესავალი.....8

თავი I. ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების პირობების შემოწმების (მონიტორინგის) და შეფასების არსი და მნიშვნელობა 14

თავი II საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია და მისი პირობების შესრულების შემოწმება მონიტორინგის გზით (რეგულირების მექანიზმები და პროცედურები).....20

§2.1. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი - ავტორიზაცია (ისტორიული მიმოხილვა).....20

§2.2. ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მონიტორინგის პროცესის რეგულაციები და მექანიზმები 48

თავი III. საერთაშორისო გამოცდილება - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური ავტორიზაცია - აკრედიტაცია და მათი შემოწმების მექანიზმები.....59

§3.1 დიდი ბრიტანეთი (ინგლისი, უელსი და ჩრდ. ირლანდია).....59

§3.2 ესტონეთი 62

§ 3.3 გერმანია 65

თავი IV. კვლევითი ნაწილი 68

§4.1. ავტორიზაციის ექსპერტებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი.....70

§4.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებითან ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი 80

§ 4.3. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლ(ებ)თან ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი.....88

დასკვნა.....96

რეკომენდაციები 98

გამოყენებული ლიტერატურა.....100

დანართი 1 ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი.....107

დანართი 2 ინტერვიუების სტენოგრაფიული ჩანაწერები.....113

შესავალი

თემას აქტუალობა შესძინა 2016 წლის 19 თებერვალს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა. კერძოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების ცვლილებამ და არსებულმა ხარვეზებმა. 2015 წლის დეკემბერში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მთავრობის წინაშე წარსდგა ინიციატივით, განხორციელებულიყო რეფორმა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის. 2017 წელს უკვე ამოქმედდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ახალი სისტემა - ავტორიზაციის სტანდარტები და პროცედურები, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის ახალი მექანიზმების/ავტორიზაციის სტანდარტების პილოტირებისას და შემდგომ იმპლემენტაციის დროს, გამოვლინდა ხარვეზები. სწორედ, ამ ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, საჭირო გახდა სტანდარტებისა და პროცედურების შესწორება და საბოლოო სახით ავტორიზაციის სტანდარტები დამტკიცდა 2018 წელს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ).

უმაღლესი განათლების სისტემის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და მისი ხარისხის მუდმივი ზრდა სახელმწიფოს პრეროგატივაა. საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის (2004) თანახმად, შესაბამისობაში უნდა იყოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმებთან. სწორედ ამიტომ, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG 2015) შესაბამისობის დადგენის მიზნით, მოწვეულ იქნა საერთაშორისო ექსპერტი, რათა უზრუნველყო ახალი სტანდარტებისა

და პროცედურების იმპლემენტაციის პირველ ეტაპზე შეფასება. შემდგომ ეტაპზე შეფასების პროცესში ჩაერთო უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) წამყვანი ექსპერტები, ასევე ადგილობრივი, ევროპის საბჭო და შეფასებით დადასტურდა ინსტიტუციონალური ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისობა და თავსებადობა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG 2015) (ბაქრაძე, ლორთქიფანიძე, ურუშაძე (2015)).

ყოველივე ზემოაღნიშნული კი გულისხმობს უმაღლესი განათლების სივრცეში საერთო ევროპული სივრცის მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. გარდაქმნის პროცესში, ეს იქნება განათლების სექტორი თუ რომელიმე სხვა მიმართულება, განსაკუთრებული მნიშვნელობა და აქტუალურობა ენიჭება ეთიკის ახალი რეგულაციების, გამოწვევების და მათი გადაჭრის ინიციატივების შესწავლას. სწორედ, აღნიშნული ასპექტის სიმწვავეს განსაზღვრავს მონიტორინგის მექანიზმების აქტუალობა, თუ როგორ არის ,,ავტორიზაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის გზით'' დარეგულირებული, პროცედურები და რეგულაციები გაწერილი და განსაზღვრული კანონმდებლობის დონეზე, პროცედურები რამდენად თანამინდევრულია და რამდენად ემსახურება ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნების შესრულებას, მონიტორინგის გზით. დადგენილი რეგულაციების საფუძვლად, როგორ სრულდება კანონით განსაზღვრული მონიტორინგის პროცედურები არის ერთგვაროვანი თუ პირიქით, როგორია მონიტორინგის პრაქტიკა და პრეცენდენტები, რომელიც არის დამკვიდრებული დღევანდელ განათლების სისტემაში, მონიტორინგის მექანიზმები რამდენად არის მიღებული და მისი გავლენა და რაობა რამდენად სასიკეთოა, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ასევე უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებისათვის.

საქართველოს განათლების სისტემისათვის გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის, ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების პროცესი მონიტორინგის

გზით რამდენად ერთგვაროვანი, თანმიმდევრული, ცხადი და გამჭვირვალე მექანიზმია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, სად გვაქვს პრობლემა და რა პრობლემები იკვეთება მონიტორინგის წარმოებისას, დადგენილი რეგულაციები და დანერგილი პრაქტიკა, რამდენად გამჭვირვალე და ერთგვაროვანია, როგორც შემფასებლისათვის, ასევე შეფასების მიმღებისათვის.

რამდენად ჰარმონიზაციაშია მონიტორინგის მექანიზმები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე პროცესები, რამდენად უზრუნველყოფენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ახალი ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებას. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ავტორიზაციისა სტანდარტების შესრულების გეგმური მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის დანერგვისა და რისკების ანალიზის მიზნით, 2016 წლის აპრილის თვეშივე გადაამზადა თანამშრომლები რისკების მენეჯმენტში. დღემდე მიმდინარეობს გეგმიური თუ არაგეგმიური მონიტორინგები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. თემას მეტ **აქტუალობას სძენს** საქართველოს განათლების სისტემისათვის გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების პროცესი და შემდგომ მონიტორინგის მექანიზმები, პროცედურები და ის რეგულაციები, რომლის ქუდქვეშაც ხორციელდება ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმება მონიტორინგის გზით, რამაც განაპირობა ამ საკითხით ჩვენი დაინტერესება.

წინამდებარე ნაშრომი, თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მოიცავს მნიშვნელოვან **სიახლეს**. კერძოდ, ის ფაქტი, რომ დღესდღეობით ქართულ რეალობაში არ მომხდარა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალი ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად განხორციელებული მონიტორინგების შეფასების სისტემური ანალიზი. ნაშრომის ფარგლებში აღწერილი და გაანალიზებულია ის ლიტერატურა, საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უკავშირდება მონიტორინგის პროცესს, ასევე ჩატარებული კვლევა უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლებთან, ავტორიზაციის ექსპერტებთან და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლ(ებ)თან.

პროფესიული საზოგადოებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის ნაშრომში წარმოდგენილი შედეგებისა და შემუშავებული რეკომენდაციების გამოყენება შესაძლებელი იქნება სახელმძღვანელო მასალადაც (ნაშრომში წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები მონიტორინგის პროცესში ჩართული მხარეებისთვის, რათა მონიტორინგის პროცესი სწორად წარიმართოს).

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა, საფუძვლიანი ანალიზის შედეგად შეგვესწავლა და დაგვედგინა, საქართველოს განათლების სისტემისათვის გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის, ,,ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების პროცესი მონიტორინგის გზით'', რამდენად ერთგვაროვანი, თანმიმდევრული, ცხადი და გამჭვირვალე მექანიზმია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, სად და რა პრობლემები იკვეთება მონიტორინგის წარმოებისას, დადგენილი რეგულაციები და დანერგილი პრაქტიკა რამდენად გამჭვირვალე და ერთგვაროვანია როგორც შემფასებლისათვის, ასევე შეფასების მიმღებისათვის.

კვლევის საგანი - ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ჩატარებული გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგი პროცედურებისა და მექანიზმების შეფასება, როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლ(ებ)ისგან, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებისგან და ავტორიზაციის ექსპერტებისგან.

მონიტორინგის რეგულაციებში და პროცედურებში ხარვეზების გამოსავლენად გამოიკვეთა **საკვლევი საკითხები:**

- მონიტორინგის მექანიზმების აღწერა და გაანალიზება;
- საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგების პროცესი და მისი შეფასება;

კვლევის ამოცანა - შესაბამისი ანალიზის საფუძველზე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების / მონიტორინგის რეგულაციებისა და პროცედურებისადმი გამოვლენილი აქტუალური პრობლემების იდენტიფიცირება და შეძლებისდაგვარად, მათი გადაჭრის გზების მოძიება/შემუშავება.

სამუშაო ჰიპოთეზა - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების პროცედურებში იკვეთება ხარვეზები, რომელიც ბუნდოვანებას სძენს მონიტორინგის პროცესის შემოწმების მექანიზმებს, კანონმდებლობის დონეზე განსაზღვრულ რეგულაციებსა და პროცედურებს.

სამიზნე ჯგუფი:

- უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებები, სადაც განხორციელდა გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელ(ებ)ი (შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი; შპს ევროპის უნივერსიტეტის; საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი).
- ავტორიზაციის ექსპერტები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ გეგმიურ და არაგეგმიურ მონიტორინგში
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელ(ებ)ი.

კვლევის მიზნებიდან და საკვლევი საკითხებიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა თვისებრივი **კვლევის მეთოდი, კერძოდ ნახევრადსტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ,** რომელიც ნაწილობრივ შეიცავს წინასწარ შემუშავებულ სადისკუსიო გეგმის არსებობის საჭიროებას.

წინამდებარე ნაშრომი მნიშვნელოვანი და აქტუალური იქნება დარგის სპეციალისტებისათვის, რადგან ნაშრომში ჩამოყალიბებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის რეგულაციების, პროცედურებისა და მექანიზმის შესაძლო ხარვეზების გამომწვევი მიზეზები, რომელიც ბუნდოვანებას სძენდა მონიტორინგის პროცესის შემოწმების მექანიზმებს.

თავი I

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების პირობების შემოწმების (მონიტორინგის) და შეფასების სისტემის არსი და მნიშვნელობა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ეს არსი ინსტიტუცია, რომლის უმთავრესი მიზანია საზოგადოებაში ცოდნის გავრცელება და გაღრმავება, მისი დანიშნულებაა მსოფლიოს მომავალი ლიდერების აღზრდა, საზოგადოების კულტურული, ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობისათვის მხარდაჭერა და ხელშეწყობა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ უკანასკნელ დრომდე უნივერსიტეტებში არსებობდა არაგამჭვირვალე და ხშირად დეცენტრაციზებული მართვის სისტემა, რაც დაკავშირებული იყო და თავის მხრივ იწვევდა კორუფციის გავრცელების შესაძლებლობას და სწავლის ხარისხის კიდევ უფრო მეტად შემცირებას, თუმცა ბოლო წლებში უმაღლესი განათლების სისტემაში განხორციელებულმა ცვლილებებმა მიზნად დაისახა აღნიშნული ვითარების გამოსწორება და ინსტიტუციებისათვის ჩვეული როლის დაბრუნება საზოგადოებაში, რაც გულისხმობდა საზოგადოებაში ცოდნის გავრცელებასა და გაღრმავებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს განათლების სისტემაში განხორციელდა არაერთი რეფორმა, ბოლო რეფორმა კი უკავშირდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების ცვლილებას, რომელიც დამტკიცდა 2018 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ -ის სახით „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება მოიცავს როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესახებ

ინფორმაციას, ასევე ავტორიზაციის სტანდარტების, პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ ინფორმაციას, მონიტორინგის არსი და მისი ფართო სპექტრი უმაღლეს განათლების სისტემაში თავს იჩენს 2010 წლიდან და აღნიშნულის საფუძველზე იკვეთება საკითხი, ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების პირობების შემოწმების (მონიტორინგის) და შეფასების სისტემის არსისა და მნიშვნელობის შესახებ. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ).

პირველ რიგში აღსანიშნავია ის ფაქტორი, რას ნიშნავს ტერმინი მონიტორინგი, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით არ გვაქვს ცხადად განმარტებული ავტორიზაციის დებულებაში ტერმინი მონიტორინგის მნიშვნელობა და რაობა. ავტორიზაციის დებულებით განმარტებულია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მნიშვნელობა, თუმცა რაც შეეხება ტერმინს ,,მონიტორინგი'' მასთან დაკავშირებით ავტორიზაციის დებულებაში მხოლოდ შემდეგი ჩანაწერია: ,,ავტორიზაციის პირობების შემოწმება მონიტორინგით'' . აუცილებელია, ნებისმიერი პროცედურას, რომელიც ხორციელდება კონკრეტული შინაარსით, ერქვას კონკრეტული სახელი და ძალიან ცხადად იყოს განმარტებული მისი არსი და რაობა. როდესაც ვსაუბრობთ ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების პირობების შემოწმების (მონიტორინგის) და შეფასების სისტემის არსისა და მნიშვნელობის შესახებ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა უნდა მომდინარეობდეს ბევრი წლის წინ დამკვიდრებული სისტემებიდან/ ტრადიციებიდან - ეს არის აუდიტის ტრადიცია და სოციალურ მეცნიერებების ტრადიცია, კერძოდ; აუდიტის ტრადიცია შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც საბუღალტრო და საგამოძიებო ხასიათის ტრადიციად, რომლის უმთავრესი მიზანიცაა პასუხი გაეცეს შემდეგი სახის კითხვებს: განხორციელდა თუ არა აქტივობები, რომელსაც კერძოდ ესა თუ ის პროგრამა ითვალისწინებდა, განხორციელდა თუ არა ფინანსური სახსრების განკარგვა და შემდგომ გადანაწილება არსებული და უკვე დადგენილი წესებისა და მოთხოვნების შესაბამისად, რაც ცხადჰყოფს, რომ აუდიტის ტრადიცია პირდაპირ

აქცენტს აკეთებს გაწერილ ანგარიშვალდებულებებსა და წინასწარ განსაზღვრული წესებისა და ვალდებულებების შესრულებაზე, შესაბამისად მონიტორინგი უნდა მომდინარეობდეს აუდიტის სისტემიდან/ტრადიციიდან, მისი მთავარი დანიშნულებაა სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული და შემდგომ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების მიმდინარეობის შემოწმება, დაგეგმილი აქტივობების განსაზღვრულ დროში განსახორციელებლად და დასახული ამოცანებისა და მიზნების რეალიზებისათვის. მონიტორინგი, როგორც წესი უკავშირდება კონკრეტული მიზნებისა და ამოცანების რეალიზების შემოწმებას. მონიტორინგის სისტემა ეს არის უმთავრესი ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სტრატეგიული გეგმის საფუძველზე სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების გამოვლენისა და აღმოფხვრისათვის. შესაბამისად, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ თანამედროვე მსოფლიოში, თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმნიშვნელოვანესი როლი დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებისა და განვითარების პროცესში, ისევე როგორ მისი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი და მასშტაბური მიმდინარეობა, მოითხოვს პასუხის დაბრუნებას უფრო სიღრმისეულ და კომპლექსურ კითხვებზე, რომელიც დაკავშირებულია მისი სტრატეგიული გეგმის საფუძველზე სამოქმედო გეგმის განხორციელების გრძელვადიან და მოკლევადიან , დაუგეგმავ და დაგეგმილ აქტივობებზე, შედეგებსა და გავლენაზე. რაც შეეხება სოციალური მეცნიერების სისტემას, ტრადიციას იგი შეიმუშავებს შედეგებსა და მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს არსებული შედეგების შეფასებასა და მისივე მიზეზების განსაზღვრას დისციპლინარული და სისტემური კვლევების მეშვეობით. (ნარინდოშვილი, მ., ჩაჩხიანი, ქ., ჯანაშია, ნ., ცაგარეიშვილი, 2019; *http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library?)*

უმაღლესის საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის შეფასება საჭიროებს მაღალ ჩართულობას დაინტერესებული პირების, მათ შორის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაში ჩართული პირებისა,

პირდაპირი და არაპირდაპირი მომხმარებლების მონაწილეობის თვალსაზრისით. მიუხედავად ყოველივე ზემო აღნიშნულისა, მონიტორინგის მექანიზმი არ შეიძლება გავიგოთ პირდაპირი გაგებით, როგორც აუდიტის ტრადიციის გამოძახილი განათლების სისტემაში, ვინაიდან მონიტორინგის მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ უნივერსიტეტის წარმატებისა და წარუმატებლობის განსჯა, არამედ არსებული ცდომილებების გაანალიზება და გამოსწორების უზრუნველყოფა, ვინაიდან ინსტიტუციის საქმიანობის შემოწმება/შეფასება მიზნად ისახავს არსებული სტრატეგიული გეგმის განხორციელების, მომავალი სტრატეგიული გეგმის ხარისხის გაუმჯობესებას წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე ინსტიტუციის ხელმძღვანელობის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას, როგორც საუნივერსიტეტო, ისე ფართო სოციუმის წინაშე.

საყურადღებოა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინფორმაციას საუნივერსიტეტო საქმიანობის შესახებ ინსტიტუციიდან ეცნობა განხორციელებული მონიტორინგის პროცესისა და შეფასების შედეგების პროცესის წარმართვის გზით. მათივე განმარტებით, ორივე მათგანი ინსტიტუციის საქმიანობისათვის ცალსახად ეფექტური მართვის განუყოფელი ორი ელემენტია, თითოეული მათგანი ინდივიდუალური მიდგომისაა, თუმცა ამავდროულად ერთმანეთს ავსებს. ორივე მათგანი რომ განვიხილოთ, ვნახავთ, რომ მონიტორინგის პროცესი, როგორც სამოქმედო გეგმის ნაწილში განსაზღვრული კონკრეტული აქტივობების მიმართ პროგრესის შემოწმების განგრძობით პროცეს წარმოადგენს, ხოლო შეფასების პროცესი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესის მაქსიმალურად სისტემურ და ობიექტურ შეფასებას. ინსტიტუციის საქმიანობის შეფასება არ გულისხმობს ინსტიტუცია შეფასდეს სტრატეგიული და

სამოქმედო გეგმის განხილვას გარე პირის პერსპექტივიდან, პირიქით ნიშნავს შეფასდეს ურთიერთთანამშრომლობაზე დამყარებულ მონაწილეობით პროცესს.

უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუციის საქმიანობის შეფასებისას სანდოობა მოითხოვს ჯეროვანი ბალანსის დაცვას დაინტერესებული პირების მონაწილეობისა და დამოუკიდებელ შეფასებას შორის. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ არსებობს ძირითადი განსხვავება მონიტორინგსა და შეფასებას შორის: მონიტორინგი მიზანმიმართულია სპეციფიკურ, წინასწარ განსაზღვრულ ამოცანებსა და აქტივობების შესრულებაზე, ხოლო შეფასება მიმართულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის უფრო ფართო ხედვისაკენ და არ შემოიფარგლება მხოლოდ სპეციფიურ აქტივობებში მიღწეული პროგრესის შეფასებით, მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანიშნულებაა უპასუხოს კითხვებს: რამდენად ღირებულია დასახული მიზნები და აქტივობები? რამდენად ეფექტურად და ეფექტიანად მოხდა მათი რეალიზება და იმპლემენტაცია? დაუგეგმავი აქტივობების იმპლემენტაცია ან/და განხორციელება თუ მოხდა ინსტიტუციაში? შექმნა თუ არა გამოყენებულმა მეთოდებმა და მიდგომებმა წარმატებული და ხელსაყრელი სტრატეგიის მოთხოვნილებების გარკვეული ერთობლიობის დაკმაყოფილება? შესაბამისად, ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების პირობების შემოწმების (მონიტორინგის) და შეფასების სისტემის არსსა და მნიშვნელობას უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა ეკავოს ინსტიტუციის საქმიანობის წარმატებით წარმართვაში.

დღეის მდგომარეობით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის შეფასება და მონიტორინგი პირდაპირ დაკავშირებულია ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან. ვინაიდან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება ინსტიტუციის სტრატეგიული გეგმის განხორციელების ეფექტურობის, ეფექტიანობისა და მაღალი ხარისხის, არსებული ზეგავლენის მასშტაბებისა და სტანდარტების რელევანტურობის განსასაზღვრი სისტემური დისციპლინარული პროცესი უნდა გახლდეთ, მონიტორინგის პროცესი, შეიძლება ვთქვათ, რომ უნდა იყოს უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის განმავითარებელი და ხელშემწყობი ფაქტორი.

მონიტორინგისა და შეფასების ობიექტური სისტემის არსებობამ უნდა უზრუნველყოს დაწესებულების ხელმძღვანელობისა და განხორციელებული საქმიანობისადმი საზოგადოებრივი ნდობის უზრუნველყოფა, სისტემის არსებობამ ხელს უნდა შეუწყოს ინსტიტუციაში და მის ფარგლებს გარეთ ყველა დაინტერესებული პირის სათანადო მოტივაციასა და ყურადღების კონცენტრირებას იმ მიზნებისა და ამოცანების განხორციელების მიმართულებით, რომელიც უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ინსტიტუციის საქმიანობის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

თავი II

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია და მისი პირობების შესრულების შემოწმება მონიტორინგის გზით (რეგულირების მექანიზმები და პროცედურები)

§2.1 უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი - ავტორიზაცია (ისტორიული მიმოხილვა)

განათლება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებასა და მნიშვნელოვან პირობას ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის, შესაბამისად ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლებისა და მეცნიერების სისტემის უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და დეკლარირებულია როგორც ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ეს არის სისტემა, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემურ პროცესს, სისტემას განსაკუთრებული მასშტაბები და პრიორიტეტულობა შესძინა ბოლონიის პროცესის ინიცირებამ, რომ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სრულფასოვნად შესრულება და გამჭვირვალობა სავალდებულოა ბოლონიის პროცესის მონაწილე ყველა ქვეყნისათვის, მათ შორის საქართველოსათვის.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველომ განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმირებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა განვითარების ჭრილში და უმნიშვნელოვანეს პროგრესს მიაღწია. ქვეყანამ განათლების სისტემის მიმართულებით გაატარა რიგი რეფორმები, რომელიც მიმართული იყო პოსტ-საბჭოთა განათლების სისტემის რეორგანიზაციისადმი და გამჭვირვალე, სამართლიანი განათლების სისტემის

შექმნისაკენ, რაც შესაბამისობაში იქნებოდა როგორც მსოფლიო მოთხოვნებთან საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის სტანდარტებთან, ასევე იქნებოდა საგანმანათლებლო ბაზრის მოთხოვნების ჭრილში კონკურენტუნარიანი.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული და უმნიშვნელოვანესი საყრდენი გახლდათ, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წინსვლისა და განვითარებისათვის, სწორედ 2015 წელს მაისში, ერევანში მინისტერიალის კონფერენციაზე ბოლონიის პროცესის ფარგლებში განხორციელებულ ანგარიშში, ხარისხის უზრუნველყოფს მექანიზმები გამოიკვეთა, როგორც ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა. (გრძელიძე, ბუჩაშვილი , ქარჩავა, 2019)

ბოლონიის პროცესში ჩართვის დროიდან განისაზღვრა ხარისხის როგორც შიდა, ასევე გარე უზრუნველყოფის სისტემის აუცილებლობა საკანონმდებლო დონეზე. ბოლონიის პროცესში ჩართვამ თავის მხრივ, განაპირობა რიგი პოზიტიური ცვლილებები საქართველოს განათლების სისტემაში და შემდგომ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ცალკეულ შემთხვევებში პროცესი საკმაოდ მტკივნეულად წარიმართა.

საქართველოში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების/ სისტემების დანერგვა უკავშირდება 2003 წელს ქვეყანაში განვითარებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს, 2004 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს უმაღლესი განათლების შესახებ და ბოლონიის პროცესში 2005 წელს გაწევრიანებას. (დარჩია, *2013).*

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საწყის ეტაპზე ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემა საქართველოში ინსტიტუციურ და პროგრამულ აკრედიტაციას მოიცავდა. 2004 წლიდან კი განხორციელდა ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ხოლო 2006 წლის 27 მარტს აღნიშნული მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის №222 ბრძანებით, დაფუძნდა სსიპ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური, შემდგომში სახელად განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი, რომლის უფლებამოსილება შემოიფარგლებოდა, ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის განხორციელებით, უმაღლეს, პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2004-2010 წლებში საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მოსაპოვებლად უმნიშვნელოვანეს გარემოებას წარმოადგენდა ლიცენზირებისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის გავლა, აღსანიშნავია, რომ ლიცენზირებას ახორციელებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ხოლო აკრედიტაციის პროცესს სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მოიპოვებდა ლიცენზირებას 5 წლის განმავლობაში და ფუნქციონირებდა უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულება აკრედიტირებულ რეჟიმში.

2010 წელს დაარსდა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ბაზაზე, ცენტრის უფლებამონაცვლე სახელად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, აღნიშნული ცვლილება კი 2010 წლის 1 სექტემბრის "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე განხორციელდა. შემდგომ კი 2010 წელს "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სავალდებულო ლიცენზირების ნაცვლად, დაინერგა ავტორიზაციის პროცედურა, ხოლო აკრედიტაციის შინაარსი კი შეიცვალა და უზრუნველყო აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა, რომლის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ავტორიზაციის პროცესის განხორციელება სავალდებულოა.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ 2007-2008 წლამდე აკრედიტებულ რეჟიმში ფუნქციონირებდა 119 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ხოლო ინსტიტუციური აკრედიტაციის შედეგად მათი რაოდენობა შემცირდა 43 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებამდე, (მათგან 15 სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხოლო 28 - კერძო უნივერსიტეტი). 2007 წლიდან კი მზარდი ნაბიჯებით ვითარება შეიცვალა და გაიზარდა სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვი და 2010 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობამ 64 შეადგინა. 2013 წლის მონაცემებით კი კვლავ ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობამ 64 შეადგინა. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, უმაღლესი და პროფესიული განათლება 2013). 2018 - 2019 სასწავლო წლის დასაწყისისთვის კი 63 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებდა, აქედან 19 სახელმწიფო უნივერსიტეტი და 44 კერძო უნივერსიტეტი. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, უმაღლესი და პროფესიული განათლება 2018).

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის განვითარების პერსპექტივიდან გადადგმული ნაბიჯი გახლდათ, პირველი რეფორმა, რომელმაც ხაზგასმით გამოკვეთა ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელობა უმაღლეს განათლებაში. შესაძლოა ხარისხის გარე უზრუნველყოფის არსებული სისტემის პირობებში, ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რაოდენობის ზრდა განპირობებულია ერთის მხრივ თავად დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარების შედარებით მაღალი ხარისხით, და მეორეს მხრივ შეფასების პროცესის ცალკეული ხარვეზებით, ვინაიდან, 2008 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით განახორციელა კვლევა, ,,განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის

საერთაშორისო ინსტიტუტმა'' უმაღლესი განათლების რეფორმის შეფასების მიზნით. კვლევის შედეგები შეეხო ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემასა.

უმაღლესი განათლების სისტემაში არსებულ პრობლემად ჩაითვალა ნდობის სიმცირე ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მიმართ, სწორედ აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის ერთ-ერთ პერსპექტიულ გადადგმულ ნაბიჯად დასახელდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ინტერნაციონალიზაცია და პროგრამული აკრედიტაცია როგორც ხარისხიანი უმაღლესი განათლების გარანტი.

2006-2007 წლებში, აღნიშნული კვლევის ჩატარებამდე, სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრმა დაიწყო ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესის რეფორმირება და პროგრამული აკრედიტაციის შემოღება, თუმცა მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, ვინაიდან, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 2004 წლის რედაქციის მიხედვით პროგრამული აკრედიტაციის იმპლემენტაცია 2007 წელს უნდა დაწყებულიყო, თუმცა 2010 წლამდე ვერ მოხერხდა შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობის და შესაბამისი ინტელექტუალური რესურსების ნაკლების გამო. როგორც აღვნიშნეთ 2010 წელს ლიცენზირება ჩანაცვლდა ავტორიზაციით, ხოლო ინსტიტუციური აკრედიტაცია ჩანაცვლდა აკრედიტაციით.

ავტორიზაციის სტანდარტი მიზნად ისახავს ინსტიტუციის ინსტიტუციურ შეფასებას მისი მისიიდან გამომდინარე. 2006-2009 წლებში ინსტიტუციური აკრედიტაცია ხორციელდებოდა შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების შესაბამისად:

- ფართის მოცულობა.
- ფართისა და სტუდენტთა რაოდენობის თანაფარდობა.
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობის თანაფარდობა.
- კანონით განსაზღვრული საბაკალავრო სპეციალობები.
- კომპიუტერებისა და სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა.

- ბიბლიოთეკა და ვებ-გვერდი.

ამასთან შეფასების პროცესში გამოიყენებოდა შემდეგი დამატებითი კრიტერიუმები:

- სასწავლო-სამეცნიერო ინვენტარი.
- სასწავლო გეგმები.
- სრულყოფილი ბიბლიოთეკა.
- სრულყოფილი ვებ-გვერდი.
- დაწესებულების საქმიანობის ორგანიზებულობა.

აღნიშნული პროექტი GEDA-ს ფარგლებში შემუშავდა ე.წ. მისიაზე ორიენტირებული ინსტიტუციური აკრედიტაციის სტანდარტები, ხოლო ტემპუსის პროექტის „აკრედიტაციის სისტემის განვითარება საქართველოს უნივერსიტეტებში“ ეგიდით შეიქმნა პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების სამუშაო ვერსიები.

ორივე დოკუმენტი სრულად აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტს, ამავდროულად ითვალისწინებდა საქართველოს სპეციფიკას და მიმართული იყო როგორც ინსტიტუციური, ისე პროგრამული განვითარებისკენ. მიუხედავად აღნიშნულისა, არ მომხადარა აღნიშნული მიმართულებით არც ერთი დოკუმენტის დამტკიცება და შემდგომ ამოქმედება.

აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ზემოთ აღნიშნული ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების ვერსიები ითვალისწინებდა - როგორც სტანდარტებს, ისე შეფასების ინდიკატორებს და შემოწმების წყაროებს, რაც თავის მხრივ ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესს გაცილებით უფრო გამჭვირვალეს, ობიექტურს და სამართლიანს გახდიდა, რასაც დღესდღეობით არსებული კანონმდებლობა სრულფასოვნად არ ითვალისწინებს (დარჩია, 2013).

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ავტორიზაცია არის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ავტორიზაცია წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის და შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლების მოპოვების სავალდებულო პროცედურას,

რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა („საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 2, ბ1).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია 2018 წლამდე ხდებოდა სამი ძირითადი სტანდარტის დაკმაყოფილების მიხედვით:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამები.
- მატერიალური რესურსი
- ადამიანური რესურსი.

(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1ოქტომბრის ბრძანება №99/ნ).

აღნიშნული რეგულაცია მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით ფუნქციონირებდა - რომლებშიც განიმარტა ავტორიზაციის სტანდარტების ცალკეული პუნქტები და ქვეპუნქტები, შეფასების შესაძლო ინდიკატორები და არსებული ვითარების შემოწმების შესაძლო წყაროები.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული დოკუმენტი სრულად გამოყენებადი გახლდათ მატერიალურ რესურსთან და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით, თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით საგანმანათლებლო პროგრამების საკითხებთან დაკავშირებით, იგი იძლეოდა მხოლოდ ფორმალური ხასიათის ზედაპირულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინება არ იძლეოდა მკაფიო შედეგსა და ავტორიზაციის შესაბამისი სტანდარტების ცალკეული პუნქტების უკეთ გასააზრებელ ბერკეტს.

კერძოდ, თუ განვიხილავთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს, **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტი დაკმაყოფილებული გახლდათ თუ:**

ინსტიტუციის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული გახლდათ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია უნდა ყოფილიყო ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, ასევე უნდა ჰქონოდა თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა და შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამების სასწავლო სილაბუსები. ინსტიტუციას უნდა ჰქონოდა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემული იქნებოდა ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ, ასევე საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შედეგები აღწერილი უნდა ყოფილიყო დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ დარგობრივ სტანდარტების შესაბამისად;

დაწესებულებას თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული უნდა ჰქონოდა სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები, ასევე დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონოდა საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა და რაც უმთავრესია საგანმანათლებლო პროგრამა უნდა განხორციელებულიყო სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა, მკვლევართა ან მოწვეული პერსონალის მიერ ყოველივე ზემოაღნიშნული კი უნდა ყოფილიყო გამჭვირვალე და სამართლიანი; (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1ოქტომბრის ბრძანება №99/ნ, თავი IV უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები, მუხლი 9. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები).

რაც შეეხება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსის სტანდარტს, **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის სტანდარტი დაკმაყოფილებული გახლდათ თუ:**

ინსტიტუციას საკუთრებაში ან მფლობელობაში ექნებოდა მატერიალური რესურსი, ინსტიტუციას უნდა ჰქონოდა ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობა, რომლის საერთო ფართიც შეადგენდა 700 კვადრატულის, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა სათანადო ინვენტარით, შესაბამის ინვენტარს შორის კი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებით, ინსტიტუცია აღჭურვილი უნდა ყოფილიყო საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემოთი და ინვენტარით. დაწესებულებას უნდა მოეხდინა საბიბლიოთეკო ფონდის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული, შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის უზრუნველყოფა, ასევე უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა, რაც საყურადღებოა დაწესებულებაში უნდა ყოფილიყო საბიბლიოთეკო კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი;

დაწესებულების ვებ-გვერდს უნდა შეესრულებინა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქცია, მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვა ინფორმაციის განახლება უნდა მომხდარიყო რეგულარულად, ისე, რომ დაცული ყოფილიყო ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;

დაწესებულებაში დაცული უნდა ყოფილიყო პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც აუცილებელი იყო ინსტიტუციას

ჰქონოდა , ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, კერძოდ; თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

აუცილებელი გახლდათ დაწესებულებას ჰქონოდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის, მათ შორის მატერიალური რესურსი, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის, რაც შეეხება საქმისწარმოების აღრიცხვის სისტემას დაწესებულებაში უნდა გამჭვირვალედ აღრიცხულიყო გამოცემული აქტები და კორესპონდენცია. ინსტიტუციას უნდა ჰქონოდა ბიუჯეტში გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევების დაფინანსების სახსრები, ასევე შემუშავებული უნდა ჰქონოდა დაწესებულების განვითარების ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე გაითვალისწინებდა მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების (მონიროტინგის) მექანიზმებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსის სტანდარტს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების **ადამიანური რესურსის სტანდარტი დაკმაყოფილებული გახლდათ თუ:** ინსტიტუციის მიერ თანამდებობებზე დაკავებული აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის და მკვლევართა კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას. საყურადღებო გახლდათ ის გარემოება, რომ სტანდარტის შესაბამისად უფლება ჰქონდა - ერთი სრული პროფესორის ეთანამშრომლა მხოლოდ ერთ უნივერსიტეტთან, მხოლოდ ორ სასწავლო უნივერსიტეტთან, ან მხოლოდ ორ კოლეჯთან, ან სასწავლო უნივერსიტეტთან და კოლეჯთან, ხოლო ასოცირებული პროფესორს, მხოლოდ ორ დაწესებულებასთან პროფესორის არჩევით. სრული ან

ასოცირებული პროფესორის მიერ ორ ან მეტ დაწესებულებასთან. აქვე საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ დაწესებულებაში სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა განისაზღვრებოდა დაწესებულების სახის მიხედვით, კერძოდ; კოლეჯში – მინიმუმ ერთი სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორი 40 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 10 პროფესორისა; სასწავლო უნივერსიტეტში – არა უმეტეს 5 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 50 სტუდენტზე, 6-დან 12 საგანმანათლებლო პროგრამამდე განხორციელების შემთხვევაში – მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 60 სტუდენტზე, 12 და მეტი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში – მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 70 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 15 სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორისა; უნივერსიტეტში – არა უმეტეს 11 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 50 სტუდენტზე, 12-იდან 24 საგანმანათლებლო პროგრამამდე განხორციელების შემთხვევაში – მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 60 სტუდენტზე, 24 და მეტი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში – მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 70 სტუდენტზე, არანაკლებ 25 სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორისა, ასევე ხაზგასასმელია, ის გარემოებაც, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არ შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ მოწვეული პერსონალის, მკვლევრების ან მასწავლებლების მიერ;

(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1ოქტომბრის ბრძანება №99/ნ).

რაც შეეხება უშუალოდ ავტორიზაციის ჩატარების პროცესს, მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- საავტორიზაციო განაცხადის წარდგენა;
- ავტორიზაციის მაძიებლად ცნობა;

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა;
- საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელება;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შედგენა და დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა;
- ავტორიზაციის საკითხზე ზეპირი მოსმენის გამართვა; გადაწყვეტილების მიღება და გამოქვეყნება.

(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1ოქტომბრის ბრძანება №99/ნ).

ავტორიზაციისა და ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღებოდა დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებლად ცნობიდან 90 დღის განმავლობაში. რაც შეეხება, საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით ცენტრში წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადს, მას თან უნდა დართოდა თვითშეფასების შევსებული კითხვარი, საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების დამოწმებული ასლები; ავტორიზაციის განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის შემდგომაც იწყებოდა პროცესი დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებლად ცნობის შესახებ, ცენტრი 3 დღის ვადაში აწარმოებდა საავტორიზაციო განაცხადზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობას საავტორიზაციო განაცხადით დადგენილ მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელს ცენტრისათვის არ ჰქონდა წარმოდგენილი რომელიმე დოკუმენტს, ცენტრი განმცხადებელს განუსაზღვრავდა არანაკლებ 5 და არა უმეტეს 15 დღეს ხარვეზის გამოსასწორებლად და დოკუმენტაციის ხელახლა წარმოსადგენად, დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში, ცენტრი გამოსცემდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებლად ცნობის შესახებ, ხოლო თუ დადგენილ ვადაში არ გამოასწორებდა ხარვეზს და არ წარმოადგენდა შესაბამის დოკუმენტაციას ცენტრი გამოსცემდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადების განუხილველად დატოვების

შესახებ. დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მაძიებლად ცნობის შემდეგ ცენტრი გამოსცემდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ავტორიზაციის მაძიებელ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, თუმცა ავტორიზაციის ექსპერტი ვალდებული გახლდათ განეცხადებინა თვითაცილება, თუ მას აქვს ინტერესთა კონფლიქტი ავტორიზაციის მაძიებელ იმ დაწესებულებასთან, რომელშიც უნდა განეხორციელებინა საავტორიზაციო ვიზიტი, ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულება კი უფლებამოსილი გახლდათ ცენტრში წარედგინა ავტორიზაციის ექსპერტის/ექსპერტების აცილება თუ მას ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი ექსპერტთან/ექსპერტებთან ვისაც უნდა განეხორციელებინა ვიზიტი დაწესებულებაში, აცლების შესახებ ინფორმაცია ცენტრისათვის დაწესებულებამ უნდა მიეწოდებინა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან 2 დღის ვადაში, ხოლო ცენტრი აცილების განცხადებას განიხილავდა 3 დღის ვადაში და აცილების განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში ცენტრი იღებდა გადაწყვეტილებას ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობის ცვლილების შესახებ. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1ოქტომბრის ბრძანება №99/ნ).

ავტორიზაციის ექსპერტები ვალდებულები იყვნენ, საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელებამდე შეესწავლათ ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების თვითშეფასების შევსებული კითხვარი და თანდართული დოკუმენტაცია და დაედგინათ მისი შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან. საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში კი შეემოწმებინათ ყველა საკითხი. დასკვნის შესადგენად, საჭიროების შემთხვევაში გამოეთხოვათ შესაბამისი დოკუმენტაცია, საჭიროების შემთხვევაში ჩაეტარებინათ პერსონალისა და სტუდენტების ინტერვიუირება. დაწესებულება კი ვალდებული გახლდათ, ხელი შეეწყო ავტორიზაციის ექსპერტებისათვის საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელებაში და შესაბამისი დასკვნის მომზადებაში, საჭიროების შემთხვევაში კი წარედგინა ავტორიზაციის

მიზნებისათვის საჭირო დოკუმენტაცია. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1ოქტომბრის ბრძანება №99/ნ).

საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ადგენდა დასკვნას, რომელიც აღწერდა თვითშეფასების კითხვარში შესული მონაცემების ნამდვილობასა და ამ მონაცემების თითოეულ სტანდარტთან შესაბამისობას, რის შემდგომაც ინიშნებოდა ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის პროცედურა. ინსტიტუციის ზეპირი მოსმენის შესახებ ინფორმაცია ეცნობებოდა ზეპირი მოსმენის გამართვამდე არანაკლებ 7 დღით ადრე. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1ოქტომბრის ბრძანება №99/ნ).

ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა 9 წევრი, რომელთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრებოდა 2 წლით, ზეპირ მოსმენაზე მიღებული გადაწყვეტილება საბჭოს სხდომის ოქმი ფორმდებოდა საბჭოს სხდომის ჩატარებიდან 10 დღის ვადაში. ავტორიზაციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საბჭო ზეპირი მოსმენისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნების საფუძველზე სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით იღებდა ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ავტორიზაციის შესახებ;
- ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ;
- ავტორიზაციის გაუქმების შესახებ:

(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1ოქტომბრის ბრძანება №99/ნ).

თუ მაძიებელი აკმაყოფილებდა ყველა სტანდარტს ავტორიზაციის ვადა განისაზღვრებოდა 5 წლის ვადით. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ვერ აკმაყოფილებდა ავტორიზაციის ერთ-ერთ სტანდარტს გადაწყვეტილება მიიღებოდა ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო გადაწყვეტილება

მიღებიდან 10 დღის ვადაში ქვეყნდებოდა ცენტრის ვებ-გვერდზე. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1ოქტომბრის ბრძანება №99/ნ). ყოველივე ზემო აღნიშნულის საფუძველზე საყურადღებოა ის გარემოება თუ, როგორ ხდებოდა სტანდარტების შესრულების გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგი. საყურადღებოა, რომ არ არის ჩატარებული კვლევა, რომლის მიზანიც იქნებოდა ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურის შეფასება, მისი ძლიერი და სუსტი მხარის გამოკვეთა, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა. თუმცა, შესაძლებელია, ავტორიზაციის შეფასების, პრობლემების გამოკვეთისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების დროს გამოვიყენოთ ტემპუსის ერთ-ერთი პროექტის ეგიდით ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია ვისაუბროთ იმ გარემოებაზე, რომ კანონმდებლობის მიხედვით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეიძლებოდა არ მიენიჭებოდა, ან გაუქმებოდა ავტორიზაცია იმ შემთხვევაში, თუ იგი არ აკმაყოფილებდა ავტორიზაციის ერთ-ერთ სტანდარტს (საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ, 2010).

2018 წლამდე მოქმედი ავტორიზაციის სტანდარტების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაკლად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისა და დაინტერესებული მხარეები შეფასებით ეჭქვეშ არ დგებოდა ექსპერტთა მხრიდან სუბიექტური და არაერთგვაროვანი შეფასების ალბათობას არსებობა. თუნდაც იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ არც ავტორიზაციის და არც აკრედიტაციის სტანდარტი სათანადო ყურადღებას არ უთმობდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური აქტივების ასპექტებს. ამასთანავე, რაც ასევე მნიშვნელოვანია, ფაქტობრივად, უგულებელყოფილი იყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მისი როლი საზოგადოების განვითარების პროცესში. (უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში 2013) 2018 წლის შემდგომ ახალი ავტორიზაციის სტანდარტების იმპლემენტაციის შედეგად, შესაძლოა ითქვას,

რომ, ავტორიზაციის მიზნები და შინაარსი ავტორიზაციის ახალ სტანდარტებში გაფართოვდა. საყურადღებოა, რომ ახალი ავტორიზაციის სტანდარტების იმპლემეტაციის შედეგად განხორციელდა არა მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების და სახელმწიფოს მიერ აღიარებული კვალიფიკაციის მინიჭების უფლების მოპოვება, არამედ ავტორიზაციის ფარგლებში განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარების შეფასება და ხელშეწყობა მაგალითად, ისეთი სტანდარტების დანერგვით, როგორიცაა ავტორიზაციის მე-6 სტანდარტი: კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა.

დღეის მდგომარეობით, უმაღლესი განათლების ერთ-ერთ მთავარ მიზანს კვლევა წარმოადგენს, რომელიც განიხილება საზოგადოებრივი და საერთო სიკეთის კონტექსტში როგორც ლოკალურ და გლობალურ დონეზე. ექსპერტები თანხმდებიან იმის შესახებ, რომ კვლევა ხელს უწყობს „ცოდნის საზოგადოების“ ჩამოყალიბებას, რადგან კვლევის პროცესში შექმნილი ახალი ცოდნა არ არის ერთეული მეცნიერის საკუთრება, არამედ ეკუთვნის საზოგადოებას და ქმნის საზოგადოებრივ დოვლათს. უფრო კონკრეტულად, სხვადასხვა დარგში, კვლევის შედეგად მიღებული, ახალი აღმოჩენები და გამოგონებები ცვლის ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას, აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს, ავითარებს დემოკრატიულ პრინციპებს, ზრდის ეკონომიკას და ქმნის ახალ შესაძლებლობებს მომდევნო თაობებისათვის. (American Academy of Arts & Sciences. 2016) ამ ყოველივეს ხელი უნდა შეუწყოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა კვლევაზე ყურადღების გამახვილებითა და მკვლევარებისთვის ხელის შეწყობით, რასაც უკვე ახალი მე-6 ავტორიზაციის სტანდარტი ავალდებულებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ინტერნაციონალიზაცია სწავლა/სწავლების წარმატებით წარმართვისთვის. არსებობს მრავალი მოსაზრება, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია და რამდენად მაღალია ინტერნაციონალიზაციის როლი ხარისხიანი განათლების

ჩამოყალიბებაში. მაგალითად: იერავდეკარი და ტივარი თვლიან, რომ ეს პროცესები საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდას უწყობს ხელს .(Yeravdekar, Vidya Rajiv, and Gauri Tiwari. 2014.) ნაითი და ალტბახი მიიჩნევენ, რომ ინტერნაციონალიზაცია სწავლა/სწავლების ხარისხის პოზიტიურად ცვლის.(Altbach, Philip, and Jane Knight. 2007.)

ამდენად სწორედ, რომ დიდია ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობა და ის მნიშვნელოვანი ასპექტების, როგორიცაა ცვლილებები საუნივერსიტეტო პოლიტიკის (მისია, ხედვა, სტრატეგია) დონეზე, სხვათა გამოცდილებების გაზიარება, ინტერნაციონალიზაციის როგორც თანამედროვე მსოფლიოს მოთხოვნების შესაბამისად განვითარებისთვის აუცილებელი საკითხის გააზრების პროცესის ხელშეწყობა, თაობებთან, დამსაქმებლებთან, ჩართულ პირებთან ეფექტური კომუნიკაციის საშუალება, ყველა გამოწვევისა და სიახლის შეტანა ყოველ რგოლში (ფაკულტეტები, დეპარტამენტები, სწავლისა და სწავლების პროცესი, კვლევა), კულტურისა და შესაძლებლობების გაძლიერება. (მ.შ ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი).

ყოველივე ზემოაღნიშნული კი თავისთავად პოზიტიურია ახალ სტანდარტებში ინტერნაციონალიზაციის პროცესზე ყურადღების გამახვილება.

რეფორმის შედეგად შეიცვალა უმაღლესი განათლების ხარისხის შეფასების სისტემა. ავტორიზაციის სტანდარტები და პროცედურები შესაბამისობაში მოვიდა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან. (ESG 2015) . რეფორმის ფარგლებში განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალი ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურების იმპლემენტაცია. კერძოდ, დღეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სამი სტანდარტის ნაცვლად ფასდება შვილი ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად, რომელიც ეხება:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ განვითარებას.

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვას.
- საგანმანათლებლო პროგრამებს;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალს;
- სტუდენტებს და მათი მხარდაჭერის ღონისძიებებს;
- კვლევას, განვითარებას ან/და სხვა შემოქმედებით საქმიანობას;
- მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ თითოეული სტანდარტი შედგება კომპონენტისაგან/ ქვესტანდარტისაგან.

იმისათვის, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოიპოვოს ავტორიზაციის სტატუსი საჭიროა გარკვეული პროცედურების გავლა, კერძოდ: (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ)

- საავტორიზაციო განაცხადის წარდგენა;
- საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობა;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის თვითშეფასების ფორმისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლა და ვიზიტის დღის წესრიგის შემუშავება;
- საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელება;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის შედგენა და ცენტრში წარდგენა;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის დაწესებულებისთვის გაცნობა;
- ავტორიზაციის ესპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის ცენტრში წარდგენა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით;

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბება და ცენტრში წარდგენა;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის დაწესებულებისთვის გაცნობა;
- საავტორიზაციო განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისი ავტორიზაციის საბჭოს წევრებისთვის გაგზავნა;
- ავტორიზაციის საკითხზე ზეპირი მოსმენის გამართვა და შესაბამისი ავტორიზაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება;
- დასაბუთებული გადაწყვეტილების ცენტრის მიერ გამოქვეყნება

(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ)

როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულება სტატუსის მოპოვების მიზნით ცენტრში წარადგენს საავტორიზაციო განაცხადს თან უნდა დაურთოს;

- სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების შევსებული ფორმა და მასზე დასართავი დოკუმენტაცია;
- ავტორიზაციის განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ავტორიზაციის მაძიებლად ცნობის შესახებ ცენტრი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს საავტორიზაციო განაცხადზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობას, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში ცენტრი განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად.

ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობის შესახებ, ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში- ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ.

ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობის შესახებ გამოიცემა განაცხადის წარმოდგენიდან, ან ხარვეზის გამოსწორებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი, მაძიებლად ცნობის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში არ გადაიხდის ავტორიზაციის საფასურს, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ავტორიზაციის საფასურის გადახდიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ.

ცენტრი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრს უგზავნის წარმოდგენილ დოკუმენტაციას 7 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო დოკუმენტაციის თარგმნის გათვალისწინებულ შემთხვევაში - 30 კალენდარული დღის ვადაში.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, ცენტრში ერთჯერადად წარადგინოს

ცვლილებები თვითშეფასების ფორმაში ასახულ ინფორმაციასთან ან/და თანდართულ დოკუმენტებთან დაკავშირებით.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ხელი შეუწყოს ავტორიზაციის ექსპერტებს საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელებასა და შესაბამისი დასკვნის მომზადებაში, წარუდგინოს მათ ავტორიზაციის მიზნებისათვის საჭირო დამატებითი დოკუმენტაცია და უზრუნველყოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილ პირებთან ინტერვიუირება.

რაც შეეხება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ფასდება ოთხდონიანი სკალის საშუალებით: „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან”, „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ .(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1ოქტომბრის ბრძანება №99/ნ, მუხლი 79).

- **სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, თუ :** დაწესებულება სტანდარტის არაუმეტეს ერთ კომპონენტთან მიმართებით შეფასებულია, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო დანარჩენ კომპონენტებთან მიმართებით, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან’’. („შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუ დაწესებულებაში არსებული რესურსები, დამკვიდრებული პრაქტიკა/სისტემა და მიღწეული შედეგები (ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში – მიღწევადი მოსალოდნელი შედეგები) სრულად უზრუნველყოფს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.)

- **მეტწილად შესაბამისობაშია თუ:** დაწესებულება ამ სტანდარტის არაუმეტეს ერთ კომპონენტთან მიმართებით შეფასებულია, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო არცერთ სხვა კომპონენტთან მიმართებით არ არის შეფასებული, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“. („მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუ დაწესებულებაში არსებული რესურსები და დამკვიდრებული პრაქტიკა/სისტემა მეტწილად უზრუნველყოფს კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და დაწესებულებას შეუძლია შესაბამისი შედეგების დემონსტრირება. თუმცა, დაწესებულებას აქვს სუსტი მხარეები, რომელთა მოკლევადიან პერიოდში (არაუმეტეს 1 წელი) დასაძლევად მას აქვს მზაობა და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა).
- **ნაწილობრივ შესაბამისობაშია, თუ:** დაწესებულება სტანდარტის ერთზე მეტ კომპონენტთან მიმართებით შეფასებულია, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო არცერთ სხვა კომპონენტთან მიმართებით არ არის შეფასებული, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“. („ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუ დაწესებულება საბაზო დონეზე უზრუნველყოფს კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მას აქვს ისეთი სუსტი მხარეები, რომელთა დასაძლევადაც საჭიროა მნიშვნელოვანი რესურსების მობილიზება. თუმცა, დაწესებულებას აქვს მზაობა და საშუალოვადიან პერიოდში (1 წელზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 3 წელი) სუსტი მხარეების დასაძლევად შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა).

  დაწესებულება ამ სტანდარტის არაუმეტეს ერთ კომპონენტთან (გარდა პროგრამების და პერსონალის სტანდარტის კომპონენტებისა) მიმართებით შეფასებულია, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.
- **არ არის შესაბამისობაში, თუ;** თუ სტანდარტის ერთ კომპონენტზე მეტი შეფასებულია, როგორც არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

თუ პროგრამების და პერსონალის სტანდარტის ერთი კომპონენტი მაინც შეფასებულია როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან'' („არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", თუ დაწესებულება არსებული რესურსებითა ან/და პრაქტიკით ვერ უზრუნველყოფს მინიმუმ თუ დაწესებულება საბაზო დონეზე ვერ უზრუნველყოფს კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მას აქვს ისეთი სუსტი მხარეები, რომელთა დასაძლევადაც საჭიროა მნიშვნელოვანი რესურსების მობილიზება).

(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ახალი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება ძველი ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისობის შეფასებისგან განსხვავებით განისაზღვრა ,,ოთხბალიან შკლაზე'', რომლის საფუძვლადაც, ცენტრი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

ავტორიზაციის საბჭოს აქვს უფლებამოსილება ავტორიზაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიღებისა, კერძოდ: საბჭო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ).

- ავტორიზაციის შესახებ;
- პირობითი ავტორიზაციის შესახებ;
- ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ;

- ავტორიზაციის გაუქმების შესახებ;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების პროცესის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ.

საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციის შესახებ, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს.

თითოეული სტანდარტი დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ საბჭო მიიჩნევს, რომ ოთხდონიანი სკალის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ავტორიზაციის ვადა განისაზღვრება 6 წლის ვადით.

თუ საბჭოს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას:

- ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით შეფასდება, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და ყველა სხვა სტანდარტთან მიმართებით, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დაწესებულების **ავტორიზაციის შესახებ;**

- ერთზე მეტ სტანდარტთან მიმართებით შეფასდება, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და ყველა სხვა სტანდარტთან მიმართებით, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ (გარდა საგანმანათლებლო პროგრამების და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალს სტანდარტ(ებ)ის და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დაწესებულების პირობითი ავტორიზაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;
- ერთზე მეტ სტანდარტთან მიმართებით შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ (გარდა საგანმანათლებლო პროგრამების და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალს სტანდარტ(ებ)ის კომპონენტებისა) არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება , როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ და მიმართავს ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ (2 წლის ვადაში) შუამდგომლობით, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;
- ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით შეფასდება, როგორც„ ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და სხვა არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და მისთვის სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის

შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ;

- ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ ან ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს მიერ ერთ-ერთი სტანდარტთან მიმართებით დაწესებულება შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან".

მონიტორინგის შედეგად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, შესაბამისი საბჭო უფლებამოსილია, გაუუქმოს დაწესებულებას ავტორიზაცია, თუ საგანმანათლებლო დაწესებულება არღვევს ავტორიზაციის სტანდარტს ან საგანმანათლებლო სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ნორმებს: საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლის, პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტის სტატუსის წარმოშობასთან, შეწყვეტა/შეჩერებასთან დაკავშირებით. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი საბჭო უფლებამოსილია, საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვროს არაუმეტეს 60 დღე გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება. თუ 60-დღიან ვადაში დაწესებულების მიერ შესაბამისი ხარვეზების გამოსწორება არ მოხდა, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ. მოქმედ საგანმანათლებლო დაწესებულებას ავტორიზაცია გაუუქმდება, მაშინ, როდესაც მისი პირობები აღარ შეესაბამება ავტორიზაციის რომელიმე ერთ-ერთ სტანდარტს, აგრეთვე, თუ მან დაარღვია საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლის, პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტის სტატუსის წარმოშობასთან, შეჩერებასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით არსებული წესები. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ახალი სტანდარტების დანერგვის შემდგომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-

სწავლების პროცესის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მიღწეული შედეგების შეფასებას, მაგალითად; როგორიცაა სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი, კვლევითი პროდუქტიულობის მაჩვენებელი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სერვისების მიმართ სტუდენტების და სხვა დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების დონე.

უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, რომ პირველად ექსპერტთა ჯგუფების მუშაობაში, ადგილობრივებთან ერთად ჩაერთო უცხოელი ექსპერტები, სტუდენტები და დასაქმების ბაზრის ექსპერტები.

მაგრამ არც ახალ სტანდარტში არ ჩანაცვლებულა ტერმინები „ავტორიზაცია“ და „აკრედიტაცია“ მათი შინაარსის უკეთ გამომხატველი „ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციით“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, განახლებული მექანიზმების დასანერგად. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ 2017 წლამდე მანამ სანამ დაიწყებოდა ავტორიზაციის პროცესების სრული იმპლემენტაცია 3 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდა პილოტირება ახალი ავტორიზაციის სტანდარტების უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით. ამასთან, ცენტრი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ექსპერტების მოსამზადებლად ინტენსიურად განახორციელებდა კონსულტაციებს, ტრენინგებს და სამუშაო შეხვედრებს; ასევე, მიმდინარეობდა მუშაობა დამხმარე მასალების მომზადებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნლის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი სტანდარტები არის ევროპის განათლების სივრცის მოთხოვნის შესაბამისი, რომელთა დაკმაყოფილებაც მოეთხოვებათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ახალი სტანდარტების დანერგვის შემდგომ შესაძლებელია ითქვას

რომ ახალი სტანდარტები ძველ სტანდარტებთან შედარებით ცდილობს უზრუნველყოს დაწესებულების სიღრმისეულად და კომპლექსურად შეფასებას.

ახალი სტანდარტები მეტ ყურადღებას ამახვილებს დაწესებულების მისიაზე, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაზე, აკადემიურ, მოწვეულ, სამეცნიერო, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობაზე მატ საქმიანობასთან მიმართებაში, ასევე მათ საათობრივ და დატვირთვაზე, როგორც სასწავლო ასევე სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საქმიანობაში. განახლებული სტანდარტების ინპლემენტაციის შემდგომ მეტად კომპლექსურად ფასდება დაწესებულების სტრუქტურა და მართვა.

ავტორიზაციის ექსპერტებს ახალი სტანდარტების მეტად კომპლექსურად მოეთხოვებათ დაწესებულების სტრატეგიული გეგმის განხილვა და შემდგომ იმ სამოქმედო გეგმისა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება უზრუნველყოფს დაგეგმილ აქტივობებს, განსაზღვრავს თუ რამდენად რელევანტური და რეალისტური შეიძლება იყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა დაწესებულების რესურსთან, როგორც ადამიანურ ასევე მატერიალურ და ფინანსურ რესურსთან მიმართებით და ყოველივე ამ რესურსის გამოყენება მიმართულია თუ არა დაწესებულების განვითარებისაკენ.

აღნიშნულ საკითხში კი ჩართულ მხარეებად შესაძლოა გამოვყოთ ის სტრუქტურები და პირები, ვინც უშუალოდ არიან ჩართულნი ხარისხიანი განათლების შექმნის პროცესში, მაგალითად; თავად ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სტუდენტები, პერსონალი, დამსაქმებლები.

საინტერესოა, როგორია აღნიშნული პროცესის შეფასება კრიტიკულად, რამდენად სამართლიანია ავტორიზაციის პროცედურები და სტანდარტები უნივერსიტეტებისთვის? ზღუდავს თუ არა უნივერსიტეტების ავტონომიას? რეალურად უზრუნველყოფს თუ არა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას? ვინ წარმოადგენს მთავარ მოქმედ პირს და ვინ არის გადაწყვეტილების მიმღები?

თავად ის ფაქტი, რომ არსებობს ერთიან წესები და სტანდარტები, ავტორიზაციის მინიჭების პროცესში, სამართლიანია ყველა უნივერსიტეტისთვის, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, ავტორიზაციის ახალი სტანდარტები არის მეტად კომპლექსური და დეტალიზებული, რომელთა განხორციელებაც საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. შესაბამისად დგება საკითხი საშიშროების მიმართულებით თუ რამდენად სამართლიანად ჩატარდება აღნიშნული პროცესი ყველა უნივერსიტეტისთვის, რამდენად საკმარისია როგორც ფინანსური, ისე ადამიანური რესურსი პროცესის სრულყოფილად განხორციელებისთვის, რამდენად აღმოიფხვრება იმის საშიშროება, რომ პროცესი კვლავ ფორმალურ ხასიათს არ მიიღებს. ამ რისკების დაძლევის ერთ-ერთი გზა არის როგორც უნივერსიტეტებში ხარისხის კულტურის ჩამოყალიბება (რაც ავტორიზაციის ახალი სტანდარტების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს), ასევე მონიტორინგის მექანიზმების გამჭვირვალობა და მონიტორინგის მექანიზმების სრულად, რომელიც დღეის მდგომარეობით ბუნდოვანია.

§2.2. ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მონიტორინგის პროცესის რეგულაციები და მექანიზმები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება და შეფასება ხორციელდება მონიტორინგის გზით, რომელიც შეიძლება იყოს გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგის გზით და ხორციელდება ცენტრის ინიციატივით ან საბჭოს შუამდგომლობით. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ, მუხლი 88.)

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მონიტორინგის პროცესის რეგულაციებსა და მექანიზმებზე საუბარი შეიძლება დავიწყოთ იმ პერიოდიდან, როდესაც საქართველოს განათლების სისტემაში ჩნდება ,,მონიტორინგის

მექანიზმები" კერძოდ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერი №99/ნ ბრძანების საფუძვლად, ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების მონიტორინგს ახორციელებდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი, ავტორიზებული დაწესებულება კი ვალდებული გახლდათ ცენტრისათვის ყოველწლიურად, პირველი მაისიდან 30 ივნისამდე, წარედგინა თვითშეფასების წლიური ანგარიში. დაწესებულების სტანდარტებთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში კი ცენტრი უფლებამოსილი გახლდათ განესაზღვრა არანაკლებ 15 დღის ვადა შესაბამისი პირობების გამოსასწორებლად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარა იყო, რომ პროცესს შედეგი არ მოჰყვებოდა.

განსაზღვრულ ვადაში დაწესებულების მიერ შესაბამისი პირობების გამოუსწორებლობის შემთხვევაში კი საბჭო უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

დაწესებულებისათვის ავტორიზაციის პირობის მინიჭების შემდეგ ცენტრი უფლებამოსილი იყო, არაგეგმიური მონიტორინგის გზით, შეემოწმებინა დაწესებულების შესაბამისობა სტანდარტებთან იმ შემთხვევაში, თუ: დაწესებულება დადგენილ ვადაში არ წარადგენდა თვითშეფასების წლიურ ანგარიშს ან არსებობდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დაწესებულება არ ასრულებდა ერთ ან რამდენიმე სტანდარტს, ან არღვევდა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არაგეგმიური მონიტორინგის პროცედურების შემოწმების მექანიზმები რეგულაციებში მკაფიოდ გაწერილი არ არის, თუმცა დაწესებულების შემოწმების შედეგად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, საბჭო უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, თუ დაწესებულება არ შეესაბამებოდა ერთ-ერთ სტანდარტს, აგრეთვე, თუ დაწესებულება არღვევდა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლის, პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტის სტატუსის წარმოშობასთან, შეჩერებასთან ან

შეწყვეტასთან დაკავშირებით. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1ოქტომბრის ბრძანება №99/ნ).

სტანდარტების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები და პროცედურები გახლავთ ძალზედ არაგამჭვირვალე და ბუნდოვანი. თითქმის არაფერია დებულებაში და არც ერთ სხვა დოკუმენტში უშუალოდ მონიტორინგის პროცედურებთან დაკავშირებით, მის მტკიცებულებად შეგვიძლია მოვიშველიოთ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის №99/ნ ბრძანების, დებულების VIII თავი, ავტორიზაციის ,,სტანდარტების შესრულების მონიტორინგი'' , სადაც ვეცნობით:

,, მუხლი 30. თვითშეფასების ანგარიშის წარდგენა:

1. *სტანდარტების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს ცენტრი.*
2. *ავტორიზებული დაწესებულება ვალდებულია ცენტრს ყოველწლიურად, პირველი მაისიდან 30 ივნისამდე, წარუდგინოს თვითშეფასების წლიური ანგარიში.*
3. *თვითშეფასების წლიური ანგარიშის ფორმას ამტკიცებს ცენტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.*
4. *დაწესებულების სტანდარტებთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში ცენტრი უფლებამოსილია განსაზღვროს გონივრული (არანაკლებ 15 დღის) ვადა შესაბამისი პირობების გამოსასწორებლად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება.*
5. *ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში დაწესებულების მიერ შესაბამისი პირობების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.*

მუხლი 31. შემოწმება

1. *ავტორიზაციის შემდეგ ცენტრი უფლებამოსილია შეამოწმოს დაწესებულების შესაბამისობა სტანდარტებთან იმ შემთხვევაში, თუ:*

2. *დაწესებულება დადგენილ ვადაში არ წარადგენს თვითშეფასების წლიურ ანგარიშს;*
3. *არსებობს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დაწესებულება არ ასრულებს ერთ ან რამდენიმე სტანდარტს, ან არღვევს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.*

მუხლი 32. ავტორიზაციის გაუქმება

დაწესებულების შემოწმების შედეგად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, თუ დაწესებულება არ შეესაბამება ერთ-ერთ სტანდარტს, აგრეთვე, თუ დაწესებულებამ დაარღვია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლის, პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტის სტატუსის წარმოშობასთან, შეჩერებასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით.'' (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის №99/ნ ბრძანება).

2018 წელს განხორციელებული ავტორიზაციის სტანდარტების ცვლილების შესაბამისად, რომელიც რეგულირდება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის №07/ნ ბრძანებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს გააჩნია უფლებამოსილება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან მოითხოვოს მონიტორინგის წარმოებისათვის შესაბამისი ინფორმაცია, დოკუმენტაცია და აქვს უფლებამოსილება გამოსცემს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის და ინსტიტუციაში მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების შესახებ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი იტოვებს უფლებამოსილებას, მონიტორინგის პროცესის წარმოებისათვის შესაბამის ინფორმაცის თანდართული დოკუმენტაციის გამოთხოვის შემთხვევაში და მიღებული დოკუმენტაციის შესწავლის შემდგომ თუ გამოიკვეთება გარემოება

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების დამატებითი საჭიროებისა, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ინსტიტუციაში მონიტორინგის ვიზიტის შესახებ. იმ შემთხვევაში კი თუ ცენტრის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის შესწავლის შემდგომ არა საფუძველი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ინსტიტუციაში, ცენტრი წყვეტს მონიტორინგის თაობაზე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის შემთხვევაში შემუშავდება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარედგინება ცენტრს, რის შემდგომაც ცენტრი ადგენს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 67-ე მუხლის მე-3 და 73-ე მუხლის მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან, კერძოდ: **67-ე მუხლის მე-3 პუნქტი** - ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, ხოლო **73-ე მუხლის მე-9 პუნქტი** - ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა და მისთვის დადგენილი მოთხოვნები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება http://www.matsne.gov.ge- ზე საჯაროდ.

შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, დასკვნის პროექტი იგზავნება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, საჭიროების შემთხვევაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის დადასტურების უზრუნველსაყოფად, ინსტიტუცია ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტის სახით უკან უბრუნდება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს და შემდგომ ავტორიზაციის საბჭოს, თუმცა თუ ინსტიტუცია გაეცნო გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შესახებ ინფორმაციას და არ წარადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან დაკავშირებით, გაცნობიდან ვადის გასვლის შემდგომ, 10 კალენდარული დღის დასრულების შემდგომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს. ცენტრში დასკვნის წარდგენის შემდგომ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ცენტრი უგზავნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. რაც შეეხება ინსტიტუციაში ვიზიტს, რომელიც გამოიცემა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის შესახებ დაწესებულებას ცენტრის მიერ მიწოდებული ინფორმაცია წარედგინება უშუალოდ მონიტორინგის ვიზიტის დაწყების წინ ან არაუმეტეს მონიტორინგის ვიზიტამდე 1 დღით ადრე.

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად საბჭო იტოვებს უფლებამოსილებას მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ. თუ ავტორიზაციის საბჭოს მიერ ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით ინსტიტუცია შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, ან ინსტიტუცია არღვევს საგანმანათლებლო სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ნორმებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის სტატუსის წარმოშობასთან, შეჩერებასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით. კერძოდ: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ)

საბჭო ასევე უფლებამოსილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების (მონიტორინგის) პროცესის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების უფლების ერთჯერზე არანაკლებ 1 წლისა და არაუმეტეს 3 წლის ვადით შეზღუდვის შესახებ. ასევე თუ ინსტიტუცია ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით შეფასდება, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არაუმეტეს ერთ კომპონენტთან მიმართებით შეფასებულია, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ საბჭო აქვს უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და მისთვის სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ.(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ,მუხლი 80.)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს შესაბამისად, თუ ინსტიტუცია საგანმანათლებლო პროგრამების ან/ და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის სტანდარტ(ებ)თან მიმართებით შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და

დაწესებულება დასახელებული სტანდარტების ერთზე მეტ კომპონენტთან მიმართებით შეფასებულია, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო არცერთ სხვა კომპონენტთან მიმართებით არ არის შეფასებული, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ საბჭო იღებს გადაწყვეტილებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და მისთვის სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ. ასევე საბჭოს მიერ ავტორიზაციისა და ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება აქვს უფლებამოსილება იმ შემთხვევაში, თუ ერთზე მეტ სტანდარტთან მიმართებით ინსტიტუცია შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ხოლო არცერთ სხვა კომპონენტთან მიმართებით არ არის შეფასებული, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ და მიმართავს ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ (2 წლის ვადაში) შუამდგომლობით, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში; (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ, მუხლი 25).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც შეეზღუდა სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების უფლება, სტუდენტთა მიღების შეზღუდვის ძალაში შესვლიდან 12 თვის დასრულების შემდგომ ინსტიტუცია უფლებამოსილია ცენტრში წარადგინოს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში და საბჭოს სხდომის ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების გამოსწორების შესახებ ანგარიში, ინსტიტუციის მიერ წარდგენილი ანგარიშის შემდგომ, ანგარიშის საფუძველზე, ცენტრი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განახორციელოს ინსტიტუციაში მონიტორინგი, ხოლო იმ

შემთხვევაში, თუ ინსტიტუცია შეზღუდვისთვის განსაზღვრული ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 4 თვით ადრე არ/ვერ წარმოადგენს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში და საბჭოს სხდომის ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების გამოსწორების შესახებ ანგარიშს, ცენტრი საკუთარი ინიციატივით ახორციელებს მონიტორინგს. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ, მუხლი 80).

მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების შედეგად შესაძლებელია საბჭოს გადაწყვეტილებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მოეხსნას სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების შეზღუდვა ან/და ინსტიტუციისათვის ძალაში დარჩეს სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება, ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ხელახლა შეეზღუდოს სტუდენტთა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების არსებობის შემთხვევაში, ასევე – პროფესიულ სტუდენტთა) მიღების უფლება, ასევე საბჭოს აქვს უფლებამოსილება ვიზიტის შემდგომ, შეუწყვიტოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას ავტორიზაცია.

(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ).

ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში საბჭო უფლებამოსილია, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვროს არაუმეტეს 60 დღის ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხარვეზის გამოსწორების მოლოდინს, შედეგი არ მოჰყვება. აღნიშნულ ვადაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება

ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ).

ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებით, თუ სიღრმისეულად გავეცნობით ავტორიზაციის დებულებას ვნახავთ, რომ არის ძალიან ბევრი ,,კითხვის ნიშანი'' წარმოშობილი, რომელიც ბადებს ბუნდოვანებას გამჭვირვალე და ცხადად გაწერილი მექანიზმის არსებობის შესახებ. დებულების სიღრმეში იკვეთება ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არა არის იდენტიფიცირებული და წარმოდგენილია ზედაპირული სიცხადით.

გარდა ამისა, არაგეგმიური მონიტორინგის პროცესი ბუნდოვანი რჩება და არაგეგმიური მონიტორინგის დროსაც ,,ჩაკეტილ სისტემასთან'' გვაქვს გადაკვეთა. ვერ განვსაზღვრავთ რა დროს და რის საფუძველზე შეიძლება იყოს განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგი. სავსებით შესაძლებელია ანონიმური განაცხადის წარდგენამაც კი განაპირობოს ვიზიტის ჩანიშვნა დაწესებულებაში. მაგალითად, ცენტრისთვის სტუდენტთა მიმართვის გზით, ასეთ შემთხვევაში ბუნდოვანია ის საკითხი, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას განცხადებაში მოცემული ინფორმაცია რომელ სტანდარტთან შესაბამისობაში განიხილება და სად შეიძლება მოვიძიოთ ინფორმაცია მტკიცებულების სახით, ასევე დაფუძნებული მონიტორინგის ვადები, პირობები და ფარგლები არ არის სრულად განსაზღვრული და შესაბამისად, სრულად გამჭვირვალე.

ყოველივე ზემო აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში დიდი ყურადღება ეთმობა ავტორიზაციის ახალი სტანდარტების იმპლემენტაციის პროცესს, მაგრამ არა ავტორიზაციის

პროცესების შემოწმების მექანიზმებს. ჯერ კიდევ არ არის მონიტორინგის პროცედურები დეტალურად შემუშავებული.

თავი III

საერთაშორისო გამოცდილება - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური ავტორიზაცია - აკრედიტაცია და მათი შემოწმების მექანიზმები

§ 3.1 დიდი ბრიტანეთი (ინგლისი, უელსი და ჩრდ. ირლანდია)

დასაწყისს უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ბრიტანეთი არ არის ბოლონიის პროცესის წევრი ქვეყანა, მაგრამ მისი განათლების სისტემა ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტებს. ბრიტანეთის უმაღლესი განათლების სისტემის უნიკალურობას განაპირობებს აკადემიური პერსონალის მაღალი დონე, სწავლების ინდივიდუალური სისტემა, რომელსაც პრაქტიკულად მხოლოდ აქ ვხვდებით, საჭიროების შემთხვევაში ეწყობა სტუდენტებთან ინდივიდუალური კონსულტაციები. ბრიტანეთის უნივერსიტეტში მიმდინარეობს პროფესორების მუდმივი მონიტორინგი. დიდი ბრიტანეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფუნქციონირებს ხარისხის სამსახურები, რომლებიც საერთო საკანონმდებლო რეგულაციების მიხედვით ფუნქციონირებენ, მაგრამ შიდა სისტემა განსხვავდება უნივერსიტეტების მიხედვით. ამასთანავე მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის გარე უზრუნველყოფის სისტემაც, რომელსაც უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო. (ხარისხის გაუმჯობესების მდგომარეობა საქართველოში - მიღწევები და პრობლემები, კვლევის ანგარიში *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2010 წელი)*

პროგრამების შეფასება და შუალედური მონიტორინგი წარმოებს გარე სააგენტოების მონაწილეობით. ყოველ წელს პროგრამაზე პასუხისმგებელი პროფესორი ახორციელებს პროგრამის მონიტორინგს. პროცედურა ითვალისწინებს გარე ექსპერტების, სხვა აკადემიური დაწესებულების და აკრედიცატიის გამცემი

პროფესიული ასოციაციის ჩართვას. ბრიტანეთის უნივერსიტეტები ეს არის ინსტიტუციები, რომლებიც დიდ ყურადღებას და მნიშვნელობას ანიჭებენ სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალისა და დამსაქმებლების კავშირებს ერთმანეთთან/ ასოციაციებს. ყოველწლიური მონიტორინგის გარდა, პერიოდული შეფასება მზადდება ყოველ ხუთ წელიწადში, რომელსაც უნივერსიტეტი, როგორც წესი, გარე შემფასებელს ანდობს. მათი შეფასება კი ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ექსპერტებისთვის მნიშვნელოვანია „საუკეთესო პრაქტიკის“ გამოვლენა და სხვა უნივერსიტეტებში მიღებული პრაქტიკასთან შესაბამისობა. შეფასების პროცესში ჩართულია დამსაქმებელი, ჩართვა კი განსხვავებული საშუალებებით ხდება, ფორმდება მათთან ხელშეკრულებები და რაც მთავარია პროგრამის შედგენისას უმნიშვნელოვანესია დამსაქმებლების ჩართვა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბრიტანეთის განათლების სისტემისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო დაფუძნებულია თვით უნივერსიტეტების მხარდაჭერით, რომელსაც დიდი მნიშვნელობა და როლი უკავია განათლების სისტემაში, სააგენტოს უფლებამოსილება გააჩნია მიიღოს ისეთ მნიშვნელოვანეს საკითხზე გადაწყვეტილება , როგორიცაა სახელმწიფოს მხრიდან უნივერსიტეტის დაფინანსების საკითხი.

დიდ ბრიტანეთში აკრედიტაცია წარმოადგენს ძვირადღირებულ პროცესს ეს იქნება დროის, რესურსების და ფულის კუთხით. აკრედიტაცია გავლენას ახდენს ინსტიტუციონალურ თავისუფლებაზე.(Cohen & Kisker, 2010)

ინგლისის უნივერსიტეტებში ინსტიტუციური აკრედიტაცია ეფუძნება დაწესებულების დებულებისა და მხარდამჭერი საქმიანობის სრულ ინსპექტირებას, დაწესებულების დოკუმენტაციის დეტალურ განხილვასთან ერთად, რაც ხელს

უწყობს დაწესებულების ფუნქციონირების განხორციელებას მისაღებ დონეზე. დიდ ბრიტანეთში აკრედიტაციის პროცესი მოიცავს სამ განსხვავებულ ეტაპს.

პირველი ეტაპი მოიცავს განაცხადის ფორმისა და თანმხლები დოკუმენტების შემოწმებას, რომელიც მოიცავს განაცხადის წარდგენის დოკუმენტაციის განხილვას. თუ ინფორმაცია მოწოდებულია სრულყოფილი სახით პროცესი მეორე ეტაპზე გადადის, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ინფორმაცია მოწოდებულია არასრული სახით ინსტიტუტს ეძლევა საშუალება გაეცნოს რა ტიპის ხარვეზები შეინიშნა და მიეცემა ვადა ამ ხარვეზების გამოსასწორებლად. მეორე ეტაპი მოიცავს პირველად ვიზიტს, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში იქნება ერთდღიანი, ვიზიტის დროს ყურადღება ექცევა ინსტიტუტის შესაბამისობას შენობასთან, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებასთან, მენეჯმენტის ხარისხსა და სტუდენტთა მხარდაჭერ ორგანიზაციებთან, ამასთან დგინდება დაგეგმილი კურსების სწავლების რესურსების ადეკვატურობა. ვიზიტის ფარგლებში იმართება შეხვედრები უნივერსიტეტების ადმინისტრაციის თანამშრომლებთან და განიხილება ძირითადი დოკუმენტაცია მათთან ერთად. ვიზიტის შემდეგ მზადდება ანგარიში, რომელიც წარედგინება აკრედიტაციის კომიტეტს. აკრედიტაციის კომიტეტისათვის წარსადგენი ანგარიში მოიცავს იმ დოკუმენტაციათა ნუსხას, რომელიც უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გააუმჯობესოს საქმიანობის პროცესები და შედეგებია აკრედიტაციის პროცესის დაწყებამდე. წარდგენილი ანგარიში ყურადღებით განიხილება აკრედიტაციის კომიტეტის მიერ, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დროებითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ. დროებითი აკრედიტაცია გრძელდება 12 თვის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ ამ ეტაპზე უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ვერ მოიპოვა აკრედიტაცია ამის შესახებ ინფორმირებული იქნება და მიეცა, გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა. პროცესის მესამე ეტაპზე ყურადღება მახვილდება აკადემიურ საკითხებზე, მათ შორის სწავლა სწავლების, რესურსებისა და ხარისხის მენეჯმენტის, სტუდენტური კეთილდღეობის და ოფიციალური ორგანოების

ანგარიშების ჩათვლით. მესამე ეტაპის დროს ხდება ინსტიტუტების ერთგვარი წახალისება, რათა გაუმჯობესდეს არსებული მდგომარეობა.

დიდი ბრიტანეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური აკრედიტაცია ხდება ბოლონიის პროცესის ხელისმომწერი ქვეყნებისგან განსხავებით. ინსტიტუციურ აკრედიტაციას აქ ახორციელებენ არა სახელმწიფო, არამედ კერძო ორგანიზაციები, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან არიან აკრედიტებულნი, რაც თავის მხრივ ქმნის პირობას პროცესის პოლიტიკისგან გათავისუფლების. მიმაჩნია, რომ დიდი ბრიტანეთის მაგალითი გასაზიარებელია და ამ მხრივ საქართველოს განათლების სისტემას ნაბიჯები აქვს გადასადგმელი.

§ 3.2 ესტონეთი

საერთაშორისო გამოცდილებაზე, როდესაც ვსაუბროთ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ესტონეთი გახლავთ პოსტ-საბჭოთა ქვეყანა, ისევე როგორც საქართველო და უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დღეს ესტონეთს აქვს ძლიერი და კარგად გამართული უმაღლესი განათლების სისტემა იგი აღიარებულია არაერთი სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომლებიც განათლების საკითხებზე აქტიურად მუშაობენ. ესტონეთის გამოცდილება ეს არის გამოცდილება, რომელიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარებისათვის ასპექტების უკეთ გასააზრებლად შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს. ესტონური კანონმდებლობის თანახმად, „ინსტიტუციური აკრედიტაცია არის გარე უზრუნველყოფის შეფასების სისტემა, რომლის დროსაც უმაღლესი განათლების ხარისხს ესტონური სააგენტო აფასებს უმაღლესი განათლების დაწესებულებების მენეჯმენტის, ადმინისტრაციის, სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის, სასწავლო და სამეცნიერო გარემოს შესაბამისობას კანონმდებლობასთან, ისევე როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების სამოქმედო გეგმებთან. ინსტიტუციურ

აკრედიტაციის გააჩნია მიზნები ესენია: უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტრატეგიული მენეჯმენტის და ხარისხის კულტურის განვითარების მხარდაჭერა, დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდება უსდ-ების საქმიანობის ძირითად შედეგებზე და ესტონეთის უმაღლესი განათლების კონკურენტუნარიანობის ამაღლება“ („ინსტიტუციური აკრედიტაციის პირობები და პროცედურა”, I. 2). ესტონეთში ინსტიტუციური აკრედიტაცია ხორციელდება შემდეგი სფეროებისა და ქვესფეროების აღწერის, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე.

ინსტიტუციური აკრედიტაცია (ავტორიზაცია) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. ორგანიზაციული მართვა
    - ზოგადი მართვა
    - პერსონალის მართვა
    - ფინანსური რესურსების მართვა და ინფრასტრუქტურაა
2. სწავლა და სწავლება
    - სწავლა - სწავლების ეფექტურობა და სტუდენტური ორგანოების ინფორმირებულობა
    - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება
    - სტუდენტების აკადემიური წინსვლა და მათი შეფასება
    - სწავლის პროცესის მხარდაჭერა
3. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა
    - კვლევის, განვითარებისა და სხვა შემოქმედებითი საქმიანობის ეფექტურობა
    - კვლევის, განვითარებისა და სხვა შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერა და რესურსები

- სტუდენტური კვლევების ზედამხედველობა

4. მომსახურება

- უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის პოპულარიზაცია და საზოგადოების ჩართულობა
- საზოგადოებაზე ორიენტირებული სხვა აქტივობები

მაგალითად, ესტონეთის ერთ-ერთმა წამყვანმა უნივერსიტეტმა, ტარტუმ, 2015 წელს გაიარა ავტორიზაცია. ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ტარტუს უნივერსიტეტი სრულიად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მათ შორის პირველი სტანდარტის მესამე ქვეპუნქტში. ამ ქვესტანდარტის კომენტარებში ექსპერტები წერენ, რომ უნივერსიტეტს აქვს უსაფრთხო და ეფექტური ფინანსური მართვის სისტემა და ის გონივრულად იყენებს ევროკავშირის დაფინანსებას. ტარტუმ, ბოლო 10 წლის განმავლობაში შესანიშნავად იმუშავა, რომ მიეღო ყველა შესაძლო დაფინანსება და განავითარა ინფრასტრუქტურა ძალიან მაღალ დონეზე. ამ ყველაფერს მან მიაღწია გარე გრანტების, ევროკავშირისა და შიდა რესურსების გაერთიანებით. შედეგად უნივერსიტეტს აქვს არამხოლოდ სრულიად ახალი ინფრასტრუქტურა, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თავისი მომავლის განვითარებაში. (ტარტუს ინსტიტუციური აკრედიტაციის შეფასების ანგარიში / Assessment report for institutional accreditation of University of Tartu, http://ekka.archimedes.ee/wp-content/uploads/UT-IA-Report.pdf).

რაც შეეხება აკრედიტაციას, ესტონეთში საგანმანათლებლო პროგრამამ, რომ წარმატებით გაიაროს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- საგანმანათლებლო პროგრამები და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება
- რესურსები
- სწავლა-სწავლების მეთოდები

- ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება;

  როგორც ვხედავთ, ესტონეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებში, მსგავსად საქართველოსი, დიდ მნიშვნელობა ენიჭება და სათანადო ყურადღებას უთმობენ შესაბამისი სასწავლო რესურსების კონტროლს, რადგან წარმოუდგენელია სრულფასოვანი ცოდნის მიცემა და სწავლის შედეგებზე გასვლა, შესაბამისი რესურსების უზრუნველყოფისა და ხელმისაწვდომობის გარეშე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ესტონეთის ავტორიზაციის სტანდარტებში ფინანსური რესურსები და ინფრასტრუქტურა გაერთიანებულია ერთ ქვეპუნქტში, განსხვავებით საქართველოს უსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებისგან, რადგანაც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან ფინანსური რესურსები პირდაპირ კავშირშია. რაც უფრო მეტი ფინანსური რესურსია, უფრო მეტის გაკეთება შეიძლება რესურსებისა და ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად.

  აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ესტონეთის „ინსტიტუციური აკრედიტაციის პირობებისა და პროცედურების“ მეორე თავის მეშვიდე მუხლი საგანგებოდ ეთმობა შეფასების ზემოთ აღნიშნული სფეროებისა და ქვესფეროების როგორც ჩამონათვალს, ისე დეტალურ განმარტებას, ხოლო ამავე დოკუმენტის დანართის სახით წარმოდგენილია როგორც ზოგადი მოთხოვნები, ისე მათი შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები. ამგვარი დეტალიზაცია მინიმუმამდე ამცირებს ექსპერტთა მხრიდან სუბიექტური და არაერთგვაროვანი შეფასების ალბათობას. ესტონეთის მაგალითის მოყვანა მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ საქართველო ეყრდნობა ესტონეთის ინსტიტუციურ აკრედიტაციის პროცედურებს.

§ 3.3 გერმანია

უცხო ქვეყნებზე საუბრისას გარდა პოსტსაბჭოთა გამოცდილებისა, ჩვენთვის აგრეთვე მნიშვნელოვანია ევროპული გამოცდილება, ამიტომ მაგალითად მოვიყვან გერმანიას, რადგან, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამ ქვეყანაში შესაძლებელია

მიიღო ხარისხიანი უმაღლესი განათლება. განვიხილავ მისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებს.

ინსტიტუციური აკრედიტაციის (ავტორიზაციის) სტანდარტები ასე გამოიყურება:

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პოლიტიკა
2. საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განვითარება
3. მუდმივი მონიტორინგი და პროგრამების პერიოდული შემოწმება
4. სწავლა, სწავლება და სტუდენტთა შეფასება
5. სტუდენტთა მიღება, წინსვლა აღიარება და სერტიფიცირება
6. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება
7. სასწავლო რესურსები და სტუდენტთა მხარდაჭერა
8. ინფორმაცია როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საინტერესოა მე-7 სტანდარტი. იმისათვის,

რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დააკმაყოფილოს ეს სტანდარტი, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი დაფინანსება სწავლა-სწავლებისთვის და უზრუნველყოს შესაბამისი და ადვილად ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსები, ამასთანავე უსდ უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტების მხარდაჭერას. (გერმანიის ინსტიტუციური აკრედიტაციის სტანდარტები/Standards for Institutional Accreditation byAQAS.

გერმანიაში კი საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. კურიკულუმის ხარისხი
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

3. სწავლა, სწავლება და სტუდენტთა შეფასება

4. სტუდენტთა მიღება, პროგრესი, აღიარება და სერტიფიცირება

5. ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება

6. სასწავლო რესურსები და სტუდენტთა მხარდაჭერა

საჯარო ინფორმაცია და მე-6 სტანდარტი სასწავლო რესურსები და სტუდენტთა მხარდაჭერა გულისხმობს, რომ უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს შესაბამისი აღჭურვილობა და რესურსების ხელმისაწვდომობა, რათა ხელი შეუწყოს სწავლა-სწავლების პროცესს და მხარი დაუჭიროს იმ სტუდენტებს, რომლებიც წარმატებულნი არიან სწავლაში. (გერმანიის პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტები/Criteria for programme .

როგორც განხილული სტანდარტებიდან ვნახეთ, გერმანიაშიც არანაკლები ყურადღება ეთმობა იმას, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფილი უნდა იყოს კარგად აღჭურვილი ბიბლიოთეკით და სასწავლო ლიტერატურის საკმარისი მარაგით. განხილული დოკუმენტებიდან გამომდინარე, ცალსახად შეიძლება იმის თქმა, რომ დღეს მსოფლიოში ძალიან დიდი ყურადღება ექცევა იმას, რომ უმაღლესი სკოლა უზრუნველყოფილი იყოს, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და რესურსებით, რადგან სტუდენტები მაქსიმალურად უზრუნველყოფილნი იყვნენ და მათ ჰქონდეთ სწავლისთვის შესაფერისი გარემო.

თავი IV

კვლევითი ნაწილი

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგიად არჩეულ იქნა თვისებრივი **კვლევის მეთოდი, კერძოდ ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ,** რომელიც ნაწილობრივ შეიცავს წინასწარ შემუშავებულ სადისკუსიო გეგმის არსებობის საჭიროებას.

კვლევის ამ მეთოდის დადებით მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ინტერვიუს ჩაწერისას მკვლევარის გავლენა მინიმალურია. ის ფაქტობრივად მსმენელია. ის, ამ დროს რესპოდენტს სთხოვს, მოუყვეს მონიტორინგის მიმდინარეობის და გამოყენებული შეფასების მექანიზმების, რეგულაციების და პროცედურების შესახებ, ხოლო თხრობაში ჩარევა ხდება მხოლოდ საკითხზე ფოკუსირების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ კვლევის ეს მეთოდი წარმოებული მონიტორინგის სრულ მიმდინარეობას არ შეისწავლის, ის ფოკუსირებულია მონიტორინგის რეგულაციებისა და პროცედურების არა გამჭვირვალობის შედეგად გამოვლენილ პრობლემატიკაზე, რომელიც შეირჩა კვლევის მიზნიდან გამომდინარე.

ამ მეთოდის მთავარ უპირატესობას წარმოადგენს სხვადასხვა დაწესებულებაში, განსხვავებული საფუძვლის შედეგად წარმოებული მონიტორინგის პროცედურების, რეგულაციებისა და მექანიზმების, შედარება და გარკვეული კანონზომიერებების ჩამოყალიბება (“თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ თ. ზურაბიშვილი, 2006).

გარდა ამისა, თვისებრივი მეთოდის დახმარებით მკვლევარი იღებს ინფორმაციას „როგორ“, „რამდენად ხშირად“ კითხვების მიღმაც (A.Burnham, 2013) ამავდროულად აღსანიშნავია, რომ თვისებრივი მეთოდი განსაკუთრებული

მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ისეთი თემების გამოსაკვლევად რომლებიც ნაკლებად არის შესწავლილი. (“თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ თ.ზურაბიშვილი, 2006).

რაც შეეხება „ღია კითხვებს“, ეს არის ძირითადი ინსტრუმენტი, რისი მეშვეობითაც მიმდინარეობს ჩაღრმავებული ინტერვიუ. რესპოდენტს არ აქვს შეთავაზებული კითხვაზე შესაძლო პასუხები.

სწორედ ამიტომ აღნიშნული კვლევის მეთოდი მიჩნეულია, მონიტორინგის პროცედურების, რეგულაციებისა და მექანიზმების, შედეგად გამოვლენილი პრობლემების, ყველაზე ვალიდურ კვლევის მეთოდად. იძლევა შესაძლებლობას საკვლევი საკითხების სიღრმისეულად შესწავლისა და დეტალურად გაანალიზების.

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევა გახლავთ აღმოჩენითი ტიპის. (კვლევა), რისთვისაც, წინასწარ განვსაზღვრეთ კონკრეტული რესპოდენტები, არიან შერჩულნი, კერძოდ; ავტორიზაციის ექსპერტები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები (შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი), განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები.

კვლევა განხორციელდა zoom-ის ელექტრონული პლატფორმის დახმარებით.

სამიზნე ჯგუფი:

კვლევაში ჩართული გახლდათ სამი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი, ორი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი და სამი ავტორიზაციის

ექსპერტი . ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს გამოვკითხეთ ჯამში რვა რესპოდენტი და მიღებული მონაცემები დავამუშავე.

კვლევის პროცესში მონაწილე პირთა კონფიდენციალურობა მკაცრად არის დაცული. თითოეულ რესპოდენტს ეცნობა კვლევის შინაარსი. განემარტა თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი მონაწილეობა არსებულ კვლევაში და წინასწარ მოხდა შეთანხმება ინტერვიუს ჩაწერასთან დაკავშირებით.

კვლევის პროცესში გამოვლენილ იქნა საერთო მახასიათებლები და დადგინდა არსებული კანონზომიერება და შედეგები შეჯერდა.

წინამდებარე ნაშრომი მნიშვნელოვანი და აქტუალური იქნება დარგის სპეციალისტებისათვის, რადგან ნაშრომში ჩამოყალიბებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის რეგულაციების, პროცედურებისა და მექანიზმის შესაძლო ხარვეზების გამომწვევი მიზეზები, რომელიც ბუნდოვანებას სძენდა მონიტორინგის პროცესის შემოწმების მექანიზმებს. ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები რიგ საკითებთან დაკავშირებით.

§4.1. ავტორიზაციის ექსპერტებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს, პრეინტერვიუს დროს წარმომადგენლებს განემარტათ ინტერვიუს მიზანი, შესასწავლი საკითხის ირგვლივ დაისვა ღია კითხვები. კითხვარი შემუშავდა მეორეული ინფორმაციის (საკვლევ თემასთან დაკავშირებული კანონმდებლობის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების და საკითხის შესახებ არსებული სტატიების) საფუძველზე. ავტორიზაციის ექსპერტებს ინტერვიურებისას მიემართათ შემდეგი სახის კითხვებით, საერთო სურათის

წარმოსადგენად განხილულია ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაცემული პასუხები ერთიანი, შეჯერებული სახით.

თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა პრობლემები იკვეთება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს და არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს?

ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ დაწესებულებებს არ აქვთ სწორად აღქმული მონიტორინგის არსი და მნიშვნელობა, ხშირ შემთხვევაში მონიტორინგის ვიზიტი დაწესებულებებისათვის არის აღქმული როგორც სადამსჯელო ღონისძიება და არა გასაუმჯობესებელი/ განმავითარებელი ღონისძიება. ამავდროულად, ხშირად უჭირთ დოკუმენტებში გამოყონ დაწესებულების სუსტი და ძლიერი მხარეები, თუმცა საუნივერსიტეტო საქმიანობას ბევრად სრულფასოვნად და წარმატებით ახორციელებენ ვიდრე მათი დოკუმენტაცია ცხადყოფს. ექსპერტები უსვამენ ხაზს, რომ დაწესებულებას არა აქვს სიღრმისეულად გაზიარებული რას ნიშნავს და რას ემსახურება მონიტორინგის პროცესი და მისი წარმოება.

თუ შეგიძლიათ, თქვენი მოსაზრება გაგვიზიაროთ, რა აზრის ხართ ავტორიზაციის თვითშეფასების ფორმაზე, რაიმე სახის ცვლილებას ხომ არ შეიტანდით მასში და რამდენად კომფორტულია თქვენთვის მუშაობის დროს?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა მოსაზრებით, ავტორიზაციის თვითშეფასების ფორმა არის ზედმიწევნით კარგად შემუშავებული იმისათვის, რომ მასში მუშაობა იყოს კომფორტული. ამავდროულად ექსპერტები გამოხატავენ მოსაზრებას იმ გარემოებაზე, რომ არსებობს სახელმძღვანელო, რომელიც დეტალიზებულია და მისი დახმარებით ექსპერტს აქვს შესაძლებლობა იმუშაოს თავისუფლად და მათთვის წარმოშობილ ყველა კითხვას სახელმძღვანელოს დახმარებით გასცენ პასუხი. ექსპერტები განმარტავენ, რომ ყოველთვის შეიძლება

რაღაც ცვლილებების განხორციელება, თუმცა ჯერ ჯერობით რა გამოცდილებაც მათ დააგროვეს არ იზიარებენ გარემოებას რომ, ამ დროსათვის საჭიროა რაიმე ცვლილების განხორიელება თვითშეფასების ფორმაში. ექსპერტების მოსაზრებით, დაწესებულებას ძალიან კარგად უნდა ჰქონდეთ გააზრებული, თუ რა მნიშვნელობა აქვს თვითშეფასებას დაწესებულებისათვის. ექსპერტები ფიქრობენ, რომ ეს ბევრად მნიშვნელოვანი ფაქტორია დღეის მოცემულობით, ვიდრე თვითშეფასებაში რაიმე ცვლილების შეტანის ძიება.

არაგეგმიურო მონიტორინგისას, დოკუმენტაციის შესასწავლად რამდენად საკმარისია მონიტორინგის ვიზიტისათვის განსაზღვრული დრო.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ თითქმის ყოველთვის შემჭიდროვებულ ვადებში უწევთ დოკუმენტებზე მუშაობა და საჭიროა პრობლემების იდენტიფიცირების შემდგომ ადეკვატური დროის განსაზღვრა. ზოგიერთი მათგანი აღნიშნავს, რომ შემჭიდროვებულ ვადებში, რთულია სრულფასოვნად გაეცნო ყველა დოკუმენტს და შემდეგ ის დასკვნაში ასახო. იმის გათვალისწინებით, რომ ექსპერტების ვიზიტის დასასრულს დაწესებულებას აცნობენ მიგნებებს, სასურველია, რომ დასკვნაში არ აისახოს ისეთ დაუზუსტებელი ინფორმაცია, რაზეც ექსპერტებს საუბარი არ ჰქონიათ მიგნებების გაცნობის დროს.

რამდენად მიიჩნევთ მიზანშეწონილად, რომ გეგმიური მონიტორინგის დროს ინსტიტუციიდან გამოთხოვილ დოკუმენტაციას ახლდეს დაწესებულების მხრიდან თვითშეფასების ფორმაც.

ექსპერტების მოსაზრებით, არ არის საჭირო თვითშეფასების ფორმის წარმოდგენა, თუმცა შესაძლებელია იყოს თვითშეფასების მსგავსი ფორმა, რომელში დაწესებულება აღწერდა თუ რომელი თანდართული დოკუმენტი, რომელ განსახილველ საკითხთან მიმართებით არის წარმოდგენილი, რომ ექსპერტმა მიიღოს დაწესებულების მხრიდან ზუსტი და კონსოლიდირებული ინფორმაცია. მხოლოდ

ერთი მათგანის მოსაზრებით, დაწესებულებამ სასურველია წარმოადგინოს არა თვითშეფასების ფორმა, არამედ თვითშეფასების ფორმის მსგავსი ,,კითხვა-პასუხის'' ფურცელი, სადაც კონკრეტულად იქნება გამიჯნული რა რეკომენდაცია ჰქონდა დაწესებულებას მიღებული შესასრულებლად და რა შეასრულა, ვინაიდან მათთვის ბევრად მარტივი აღსაქმელი იქნებოდა დაწესებულებამ რა გზა განვლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

რას ფიქრობთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებსა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რას შეცვლიდით მასში ან დაამატებდით სტანდარტებს.

ექსპერტების მოსაზრებით , სტანდარტები და მისი შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალე და კარგად აღქმადია. შესაბამისად ამ დროისათვის ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების კრიტერიუმები სავსებით მისაღებია და არ საჭიროებს ცვლილებებს. ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, ავტორიზაციის შვიდი სტანდარტი სრულფასოვნად მოიცავს დაწესებულების საქმიანობას, როგორც ორგანიზაციულ სტრუქტურას, სტრატეგიას, მისიას, ხედვას, პროგრამებს, ადამიანურ რესურსებს, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს. არსებული სტანდარტები პრაქტიკულად იგივეა, რასაც ითვალისწინებს ევროპული სტანდარტი, ამიტომ რაიმე ცვლილებების აუცილებლობას სტანდარტი და მისი შეფასების კრიტერიუმები არ საჭიროებს.

საკმარისია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვროს 60 დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად თუ დაწესებულებაში ხარვეზი ეხება ავტორიზაციის ან აკრედიტაციის რამდენიმე სტანდარტის დარღვევას?

ექსპერტების ერთხმად აღნიშნავენ, რომ 60 დღე ხარვეზის გამოსასწორებლად დაწესებულებას უნდა განესაზღვროს პრობლემატიკიდან გამომდინარე,

დაწესებულებამ შესაძლოა 60 დღის განმავლობაში ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციების გამოსწორების უზრუნველყოფა შეძლოს, თუმცა ვერ შეძლოს ტექნიკურ მატერიალური ბაზის მოწესრიგება. ამიტომ 60 დღის ვადის უნდა განესაზღვროს პრობლემატიკის გათვალისწინებით. ექსპერტების მოსაზრებით, დაწესებულებებს ხელი უნდა შეეწყოს პრობლემის მოგვარების რეალური შესაძლებლობისათვის. სხვა შემთხვევაში ხარვეზის აღმოფხვრა ხშირად ძალიან ფორმალურ ხასიათს ატარებს.

რას ფიქრობთ საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობის შესახებ ავტორიზაციის სტანდარტების შემოწმების დროს და რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ მონიტორინგის ვიზიტის დროს საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა?

ექსპერტები არ იზიარებენ საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობას მონიტორინგის ვიზიტში. ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა მონიტორინგის ვიზიტის დროს არ იქნება მართებული. ვინაიდან საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა გაზრდის დაწესებულების ხარჯებს. ამავდროულად ადგილობრივი ექსპერტები კვალიფიკაციას თუ გავითვალისწინებთ, მათ შეუძლიათ ინსტიტუციის ობიექტურად შეფასება.

როგორ განისაზღვრება არაგეგმიური მონიტორინგის დროს - საჩივრის შემოტანის შემდგომ, რომელი სტანდარტთან მიმართების უნდა შემოწმდეს დაწესებულება და ვინ განსაზღვრავს აღნიშნულ მიმართულებას?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ზოგიერთი მათგანი გვიზიარებთ, თავის მოსაზრებას - ,,როდესაც მონიტორინგი ჯგუფი იქმნება, ჩვენ ექსპერტთა ჯგუფი პირველ რიგში შევისწავლით განაცხადს და ვარკვევთ იმას თუ რომელ სტანდარტთან გვაქვს შეხება, განაცხადის შინაარსი, რომელ სტანდარტს უკავშირდება. აღნიშნული საკითხი ხდება განხილვის საგანი ექსპერტებს შორის,

რომ მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება შესამოწმებელი სტანდარტების იდენტიფიცირებისათვის'' - ,,გადაწყვეტილებას აღნიშნულ შემთხვევაში მთლიანად ვიღებთ ექსპერტთა ჯგუფი, წინასწარ შეხვედრების დროს, მაშინ როდესაც ჩვენ მივიღებთ მასალებს ინსტიტუციიდან, ექსპერტთა ჯგუფი ვნიშნავთ წინასწარ შეხვედრებს. შეხვედრებს შესაძლოა დაესწროს ცენტრის წარმომადგენელი, რათა განხილვის პროცესში ექსპერტებს გაგვიწიოს შესაბამისი რეკომენდაციები. სავსებით შესაძლებელია ექსპერტებმა სრულად ვერ დავინახოთ და ვერ განვსაზღვროთ საჩივრის სტანდარტთან შესაბამისობა, შესაბამისად ცენტრის თანამშრომელი / სპეციალისტი არის განხილვის საკითხში ჩართული. დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლის დროს ექსპერტთა ჯგუფი და ცენტრის სპეციალისტი, რომელიც მიემაგრა კონკრეტულ პროცესს, ერთად შეთანხმებით ვიღებთ გადაწყვეტილებას, რომელი სტანდარტები უნდა დავფაროთ, თუმცა ყოფილა შემთხვევები, უშუალოდ ინტერვიურების დროს გამოკვეთილა დამატებითი სტანდარტები განხილვის საჭიროებაც, რომელსაც რა თქმა უნდა განვიხილავთ და დამატებით წარმოვადგენთ მისი შესწავლის საჭიროებას, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით შეზღუდულნი არ ვართ პირიქით განვსაზღვრავთ სტანდარტის ან ქვესტანდარტის განხილვის საჭიროებას და ვამატეთ შესაბამის ველში'' .

არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით, რა აზრის ხართ რამდენად ადეკვატური არგუმენტირებულ პოზიციაა **დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი ხოლმე და რამდენად ითვალისწინებენ ექსპერტები?**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ზოგიერთი ექსპერტი გვიზიარებს - ,,უნდა ავღნიშნო, რომ მე ყოველთვის ვითვალისწინებ არგუმენტირებულ პოზიციას, თუმცა ჩემი კოლეგების აზრი ხშირად მომისმენია, რომ ექსპერტი არასოდეს არაფერს ცვლის და სვამენ კითხვას რატომ უნდა შევცვალოთ? თუმცა ვფიქრობ, რომ ექსპერტიც შესაძლოა შეცდეს, მაგრამ თუ დაწესებულებას შესაძლებლობა აქვს დამატებით კიდევ გაგვიზიაროს საკუთარი მოსაზრება რატომაც არა, არ შეიძლება მისი

უგულებელყოფა. მაგრამ როდესაც დაწესებულება ვიზიტის დასრულების შემდგომ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც შეიმუშავა რეკომენდაციის საფუძველზე და არგუმენტირებულ პოზიციაში მიუთითებს, რომ მან უკვე გამოასწორა რეკომენდაცია, რაღათქმაუნდა, აღნიშნულ გარემოებას ვერ გავითვალისწინებ და ამას დასკვნის პროექტში ყოველთვის ვაფიქსირებ, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ესა და ეს დოკუმენტაცია თუმცა, არ ვიღებ მხედველობაში და არ განვიხილავ.'' - ,,დაწესებულებას აქვს საშუალება წარმოადგინოს არგუმენტირებული პოზიცია იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტის დასკვნა ან მიკერძოებულია ან არაპროფესიონალურია არის საკითხი განხილული თავისთავად ცხადია დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ამისი განხილვის შესაძლებლობა. საბჭო ღებულობს როგორც ექსპერტის დასკვნას, ასევე დაწესებულების პოზიციას და მათ საშუალება აქვთ დაინახონ ვინ არის ამ შემთხვევაში ამ კამათში მართალი ექსპერტი თუ დაწესებულება''.

საბჭოს თუ მიუღია რადიკალურად სხვა გადაწყვეტილება ექსპერტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებისგან და თუ მიუღიათ, რა იყო ამის განმაპირობებელი ფაქტორი და რამდენად დასთანხმებულხართ საბჭოს გადაწყვეტილებას?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ზოგიერთი ექსპერტი გვიზიარებს -,, რაღქმაუნდა მიუღია საბჭოს მსგავსი გადაწყვეტილება და ვფიქრობ, ეს ყოფილა მიკერძოებულობიდან გამომდინარე''. - ,,ჩემს შემთხვევაში აუცილებლად უნდა ავღნიშნო, რომ საბჭოს არაერთხელ მიუღია სხვა გადაწყვეტილება და ჩემს მიერ წარდგენილი გადაწყვეტილება შეუცლია, რაც სიმართლე გითხრათ ძალიან არაკომპეტენტურია საბჭოს მხრიდან, მაშინ როდესაც მე მაქვს უფლება მოსილება შევისწავლო დოკუმენტაცია, ვიმყოფებოდე რამდენიმე დღით ვიზიტზე დაწესებულებაში, არაერთი ინტერვიურებიდან მივიღო ძალიან ბევრ საკითხზე ინფორმაცია და სწორედ მის საფუძველზე წარვადგინო დასკვნის პროექტი. ამ დროს

კი საბჭო ეჭქვეშ აყენებს ექსპერტის ობიექტურობას და ცვლის გადაწყვეტილებას, რაც ხშირ შემთხვევაში ექსპერტისათვისაც კი ბუნდოვანია, ეს არის შეურაცხმყოფელი, როდესაც ექსპერტს უწევს საბჭოს წინაშე თავის მართლება და მტკიცება საკითხის ობიექტურობისა, ეს გახლავთ ექსპერტის სადამსჯელო გილიოტინა თუმცა დასჯის მიზეზი უცნობია". - ,, სამწუხაროდ, ყოფილა ასეთი შემთხვევები, როგორც ავტორიზაციის ისევე აკრედიტაციის დროსაც, როდესაც საბჭო ცვლიდა ექსპერტების დასკვნას ამკაცრებდა მას რიგ შემთხვევაში, ან პირიქით არბილებდა. მაგრამ პრობლემა გახლდათ ის, რომ საბჭოს არ ევალებოდა დაესაბუთებინა თავისი გადაწყვეტილება. ეს ქმნიდა სერიოზულ პრობლემას, რომ ისინი მარტივად და ადვილად იღებდნენ ასეთ გადაწყვეტილებებს, თუმცა ბოლო პერიოდში ცენტრმა შეცვალა ეს მიდგომა და დღეს თუ საბჭო შეცვლის ექსპერტის შეფასებას მას მოუწევს არგუმენტაცია, დასაბუთება იმის, თუ რა არგუმენტაციაზე დაყრდნობით შეცვალა გადაწყვეტილება. შესაბამისად, ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია და საბჭო იძულებული იქნება უფრო ფრთხილად მოეკიდოს ასეთ გადაწყვეტილებებს".

როგორ ფიქრობთ საჭიროა თუ არა მონიტორინგის ვიზიტისას, რომელიც ხორციელდება მანამდე განხორციელებული მონიტორის შედეგების შესამოწმებლად ვიზიტში ჩართული გახლდეთ პირველი მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფიდან ერთ-ერთი ექსპერტი მაინც.

ექსპერტი განმარტავს, რომ კარგი კითხვაა ძალიან და დასძენს, -,, აუცილებლად არის საჭირო წინა ჯგუფიდან ჯგუფის ერთი წევრი მაინც მონაწილეობდეს განმეორებითი მონიტორინგის დროს, იმიტომ, რომ ძალიან ხშირად, როცა შედის ახალი ჯგუფი ის შემდეგ წერს პრაქტიკულად ახალ რეკომენდაციებს, რაც არ არის სწორი. შევიდა ერთი ჯგუფი და შემდგომში ორ თვეში მიდის მეორე ჯგუფი და წერს სხვა რეკომენდაციებს, რაც მემგონი, რომ არასწორია. ეს იმას ნიშნავს, რომ წინა ჯგუფმა არ იმუშავა კარგად ანუ მეორე ჯგუფმა ორ თვეში თუ ახალი რეკომენდაციები დაწერა, ეს იმას ნიშნავს, რომ პირველმა ჯგუფმა ვერ დაინახა

პრობლემები დაწესებულებაში და ამ შემთხვევაში სახელმწიფოს სტრუქტურა ჩანს ცუდად და რეპუტაცია ელახება. შესაბამისად, უმჯობესია, რომ ყოველთვის იყოს ჩართული წინა ჯგუფიდან ექსპერტი, რომელმაც იცის რატომ დაიწერა ეს რეკომენდაციები, რასთან დაკავშირებით დაიწერა. ამიტომ სასურველია, წინა ჯგუფის ექსპერტის ჩართულობა, ვინაიდან მას აქვს ნათელი წარმოდგენა წინა ვიზიტის დროს, შესაბამისად გაგვიზიარებს დაწესებულების პროგრესის ან რეგრესის პროცესს".

როგორ ფიქრობთ, თუ გავითვალისწინებდით საერთაშორისო გამოცდილებას, რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა ცენტრთან ერთად არსებობდეს ასე ვთქვათ, გარე დამხმარე ორგანიზაცია ,,სააგენტოს სახით", რომელიც მონიტორინგის საქმიანობს გაუძღვებოდა ცენტრთან ერთად ,,სააგენტო" რომელიც არ იქნებოდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში და ის იქნებოდა კერძო სტრუქტურა ინსტიტუციების ერთობლივი ძალისხმევით შექმნილი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტებმა მნიშვნელოვნად საინტერესო მოსაზრებები გაგვიზიარეს. კერძოდ მივიღეთ ორი რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება; ზოგიერთი ექსპერტი გვიზიარებს- ,,ამ ეტაპზე შეუძლებლად მიმაჩნია სააგენტოს ჩართულობა, ვინაიდან ჩვენ ახლახანს დავიწყეთ ავტორიზაციის სტანდარტების შემოწმების მექანიზმების ამოქმედება და ვფიქრობ, სააგენტოები სრულ ფუნქციონირებას ვერ შეძლებენ" - ,,აუცილებელიც კი არის მსგავსი სააგენტოების არსებობა, უბრალოდ ჩვენი ხელისუფლება ამაზე არ ფიქრობს ანუ ინსტიტუციონალურად, ქვეყანა არ პირველი, რომ ცენტრი უნდა იყოს დამოუკიდებელი სტრუქტურა და არ უნდა ექვემდებარებოდეს განათლების სამინისტროს. მან უნდა მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, მეორე ქვეყანაში უნდა არსებობდეს კერძო სამართლის იურიდიული პირებიც და არა მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც ზუსტად იგივე საქმიანობას განახორციელებენ რასაც ცენტრი ახორციელებს, როგორც ეს არის

ევროპის ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. არაფერია ამაში განსაკუთრებული პირიქით, ეს გამოიწვევს, რომ იქნება ჯანსაღი კონკურენიცა, რაც გამოიწვევს განათლების ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებას. კერძო კომპანიები შეძლებენ, უფრო აქტიურად ჩართონ პროცესში ევროპული პარტნიორი ორგანიზაციები თუნდაც ცალკეული პროგრამების შემოწმებაში, ამიტომ ეს სივრცე უნდა გაიხსნას, რაც უფრო დიდხანს იქნება ჩაკეტილი ეს მით უფრო ცუდი იქნება. ცენტრს არ ყავს ამ შემთხვევაში კონკურენტი და როცა კონკურენტი არ არსებობს და მონოპოლიური ორგანიზაციები არსებობენ იქ ყოველთვის არის პრობლემები. კერძო ორაგნიზაციები ეცდებიან მოიწვიონ ყველაზე კვალიფიციური ექსპერტები, რომ მათი დასკვნები იყოს ვალიდური, რომელსაც აღიარებენ საერთაშორისო ორგანიზაციები. კერძო ორგანიზაციები ამას უკეთესად გააკეთებენ ვიდრე ამას ცენტრი აკეთებს''.

რამდენად ხშირია ტრენინგები დაწესებულებაში მონიტორინგის დროს აღმოჩენილი პრობლემატიკების შესახებ?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოიკვეთ განსხვავებული გარემოებანი, განსაკუთრებით მხოლოდ ერთი ექსპერტის მხრიდან, რომელიც განმარტავს - ,,სიმართლე გითხრათ, ექსპერტებისთვის ხშირად იგეგმება ტრენინგები, თუმცა აუცილებლად უნდა ავღნიშნო ტრენინგებში ძალიან იშვიათად რთავენ სტუდენტ ექსპერტს, რაც დამეთანხმებით ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს, თუნდაც სტუდენტი ექსპერტის ჩართულობას ცენტრი აღიქვამს თუ არა ფორმალური ხასიათის ჩართულობად!'' , ზოგიერთი ექსპერტი განმარტავს - ,, ექსპერტებისათვის ხშირად იგეგმება ტრენინგები, თუმცა ვფიქრობ, მეტად სისტემური ხასიათი, რომ ჰქონდეს ტრენინგებს, ბევრად კარგი იქნებოდა. სამწუხაროდ, დღეს მიმდინარე პროცესებიდან და COVID პანდემიიდან გამომდინარე ტრენინგები კიდევ უფრო შემცირდა''.

§4.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგები

როგორ ფიქრობთ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალი სტანდარტები ადეკვატურია საქართველოს განათლების სისტემისთვის?

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები ერთხმად თანხმდებიან, რომ ავტორიზაციის ახალ სტანდარტების იმპლემენტაციაში ძალიან დიდი ძალისხმევაა ჩადებული მუშაობის თვალსაზრისით, იგი სრულ შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან, საქართველოს განათლების სისტემა კი დღეს სწორედ იმ ეტაპზეა, რომ მას უნდა შეეძლოს ახალი ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილება.

როგორ ფიქრობთ, რა პერიოდია საჭირო იმისთვის, რომ ევროპულ სტანდარტებს რეალურად მიუახლოვდეს ქართული?

ექსპერტების მოსაზრებით, საკითხი ძალიან კომპლექსურია და რთული იქნება აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა, თუმცა არსებობს რიგი პრობლემები, რომელებიც ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად გვაშორებს ევროპულ სტანდარტებთან მიახლოვებას, თუმცა მიუხედავად ამისა, დაახლოებით 3-5 წელია საჭირო, რომ სრულ შესაბამისობასთან ვიყოთ ახლოს ევროპულ სტანდარტებთან, ვინაიდან განათლების სისტემას ჰქონდა საკმარისი დრო მიეღო, გაეაზიარებინა და ეზრუნა სტანდარტების დანერგვაზე.

რამდენად რეალურია ყველა სტანდარტის შესრულება? ხომ არ აწყდებით გარკვეული სახის პრობლემებს?

რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ სტანდარტების შესრულებისას არის რიგი სირთულეები, თუნდაც ეს შეიძლება იყოს გამოწვეული დაწესებულების ფინანსური სახსრების სიმცირით. თუმცა სტანდარტების შესრულება არის რეალური და დროში მიღწევადი. იყო იგი გამოწვევები, რომელთა წინაშეც აღმოჩნდნენ დაწესებულებები სანამ სტანდარტების სრული გათვითცნობიერება და გაზიარება მოხდებოდა. თუმცა დღეს მისი შესრულება სავსებით შესაძლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის. სტანდარტების საბოლოო სახით შემუშავებაზე, მხოლოდ ხარისხის ცენტრს არ უმუშავია , ის კომბინირებულად მუშაობდა სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად და ითვალისწინებდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აზრს, საერთაშორისო ექსპერტების რჩევებს, ითვალისწინებდნენ არსებულ პრაქტიკას და მენტალობას, შესაბამისად შესრულებადი არის თუმცა მარტივად შესრულებადი არ არსი.

როგორ ფიქრობთ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალი სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნები ძველ სტანდარტებთან შედარებით მეტისმეტად მკაცრი და რთულად შესასრულებელია? რა არის სტანდარტის დადებითი მხარეები?

რესპოდენტები აღნიშნავენ, ძველ სატანდარტებთან შედარებით ახალია ავტორიზაციის სტანდარტები და რა თქმა უნდა, ბევრად მკაცრად გამოიყურება, თუმცა შესაძლებელია, ძველი სტანდარტების გათვალისწინებით, ვინაიდან ძველი სტანდარტები ბევრად მარტივი შესასრულებელი გახლდათ. ახალი სტანდარტები ძალიან სიღრმისეულად და კომპლექსურად ითვალისწინებს სტანდარტებისა და ქვესტანდარტების შინაარს და მათი შესრულების მექანიზმებს. შესაბამისად შესაძლებელია იყოს მკაცრიც და რთულად შესასრულებელიც, თუმცა მისი

დადებითი მხარე გახლავთ სწორედ ის, რომ ახალი ავტორიზაციის სტანდარტები ფარავს ყველა საქმიანობის შესრულებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. საქმიანობაში თანაბრად არის ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეული ახალ ავტორიზაციის სტანდარტებზე მუშაობისას, ერთიანად არის ჩართული დაწესებულება, როგორც ერთი მთლიანი მექანიზმი.

როგორ ფიქრობთ, თუ გავითვალისწინებდით საერთაშორისო გამოცდილებას, რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა ცენტრთან ერთად არსებობდეს ასე ვთქვათ, გარე დამხმარე ორგანიზაცია ,,სააგენტოს სახით" რომელიც მონიტორინგის საქმიანობს გაუძღვებოდა ცენტრთან ერთად ,,სააგენტო" რომელიც არ იქნებოდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში და ის იქნებოდა კერძო სტრუქტურა ინსტიტუციების ერთობლივი ძალისხმევით შექმნილი.

რესპოდენტებისგან გაზიარებული ინფორმაციით, მისაღებია ,, სააგენტოების '' არსებობა და აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანიც არის მათი ჩართულობა. თუ ჩვენ ვსაუბრობთ, რომ ჩვენ გვინდა ევროპულ სივრცესთან ვიყოთ ძალიან ახლოს, არ შეიძლება ყველაფრი საწყისი/დომინანტი ორგანო გახლდეთ ცენტრი, რომელიც თან ნერგავს პროცესებს, თან ამოწმებს და თან ავითარებს, მივდივართ იმ გარემოებამდე, რომ ცენტრი ხშირად ამოწმებს საკუთარ თავს დაწესებულებების სახით, ამიტომ ეს ჩაკეტილი სივრცე უნდა გაიხსნას.

თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა პრობლემები იკვეთება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს და არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს?

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით რესპოდენტები გვიზიარებენ მოსაზრებებს, რომ სიღრმისეულად თუ გავეცნობით ავტორიზაციის დებულებას, ვნახავთ, რომ მონიტორინგის პროცედურები, ეს იქნება გეგმიური მონიტორინგი თუ არაგეგმიური მონიტორინგი დაწესებულებებს არ აქვს შესაძლებლობა იცნობდნენ რეალურად იმ

მექანიზმების, რომლის მიხედვითაც ხდება დაწესებულებების შემოწმება. რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ მექანიზმები ბუნდოვანია და არა გამჭვირვალე, რომელსაც ძალიან ბევრი პრობლემის წამოჭრა შეუძლია. ვერ ვიტყვით, რომ მექანიზმები და პროცედურები იმდენად თანმიმდევრულად არის გაწერილი, რომ დაწესებულებებს კითხვები და პრობლემები არ უნდა ჰქონდეთ.

არაგეგმიურო მონიტორინგისას, დოკუმენტაციის შესასწავლად რამდენად საკმარისია მონიტორინგის ვიზიტისათვის განსაზღვრული დრო?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშრებით, უმაღლესის საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლები გვიზიარებენ მოსაზრებებს, რომ მნიშვნელობა არ აქვს გეგმიური თუ არაგეგმიური ვიზიტი იქნება დაწესებულებაში, მივდივართ იმ ფაქტორამდე, რომ ცენტს უჭირს გამკლავება ზღვა დოკუმენტაციასთან და დროის ფაქტორი არის ის, რაც ნამდვილად საჭიროებს გადახედვას და დახვეწას. ყველივე ეს პროცესი იმდენად შემჭიდროვებულ ვადებში ხდება დასასრულებელი. ხშირად ექსპერტები საკითხის არსში არ არიან სიღრმისეულად ჩასულები და ინტერვიურების დროს დაწესებულებას უწევს მტკიცებით ფორმაში საკითხის განხილვა.

რამდენად მიიჩნევთ მიზანშეწონილად, რომ გეგმიური მონიტორინგის დროს ინსტიტუციიდან გამოთხოვილ დოკუმენტაციას ახლდეს დაწესებულების მხრიდან თვითშეფასების ფორმაც?

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, რესპოდენტების მოსაზრებები არაერთგვაროვანია. ზოგიერთი რესპოდენტი გვიზიარებს პოზიციას -,, უმჯობესია თვითშეფასების ფორმის დართვა დოკუმენტაციისათვის, გამომდინარე ავტორიზაციის ვიზიტის დროს თვითშეფასების ანგარიშიდან გამომდინარე აკეთებენ ექსპერტები აქცენტებს სტანდარტებთან მიმართებით და მათთვის

ძირითადი დოკუმენტი რასაც ეცნობიან, ეს არის თვითშეფასების ანგარიში, ამიტომ ვფიქრობ, ლოგიკური იქნებოდა თვითშეფასების ანგარიშის დართვაც.'' თუმცა ზოგიერთი რესპოდენტი განმარტავს, რომ არ არის საჭირო, საკმარისია ცენტრს მიეწოდოს მოთხოვნილი დოკუმენტაცია და მიწოდებული დოკუმენტაციის სრულფასოვნად შესწავლა მოხდეს, ეს იქნება დრის ფაქტორთან მიმართებითაც ბევრად ადეკვატური და დაწესებულებისათვისაც ბევრად კომფორტული .''

საკმარისია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვროს 60 დღე ხარვეზის ალმოსაფხვრელად თუ დაწესებულებაში ხარვეზი ეხება ავტორიზაციის ან აკრედიტაციის რამდენიმე სტანდარტის დარღვევას?

საკითხთან მიმართებით, რესპოდენტები ერთხმად თანხმდებიან, რომ 60 დღის განსაზღვრა ატარებს ფორმალურ ხასიათს თუ არ იქნება განსაზღვრული პრობლემატიკა რის შესაბამისად განესაზღვრა დაწესებულებას 60 დღე, საკითხთან დაკავშირებით. ზოგიერთმა რესპოდენტმა განგვიმარტა - ,, ზოგადად ვფიქრობ, რომ ვადების თემა არის ძალიან შეფასებითი, მაგალითად თუ ერთი სტანდარტის ქვესტანდარტის მიმართ გაქვს რეკომენდაცია დაწესებულებას გაწერილი, მაშინ შესაძლებელი განსაზღვრული 60 დღე სრულად ადეკვატური და ჯანსაღი იყოს, მაგრამ თუ რამდენიმე სტანდარტის მიხედვით აქვს დაწესებულებას რეკომენდაციები განსაზღვრული 60 დღე რეალურად იძებს ფორმალურ ხასიათს, ვფიქრობ ეს უნდა იყოს შეფასებითი პროცესი და უნდა არსებობდეს შეფასებისა და განსაზღვრის გარკვეული კრიტერიუმები , რომელიც არ იქნება ერთი კონკრეტული როგორც ეს 60 დღიანი ვადაა''.

რას ფიქრობთ საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობის შესახებ ავტორიზაციის სტანდარტების შემოწმების დროს და რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ მონიტორინგის ვიზიტის დროს საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა?

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით რესპოდენტების მოსაზრებების სხვადასხვა მიმართულებით გამოიკვეთა. ზოგიერთი რესპოდენტი მოიაზრებს, რომ დადებითი შეიძლება იყოს საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა მონიტორინგის ვიზიტის დროს - და აღნიშნავს ,,ცალსახად მივესალმები საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობას მონიტორინგის ვიზიტის დროს ვინაიდან, აქ საუბარია ევროპული პრაქტიკის გაზიარებაზე, სხვა თვალით დანახულ სამუშაო პროცესზე, ხშირ შემთხვევაში ჩვენ დაწესებულებების განვითარებისაკენ წინ გადადგმულ ნაბიჯებს არ ვანიჭებთ გარკვეულწილად იმდენად დიდ მნიშვნელობას, რომ დადებითად მივიჩნიოთ მათი საქმიანობა. ვინაიდან ჩვენ ამ ყოველივეს მოვითხოვთ და ვფიქრობთ, რომ უნდა იყოს აუცილებლად შესრულებადი, თუმცა არ ხდება დაწესებულებების რესურსის სრულად შეფასება. საერთაშორისო ექსპერტი კი არის ჯგუფის ის წევრი, რომელიც ყოველივე ამას უყურებს გარე დაკვირვებიდან, რომელიც პარალელურად ეცნობა დაწესებულების შიდა სამზარეულოს და ვფიქრობ, რომ დადებითი იქნებოდა საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა.'' ზოგიერთი რესპოდენტი კი განმარტავს - ,,თვითონ საერთაშორისო ექსპერტთან დაკავშირებით მაქვს გაურკვევლობა, ვინაიდან ჩვენთან საერთაშორისო ექსპერტი აღქმულია როგორც უცხოელი სხვა ეროვნების და ქვეყნის წარმომადგენელი, სინამდვილეში საერთაშორისო ექსპერტი შეიძლება იყოს ადგილობრივი ექსპერტი, რომელსაც აქვს საერთაშორისო ექსპერტის სტატუსი. ამდენად ჯერ თვითონ ავტორიზაციის სტანდარტებში საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობაზეა საუბარი ვფიქრობ იქაც პრობლემაა, ცოტა მეტი სიცხადე უნდა შევიდეს თუნდაც ჯგუფს ვინ უნდა უხელმძღვანელოს ეროვნებით უცხოელმა საერთაშორისო ექსპერტმა თუ

ადგილობრივმა ექსპერტმა, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს საერთაშორისო ექსპერტის სტატუსი.

რას ფიქრობთ საბჭოების დამოკიდებულების შესახებ , მათი ჩართულობის შესახებ?

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით რესპოდენტებისაგან მივიღეთ ძალიან ღია და ემოციური მოსაზრებები. გარკვეულწილად საბჭოსთან მიმართებით მათ აქვს ბუნდოვანება, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სიცხადესთან დაკავშირებით. ზოგიერთი რესპოდენტი საკმაოდ ღიად განმარტავს - ,, ზოგადად საბჭოს მიმართ ბევრ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ უკმაყოფილების განცდა, პირველი არის ალბათ მენტალური მომენტი, ,,ყველა ყველას იცნობს'' , ჩემი პირადი მოსაზრებით საბჭოს წევრი არ უნდა იყოს დასაქმებული სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ვფიქრობ ეს ფაქტორი გარკვეულწილად ქვეცნობიერ სუბიექტურ ფაქტორს აუცილებლად განაპირობებს, საბჭო უნდა იყოს დამოუკიდებელი ,,ორგანო'', საბჭოს წევრები იმ ვადით სანამ საბჭოს წევრები არიან არ უნდა იყვნენ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები''. ზოგიერთი რესპოდენტი განმარტავს-,, ვფიქრობ, საბჭოს არ უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება არგუმენტირებული პოზიციის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება და შეცვალოს დასკვნის პროექტში წარმოდგენილი გადაწყვეტილება, დღემდე საბჭოს გადაწყვეტილებებს არ ახლდა დასაბუთება გადაწყვეტილების ცვლილებით, თუმცა ბოლო პერიოდში საჭიროა და საბჭოს უკვე მოეთხოვება საფუძვლიანი დასაბუთება. ''

არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით, რა აზრის ხართ თქვენ მიერ წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას თუ ითვალისწინებენ?

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მხოლოდ ერთ რესპოდენტთან იყო კითხვის დასმის შესაძლებლობა, რომელმაც განგვიმარტა, რომ ექსპერტებს არგუმენტირებული პოზიცია აღქმული აქვთ, რომ დაწესებულებამ

არგუმენტირებული პოზიცია უნდა გააგზავნოს მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რესპოდენტი ფიქრობს, რომ დაწესებულებას თუ აქვს არგუმენტირებული პოზიცია რეკომენდაციასთან დაკავშირებით ის აუცილებლად და მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს, თუმცა ხშირ შემთხვევაში აღნიშნულ გარემოებას ექსპერტები იღებენ როგორც შეურაცხყოფას და არ ითვალისწინებენ ფაქტობრივი გარემოებების გარდა სხვა გარემოებების არსებობასაც.

როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუ არა მონიტორინგის ვიზიტისას, რომელიც ხორციელდება მანამდე განხორციელებული მონიტორის შედეგების შესამოწმებლად ვიზიტში ჩართული გახლდეთ პირველი მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფიდან ერთ-ერთი ექსპერტი მაინც?

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით რესპოდენტები თანხმდებიან, რომ აუცლებელია მათი ჩართულობა დაწესებულების კეთილდღეობისა და არა მხოლოდ დაწესებულების კეთილდღეობისათვის, არამედ, ექსპერტთა სამუშაო პროცესის თავისუფლად და სრულფასოვნად წარმართვისათვის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგების საფუძველზე, გამოვლინდა გარემოება იმის შესახებ , რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებისაგან მიღებული ინფორმაციას ერთმანეთთან თანხვედრაშია. გარკვეულ წილად შესაძლოა სხვადასხვა გარემოებების აღწერით თუმცა მათ ინტერვიუებშიც დასტურდება ის რიგი ბუნდოვანების მომცველი საკითხები, რომელიც გარკვეულ წილად ბადებს კითხვის ნიშანს, რომელიც განხილული იქნება ნაშრომის დასკვნასა და რეკომენდაციებში.

§4.3. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლ(ებ)თან ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლ(ებ)თან ჩაღრმავებული ინტერვიუს, პრეინტერვიუს დროს წარმომადგენლებს განემარტათ ინტერვიუს მიზანი, შესასწავლი საკითხის ირგვლივ დაისვა ღია კითხვები. კითხვარი შემუშავდა მეორეული ინფორმაციის (საკვლევ თემასთან დაკავშირებული კანონმდებლობის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების და საკითხის შესახებ არსებული სტატიების) საფუძველზე. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლ(ებ)თან ინტერვიურებისას მიემართათ შემდეგი სახის კითხვებით, საერთო სურათის წარმოსადგენად უმჯობესი იქნება თანამშრომელთა მიერ გაცემული პასუხები წარმოდგენილი იყოს ერთიანი, შეჯერებული სახით, თუმცა უმეტეს წილად წარმოდგენილია მათი ,,პირადი მოსაზრებები ” ვინაიდან, საყურადღებოა მონიტორინგის მექანიზმების მიმართულებით ცენტრის თანამშრომლების პოზიცია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რესპოდენტების პასუხებიდან ცხადად ჩანს, რომ გარკვეულ საკითხებთან მიმართებით საუბრობენ მხოლოდ რეგულაციების გათვალისწინებით და ძალიან იშვიათად პირადი მოსაზრებების კვალდაკვალ.

როგორ ფიქრობთ, რამდენად აღიარებულია მონიტორინგის მექანიზმები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ზოგიერთი თანამშრომელი განმარტავს - ,, მე როგორც ცენტრის თანამშრომლის სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვისაუბრო, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ცენტრის მხრიდან

მაქსიმალურად აქვს სრული ინფორმაცია მიწოდებული მონიტორინგის პროცედურების შესახებ, ასევე ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია დაწესებულებისათვის გასაცნობად, ვფიქრობ, რომ დაწესებულებების მხრიდან აღიარებული და გააზრებულია მონიტორინგის მექანიზმები''. ასევე განმარტავს ცენტრის თანამშრომელი საკუთარ მოსაზრებას და გვიზიარებს , რომ - ,, მონიტორინგი , გახლავთ რეგულაციაში ჩადებული მექანიზმი, მოგეხსენებათ გვაქვს გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგები შესაბამისად დაწესებულებებს გააზრებული აქვთ, რომ თუ მათ დაუდგათ მონიტორინგის საჭიროება, მონიტორინგი აუცილებლად უნდა განხორციელდეს მათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, დაწესებულება ერთვება მონიტორინგის პროცესში ნაკლებად ,,ენთუზიაზმით'' თუმცა იმ მოლოდინების საფუძვლად რისი მოლოდინებიც მათ აქვთ. ზოგიერთ დაწესებულებას დღემდე აქვს განცდა, რომ ჩვენ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ვახორციელებთ მათ წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებებს, თუმცა ამას ვერ ვიტყვით მას შემდეგ რაც მოხდა ახალი ავტორიზაციის სტანდარტების დანერგვა ეს მიდგომა გარკვეულწილად შეიცვალა.''

მონიტორინგის ჩატარების შესახებ მოთხოვნები შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვადასხვა არხებით, მაგალითად, ცენტრისთვის სტუდენტთა მიმართვის გზით, ასეთ შემთხვევაზე მონიტორინგის ვადები, პირობები და ფარგლები რამდენად განსაზღვრულია დროში და რამდენად არის სრულად გამჭვირვალე?

ცენტის თანამშრომლები მონიტორინგის ვადებს, პირობებსა და ფარგლების სრულად განსაზღვრულად და დროში გამჭვირვალედ მიიჩნევენ. ზოგიერთი ცენტრს თანამშრომელი განმარტავს - ,,აღნიშნულ საკითხთან მიმართებით შემიძლია გითხრათ, რომ როდესაც ცენტრს მომართავენ განცხადებით, თუნდაც ეს იყოს სტუდენტის მხრიდან წარმოდგენილი საჩივარი, ცენტრი განიხილავს საჩივარს და მანამ სანამ უშუალოდ გადაწყდება მონიტორინგის ვიზიტის საჭიროება, ცენტრი

აუცილებლად აცნობებს დაწესებულებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირების ინფორმაციას და მოითხოვს დაწესებულებიდან შესაბამის დოკუმენტაციას, რომლის განხილვაც აუცილებელია საჩივრის საფუძველზე, თუ აღნიშნული დოკუმენტაცია არ წარმოადგენ საკმარის გარემოებას საჩივრის შესასწავლად, და ცენტრი მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ საჭიროა დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება, მხოლოდ ამის შემდგომ ხდება მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა და ვიწყებთ 90 დღიან ადმინისტრაციულ წარმოებას მონიტორინგის შესახებ. რეგულაციების საფუძველზე ვფიქრო, რომ მონიტორინგის ვადები, პირობები და ფარგლები განსაზღვრულია დროში და სრულად გამჭვირვალეა დაწესებულებისათვის.''

რამდენად მიიჩნევთ მიზანშეწონილად, რომ გეგმიური მონიტორინგის დროს ინსტიტუციიდან გამოთხოვილ დოკუმენტაციას ახლდეს დაწესებულების მხრიდან თვითშეფასების ფორმაც?

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ცენტრის თანამშრომლებმა ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრებები გამოხატავენ, ზოგიერთი თანამშრომელი აღნიშნავს, - ,, გეგმიური მონიტორინგის დროს დაწესებულება აგზავნის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ფორმისა, რაც სავსებით საკმარისია ექსპერტთა ჯგუფისათვის არსებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, შესაბამისად ვერ ვხედავ დამატებით თვითშეფასების ფორმის წარმოდგენა.'', ზოგიერთი თანამშრომელი განმარტავს - ,,გეგმიური მონიტორინგი, შეიძლება წარმოებდეს კონკრეტული რეკომენდაციების შესრულების საფუძველზე, ამ შემთხვევაში მას უნდა ახლდეს ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ფორმა, შესაძლებელია თვითშეფასების ფორმის ნაცვლად დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტი თუ რა გზა

განვლო ავტორიზაციის ვიზიტიდან მონიტორინგის ვიზიტამდე, ვფიქრობ, ეს ბევრად მიზანშეწონილი იქნებოდა და შესაძლებელია აუცილებელიც კი. ‘’

საკმარისია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვროს 60 დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად თუ დაწესებულებაში ხარვეზი ეხება ავტორიზაციის ან აკრედიტაციის რამდენიმე სტანდარტის დარღვევას?

აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებითაც გამოიკვეთა განსხვავებული მიდგომა ცენტრის თანამშრომლების მხრიდან , ზოგიერთი თანამშრომელი განმარტავს- ,, დაწესებულებას განესაზღვროს 60 დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად ეს გახლავთ საბჭოს პრეროგატივა, დაწესებულების მხრისათვის გაცემული რეკომენდაციების შინაარსის საფუძველზე, შესაბამისად თუ საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაციები შესრულებადია 60 დღეში, შესაძლოა ჩავთვალოთ, რომ 60 დღე რეკომენდაციების შესასრულებლად ვალიდურ დროა’’, ზოგიერთი თანამშრომლის განმარტავს - ,, ეს გახლავთ ძალიან კარგი კითხვა, ვინაიდან ამაზე ხშირად ვმსჯელობთ, თუმცა დაწესებულებას განესაზღვროს 60 დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად ეს გახლავთ საბჭოს პრეროგატივა, საბჭომ ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ძალიან დიდი სიფრთხილით, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში 60 დღეში ნამდვილად ვერ ესწრება ყოველივე იმ რეკომენდაციის სრულფასოვნად გამოსწორება, რასაც რეკომენდაციები გულისხმობს. თუ არის სიღრმისეული ხარვეზები, რომლის გამოსწორების ობიექტური შესაძლებლობაც არ არსებობს, მაშინ საბჭომ უნდა იფიქროს გადაწყვეტილებაზე, რამდენად ვალიდურია დაწესებულებას განუსაზღვროს 60 დღე და მოსთხოვოს რეკომენდაციების სრულყოფილად განხორციელება.’’

როგორ განისაზღვრება არაგეგმიური მონიტორინგის დროს - საჩივრის შემოტანის შემდგომ, რომელი სტანდარტთან მიმართების უნდა შემოწმდეს დაწესებულება და ვინ განსაზღვრავს აღნიშნულ მიმართულებას?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თანამშრომლების ერთხმად თანხმდებიან, რომ -გადაწყვეტილებას იღებს ცენტრი და მხოლოდ ამის შემდგომ ხდება ექსპერტთა ჯგუფის შექმნა.

არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით, რა აზრის ხართ რამდენად ადეკვატური არგუმენტირებულ პოზიციაა დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი ხოლმე?

აღნიშნული საკითხის მიმართები ცენტრის თანამშრომელები განმარტავენ, რომ დაწესებულებებს არ აქვთ აღქმული რას ნიშნავს არგუმენტირებული პოზიცია - ,, დებულების თანახმად, დაწესებულება ვალდებულია წარმოადგინოს არგუმენტირებული პოზიცია ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, თუმცა არის ძალიან სქელტანიანი არგუმენტირებული პოზიციები დაწესებულების მხრიდან, რომელიც უკვე შინაარს ეხება და ხშირ შემთხვევაში ინფორმაცია ასახავს თვითშეფასებაში დაფიქსირებულ ინფორმაციასაც კი, შესაბამისად ვერ ვიტყვით, რომ ყოველთვის ადექვატურია დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.''

თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა პრობლემები იკვეთება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს და არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მხოლოდ ცენტრის ერთი თანამშრომელი განმარტავს -,, თუ შეიძლება რომ პრობლემად აღვიქვათ ეს შეიძლება იყოს

დოკუმენტაციის წარმოდგენის სიფრთხილე დაწესებულების მხრიდან, თუმცა პრობლემებს არასოდეს არ ჰქონია მასშტაბური ხასიათი, მხოლოდ მცირე ნიუანსები, რომელსაც არ გამოუწვევია ვიზიტის პროცესის არევა.''

მონიტორინგის ვიზიტის დროს რა გამოწვევები შეგხვედრიათ?

ცენტრის თანამშრომელები გვიზიარებენ პოზიციას, რომელებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად სრულად ასახავს როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან წარმოდგენილ პოზიციას, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიციას. ზოგიერთი თანამშრომელი განმარტავს - ,, მონიტორინგის წარმოება შეიძლება განსაზღვროს ძალიან ბევრმა ფაქტორმა, როგორც გეგმიური ასევე არაგეგმიური, შესაბამისად მე ვფიქრობ, რომ აუცილებელია ძალიან მკაცრად და კონკრეტულად გაიმიჯნოს თითოეული მონიტორინგის მიზნები და მონიტორინგის შეფასების კრიტერიუმები. კონკრეტული მონიტორინგის დროს რა ფასდება , რა არ ფასდება, რა გარემოებები უნდა იქნას შესწავლილი და რა გარემოებები შეიძლება დარჩეს ყურადღების მიღმა და რა გარემოებები არის ისეთი რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. მონიტორინგი ეს არის ცოცხალი პროცესი და ამ პროცესს თავისთავად ჭირდება დაკვირვება და კვლევების წარმოება თუ რა პრობლემატიკა შეიძლება გამოიკვეთოს, რის შემდგომაც შესაძლოა შემუშავდეს მონიტორინგის მექანიზმების გეგმა და სამუშაო მექანიზმი, რომელიც მოაწესრიგებდა და ერთ ჩარჩოში მოაქცევდა ყველა სახის მონიტორინგის შეფასების მექანიზმებს და სწორედ რომ ზუსტად ეცოდინებოდა დაწესებულებებსაც, რომელი სახის მონიტორინგის დროს რა მოეთხოვებოდა. ყოველივე ეს, რომ იყოს უფრო ნათელი, მკაფიო, გამჭვირვალე და სტრუქტურირებული, ორგანიზებული იქნებოდა ბევრად უფრო ეფექტური.''

როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუ არა მონიტორინგის ვიზიტისას, რომელიც ხორციელდება მანამდე განხორციელებული მონიტორის შედეგების შესამოწმებლად ვიზიტში ჩართული გახლდეთ პირველი მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფიდან ერთ-ერთი ექსპერტი მაინც?

ცენტრის თანამშრომლები იზიარებენ არსებულ გარემოებას თუმცა აღნიშნავენ, რომ აღნიშნულის ვალდებულება არ აქვთ, - ,,ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ ვიზიტში ჩართული გახლდეთ პირველი მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფიდან ერთ-ერთი ექსპერტი მაინც, თუმცა რეგულაციების გათვალისწინებთ მათი აუცილებლად ჩართულობის შესახებ ვალდებულება არ გვაქვს''. - ,,ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ , რომ მსგავსი პრაქტიკა გავითვალისწინოთ და დავგეგმოთ თუმცა ეს რეგულაციის დონეზე არა რის გაწერილი''

როგორ ფიქრობთ, თუ გავითვალისწინებდით საერთაშორისო გამოცდილებას, რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა ცენტრთან ერთად არსებობდეს ასე ვთქვათ, გარე დამხმარე ორგანიზაცია ,,სააგენტოს სახით'' რომელიც მონიტორინგის საქმიანობს გაუძღვებოდა ცენტრთან ერთად ,,სააგენტო'' რომელიც არ იქნებოდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში და ის იქნებოდა კერძო სტრუქტურა ინსტიტუციების ერთობლივი ძალისხმევით შექმნილი.

აღნიშნული საკითხის კითხვის დასმის შესაძლებლობ არსებობდა მხოლოდ ერთ რესპოდენტთან თუმცა რესპოდენტი ღად მიესალმება არსებულ პრეცენდენტს და განმარტა - ,,მე მოხარული ვიქნებოდი, თუ იარსებებდა ასეთი ,,სააგენტო'' და დაწესებულებები თუ შეძლებდნენ ერთმანეთთან ისე თანამშრომლობას, რომ ყოფილიყვნენ ამავდროულად ერთმანეთის შემფასებლები და შეფასებას ერთმანეთისაგან მიიღებდნენ ადეკვატურად და ობიექტურად და ისინი ზრუნავდნენ ერთმანეთის განვითარებაზე და არ იქნებოდა შეურაცხმყოფელი, რომ ერთმა ინსტიტუციამ შეამოწმოს მეორე ინსტიტუცია, ეს არის არაჩვეულებრივი შემთხვევა, რომელიც შეიძლება ყველამ ინატროს.''

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლ(ებ)თან ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგების საფუძველზე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ რესპოდენტები გარკვეული საკითხების მიმართ, განგვიმარტავენ რეგულაციების ჩანაწერს თუმცა გარკვეულწილად თავს იკავებენ სიღრმისეულად საკუთარი მოსაზრებების გაზიარებისაგან, ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომელიც თანხვედრაშია, როგორც ავტორიზაციის ექსპერტთა, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუდან მიღებულ ინფორმაციასთან, არის გარემოებები, რომელიც განსხვავებულ მოსაზრებას გვიზიარებს, ჩვენი სიღრმისეული მოსაზრებები ინტერვიურების შედეგთან დაკავშირებით განხილული იქნება ნაშრომის დასკვნასა და რეკომენდაციებში.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის საფუძვლიანი ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომლებიც ცხადყოფს, რომ საქართველოს განათლების სისტემისათვის გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის, ,,ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების პროცესის შემოწმება მონიტორინგის გზით'', არ არის ერთგვაროვანი, თანმიმდევრული, ცხადი და გამჭვირვალე მექანიზმი, იკვეთება პრობლემები მონიტორინგის წარმოებისას, დადგენილ რეგულაციებსა და დანერგილი პრაქტიკაში, არ არის გამჭვირვალე და ერთგვაროვანია, როგორც შემფასებლისათვის, ასევე შეფასების მიმღებისათვის.

- ჩატარებული კვლევისა და შესწავლილი საკანონმდებლო ბაზის საფუძვლიანი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა გარემოება, რომ ტერმინი ,,მონიტორნიგი'' ,,მონიტორინგის შედეგების განხილვა'' ავტორიზაციის დებულებით მსგავსი ტერმინის განმარტება არ მოიპოვება.
- დაწესებულებებს არ აქვთ სწორად აღქმული მონიტორინგის არსი და მნიშვნელობა, ხშირ შემთხვევაში მონიტორინგის ვიზიტი დაწესებულებებისათვის არის აღქმული როგორც სადამსჯელო ღონისძიება და არა გასაუმჯობესებელი/ განმავითარებელი ღონისძიება.
- ჩატარებული კვლევისა და შესწავლილი საკანონმდებლო ბაზის საფუძვლიანი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა გარემოება, რომ დაწესებულებებს არ აქვს ინფორმაცია თუ, რატომ წარმოებს მათ დაწესებულებაში გეგმიური მონიტორინგი, მათთვის მხოლოდ ცნობილია, რომ რეგულაციების საფუძველზე ცენტრს აქვს გეგმიური მონიტორინგის წარმოების შესაძლებლობა.
- გეგმიურ მონიტორინგის პროცედურა არ არის ცხადად განსაზღვრული არ არის ის ყველა შემთხვევა განხილული რომელსაც შეიძლება ახლდეთ ვიზიტის გადაწყვეტილება და ყველაზე მთავარი რაც არის არა არის ის ,,რუქა''

გაწერილი თუ რა მტკიცებულებებზე დაფუძნებით იწყება მონიტორინგის წარმოება, რითი გრძელდება და რითი სრულდება, უბრალოდ საუბარია რომ აქვს შესაძლებლობა ცენტრს განახორციელოს გეგმიური მონიტორინგი.

- მონიტორინგის წარმოების დასრულებისას გადაწყვეტილება ქვეყნდება შემდეგი სახით/ დასახელებით ,ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა'' მიუხედავად იმისა, რომ დადებითი გადაწყვეტილება არის მიღებული, ბევრ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უქმნის ძალიან დიდ დისკომფორტს საზოგადოებრივი იმიჯის თვალსაზრისით, საზოგადოებისათვის სხვა სახით აღსაქმელი და ეჭვი შემტანია დაწესებულების საქმიანობის თვალსაზრისით.
- ავტორიზაციის ექსპერტებს არაგეგმიური მონიტორინგის დროს ძალიან შემჭიდროვებულია ვადებში უწევთ დოკუმენტაციის შესწავლა და განსაზღვრული დრო მათთვის არასაკმარისია.
- დაწესებულებისათვის ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსზღვრული 60 დღე, ხშირ შემთხვევაში ფორმალური ხასიათის მატარებელია და არა საკმარისია ხარვეზის აღმოსაფხვრელად.
- ავტორიზაციის ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიურების შედეგად გამოვლინდა გარემოება, რომ არაგეგმიური მონიტორინგის დროს - საჩივრის შემოტანის შემდგომ, რომელი სტანდარტთან მიმართების უნდა შემოწმდეს დაწესებულება,განსაზღვრავს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, თუმცა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიურევის შედეგად გამოვლინდა გარემოება, რომ არაგეგმიური მონიტორინგის დროს - საჩივრის შემოტანის შემდგომ, რომელი სტანდარტთან მიმართების უნდა შემოწმდეს დაწესებულება,განსაზღვრავს განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი.

კანონმდებლობის შესაბამისად შესაბამისობას განსაზღვრავს,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

- კვლევის შედეგად გამოვლინდა გარემოება, რომ საბჭოს მიუღია რადიკალურად სხვა გადაწყვეტილება ავტორიზაციის შესახებ ექსპერტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებისგან .
- ხშირია ტრენინგები დაწესებულებაში მონიტორინგის დროს აღმოჩენილი პრობლემატიკების შესახებ, თუმცა ტრენინგში ნაკლებად ჩართულები არიან სტუდენტი ექსპერტები.
- საქართველოს განათლების სისტემისათვის ახალი ავტორიზაციის სტანდარტები შესრულებადია, თუმცა ევროპულ სტანდარტებთან ქართული რეალობის შესაბამისობა შესაძლოა წარმოჩინდეს 3-5 წელიწადში.

რეკომენდაციები

- ავტორიზაციის დებულებაში ცხადად და გამჭვირვალედ მოხდეს ტერმინი ,,მონიტორინგის'' დეფინიცია და განმარტება.
- რეგულაციების დონეზე გაიმიჯნოს და იდენტიფიცირდეს გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის არსი და წარმოების პროცედურები.
- მკაცრად რეგულირდებოდეს კანონმდებლობისა და შესრულების დონეზე, გეგმიური მონიტორინგის წარმოშობის საფუძველი, რომელიც ეცნობება დაწესებულებას.
- მკაცრად რეგულირდებოდეს კანონმდებლობისა და შესრულების დონეზე არაგეგმიური მონიტორინგის წარმოების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო .
- მკაცრად იყოს გაწერილი და შესრულებადი ექსპერტის უფლებამოსილება მონიტორინგის ვიზიტის დროს.
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სწორად იყოს გაზიარებული ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების (მონიტორინგი) პროცესი, მისი არსი და რაობა.
- არაგეგმიური მონიტორინგის დროს ვალიდურად განისაზღვროს დოკუმენტაციის შესწავლისა და მონიტორინგის ვიზიტისათვის განსზღვრული დრო არსებული პრობლემატიკიდან გამომდინარე და იყოს შესაბამის რეგულაციებში შესაბამისი ჩანაწერი.
- დაწესებულებისათვის ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განისზაღვროს არა უმეტეს 60 დღისა არამედ შესწავლილი და გამოვლენილი პრობლემატიკის შესაბამისად.
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრმა იზრუნოს, ექსპერტთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ჩართოს ექსპერტთა კორპუსი ტრენინგ-კურსების ინტენსიურ რეჟიმში, რომელშიც აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას სტუდენტი ექსპერტები.

ბიბლიოგრაფია

ბაქრაძე, ლ., ლორთქიფანიძე, თ., ურუშაძე. ნ. (2015). *უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ESG 2015.* თბილისი : მოძიებულია 30 მარტი, 2020

*განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება №170; ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი.(*2018). თბილისი: მოძიებულია 30 აპრილი, 2019

გრძელიძე, ი., ბუჩაშვილი , გ., ქარჩავა, მ., *უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა: მიდგომები,გამოწვევები და შესაძლებლობები.* მოძიებულია 30 მარტი, 2020

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული დოკუმენტი 2016-2020 წწ. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/res/docs/NCEQE_STRATEGY_2016-2020.pdf

განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონი (საქართველოს პარლამენტი, №3531) https://matsne.gov.ge/document/view/93064?publication=17

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული გეგმა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წლიური ანგარიშები 2006-2019 წწ. მოძიებულია 30 აპრილი, 2020

https://eqe.ge/geo/static/59/about-us/annual-reports

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული გეგმა 2013-2017წწ , 2016-2020 წწ. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/static/61/about-us/strategic-plan

გადაწყვეტილებები » ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/decisions/show/10407

გადაწყვეტილებები » სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/decisions/show/9935

გადაწყვეტილებები » შპს ახალ უმაღლეს სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/decisions/show/10307

გადაწყვეტილებები » შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითიში, ბათუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/decisions/show/10283

გადაწყვეტილებები » შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/decisions/show/10285

გადაწყვეტილებები » შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/decisions/show/9427

გადაწყვეტილებები » შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრიში განხოციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/decisions/show/9369

გადაწყვეტილებები » შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/decisions/show/9359

გადაწყვეტილებები » სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მონიტორინგის შედეგების განხილვა. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/decisions/show/9299

გადაწყვეტილებები » სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მონიტორინგის შედეგების განხილვა. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/decisions/show/6878

გადაწყვეტილებები » შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/decisions/show/5204

გადაწყვეტილებები » შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/decisions/show/9797

გადაწყვეტილებები » შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/decisions/show/10285

გადაწყვეტილებები » შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიისთვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის მოხსნის შესახებ. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/decisions/show/10101

გადაწყვეტილებები » შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის მოხსნის შესახებ. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/decisions/show/9777

გადაწყვეტილებები » შპს ევროპის უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/decisions/show/9731

გადაწყვეტილებები » შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/decisions/show/9429

გადაწყვეტილებები » სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/decisions/show/9367

გადაწყვეტილებები » შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ. მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/decisions/show/9153

გადაწყვეტილებები » სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ .მოძიებულია 30 აპრილი, 2020 https://eqe.ge/geo/decisions/show/8096

გრძელიძე.ი., დარჩია,ი., სანიკიძე,თ., ღლონტი,თ., ციტრონიაშვილი, ქ. (2019). *უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული მექანიზმების დანერგვის ანალიზი.* თბილისი: Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი.

დარჩია, ი. *უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით 2013 წ .* თბილისი: მოძიებულია 30 აპრილი, 2019

ზურაბიშვილი. თ, (2006). *თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში,* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი .

ნარინდოშვილი, მ., ჩაჩხიანი, ქ., ჯანაშია, ნ., ცაგარეიშვილი, დ. *უნივერსიტეტის მართვის სახელმძღვანელო.* თბილისი: მოძიებულია 30 აპრილი, 2019

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია; სახელმძღვანელო. მოძიებულია 25 ნოემბერი, 2019 https://gtu.ge/quality/Files/Pdf/guidebookgeo.pdf

ფრედერიკსი, მ., მოჰრენი, ი., კოვაჩევიჩი, მ., ოვანისიანი, გ., (2019). *უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის ცენტრის*

მიმოხილვა: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. თბილისი : მოძიებულია 30 მარტი, 2020

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, უმაღლესი და პროფესიული განათლება 2018 . თბილისი: მოძიებულია 8 მაისი 2020

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ . (2010). თბილისი: მოძიებულია 24 ნოემბერი, 2019 file:///C:/Users/USER/Desktop/matsne-1031755-40.pdf

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ ; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. (*2018). თბილისი: მოძიებულია 24 ნოემბერი, 2019 https://eqe.ge/res/docs/N3_7.02.2018.pdf

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №77/ნ .(2010). თბილისი: მოძიებულია 24 ნოემბერი, 2019 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3658758?publication=0

საქართველოს პარლამენტი, (21.12.2004), *საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ,* №688-რს. თბილისი: მოძიებულია 24 ნოემბერი, 2019 https://matsne.gov.ge/document/view/32830?publication=75

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბერი ქ. თბილისი ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ'' https://eqe.ge/res/docs/20181011143054.pdf

Ligia Deca & Dr. *Achim Hopbach Council of Europe's Review report of the current external quality assurance system in Georgia*, (2014)

PICQA project report, 2011-2012.

Sauri, J.G. (2013) The Report regarding the NCEQE compliance with ENQA membership criteria and the ES

დანართი 1

ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი

ავტორიზაციის ექსპერტებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი.

- თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა პრობლემები იკვეთება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს და არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს.
- თუ შეგიძლიათ თქვენი მოსაზრება გაგვიზიაროთ, რა აზრის ხართ ავტორიზაციის თვითშეფასების ფორმაზე და რაიმე სახის ცვლილებას ხომ არ შეიტანდით მასში და რამდენად კომფორტულია თქვენთვის მუშაობის დროს.
- არაგეგმიურო მონიტოინგისას, დოკუმენტაციის შესასწავლად რამდენად საკმარისია მონიტორინგის ვიზიტისათვის განსაზღვრული დრო.
- რამდენად მიიჩნევთ მიზანშეწონილად, რომ გეგმიური მონიტორინგის დროს ინსტიტუციიდან გამოთხოვილ დოკუმენტაციას ახლდეს დაწესებულების მხრიდან თვითშეფასების ფორმაც.
- რას ფიქრობთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებსა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რას შეცვლიდით მასში ან დაამატებდით სტანდარტებს.
- საკმარისია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვროს 60 დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად თუ დაწესებულებაში ხარვეზი ეხება ავტორიზაციის ან აკრედიტაციის რამდენიმე სტანდარტის დარღვევას.
- რას ფიქრობთ საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობის შესახებ ავტორიზაციის სტანდარტების შემოწმების დროს და რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ მონიტორინგის ვიზიტის დროს საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა.

- არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით, რა აზრის ხართ რამდენად ადექვატური არგუმენტირებულ პოზიციაა დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი.
- საბჭოს თუ მიუღია რადიკალურად სხვა გადაწყვეტილება ექსპერტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებისგან და თუ მიუღიათ რა იყო ამის განმაპირობებელი ფაქტორი და რამდენად დასთანხმებულხართ საბჭოს გადაწყვეტილებას.
- როგორ ფიქრობთ საჭიროა თუ არა მონიტორინგის ვიზიტისას, რომელიც ხორციელდება მანამდე განხორციელებული მონიტორის შედეგების შესამოწმებლად ვიზიტში ჩართული გახლდეთ პირველი მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფიდან ერთ-ერთი ექსპერტი მაინც.
- როგორ ფიქრობთ, თუ გავითვალისწინებდით საერთაშორისო გამოცდილებას, რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა ცენტრთან ერთად არსებობდეს ასე ვთქვათ, გარე დამხმარე ორგანიზაცია ,,სააგენტოს სახით'' რომელიც მონიტორინგის საქმიანობს გაუძღვებოდა ცენტრთან ერთად ,,სააგენტო'' რომელიც არ იქნებოდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში და ის იქნებოდა კერძო სტრუქტურა ინსტიტუციების ერთობლივი ძალისხმევით შექმნილი.
- რამდენად ხშირია ტრენინგები დაწესებულებაში მონიტორინგის დროს აღმოჩენილი პრობლემატიკების შესახებ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი

1. როგორ ფიქრობთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალი სტანდარტები ადეკვატურია საქართველოს განათლების სისტემისთვის?
2. როგორ ფიქრობთ რა პერიოდია საჭირო იმისთვის რომ ევროპულ სტანდარტებს რეალურად მიუახლოვდეს ქართული.
3. რამდენად რეალურია ყველა სტანდარტის შესრულება? ხომ არ აწყდებით გარკვეული სახის პრობლემებს.
4. როგორ ფიქრობთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალი სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნები ძველ სტანდარტებთან შედარებით მეტისმეტად მკაცრი და რთულად შესასრულებელია? რა არის სტანდარტის დადებითი მხარეები.
5. როგორ ფიქრობთ, თუ გავითვალისწინებდით საერთაშორისო გამოცდილებას, რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა ცენტრთან ერთად არსებობდეს ასე ვთქვათ, გარე დამხმარე ორგანიზაცია ,,სააგენტოს სახით'' რომელიც მონიტორინგის საქმიანობს გაუძღვებოდა ცენტრთან ერთად ,,სააგენტო'' რომელიც არ იქნებოდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში და ის იქნებოდა კერძო სტრუქტურა ინსტიტუციების ერთობლივი ძალისხმევით შექმნილი.
6. თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა პრობლემები იკვეთება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს და არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს.
7. არაგეგმიურო მონიტორინგისას, დოკუმენტაციის შესასწავლად რამდენად საკმარისია მონიტორინგის ვიზიტისათვის განსაზღვრული დრო.

8. რამდენად მიიჩნევთ მიზანშეწონილად, რომ გეგმიური მონიტორინგის დროს ინსტიტუციიდან გამოთხოვილ დოკუმენტაციას ახლდეს დაწესებულების მხრიდან თვითშეფასების ფორმაც.
9. საკმარისია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვროს 60 დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად თუ დაწესებულებაში ხარვეზი ეხება ავტორიზაციის ან აკრედიტაციის რამდენიმე სტანდარტის დარღვევას.
10. რას ფიქრობთ საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობის შესახებ ავტორიზაციის სტანდარტების შემოწმების დროს და რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ მონიტორინგის ვიზიტის დროს საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა.
11. რას ფიქრობთ საბჭოების დამოკიდებულების შესახებ, მათი ჩართულობის შესახებ.
12. არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით, რა აზრის ხართ თქვენს მიერ წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას თუ ითვალისწინებენ.
13. როგორ ფიქრობთ საჭიროა თუ არა მონიტორინგის ვიზიტისას, რომელიც ხორციელდება მანამდე განხორციელებული მონიტორის შედეგების შესამოწმებლად ვიზიტში ჩართული გახლდეთ პირველი მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფიდან ერთ-ერთი ექსპერტი მაინც.
14. როგორ ფიქრობთ, თუ გავითვალისწინებდით საერთაშორისო გამოცდილებას, რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა ცენტრთან ერთად არსებობდეს ასე ვთქვათ, გარე დამხმარე ორგანიზაცია ,,სააგენტოს სახით'' რომელიც მონიტორინგის საქმიანობს გაუძღვებოდა ცენტრთან ერთად ,,სააგენტო'' რომელიც არ იქნებოდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში და ის იქნებოდა კერძო სტრუქტურა ინსტიტუციების ერთობლივი ძალისხმევით შექმნილი.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლ(ებ)თან ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი.

1. როგორ ფიქრობთ, რამდენად აღიარებულია მონიტორინგის მექანიზმები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან.
2. მონიტორინგის ჩატარების შესახებ მოთხოვნები შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვადასხვა არხებით, მაგალითად, ცენტრისთვის სტუდენტთა მიმართვის გზით, ასეთ შემთხვევაზე მონიტორინგის ვადები, პირობები და ფარგლები რამდენად განსაზღვრულია დროში და რამდენად არის სრულად გამჭვირვალე.
3. რამდენად მიიჩნევთ მიზანშეწონილად, რომ გეგმიური მონიტორინგის დროს ინსტიტუციიდან გამოთხოვილ დოკუმენტაციას ახლდეს დაწესებულების მხრიდან თვითშეფასების ფორმაც.
4. საკმარისია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვროს 60 დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად თუ დაწესებულებაში ხარვეზი ეხება ავტორიზაციის ან აკრედიტაციის რამდენიმე სტანდარტის დარღვევას.
5. როგორ განისაზღვრება არაგეგმიური მონიტორინგის დროს - საჩივრის შემოტანის შემდგომ, რომელი სტანდარტთან მიმართების უნდა შემოწმდეს დაწესებულება და ვინ განსაზღვრავს აღნიშნულ მიმართულებას.
6. არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით, რა აზრის ხართ რამდენად ადექვატური არგუმენტირებულ პოზიციაა დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი .
7. თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა პრობლემები იკვეთება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს და არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს.
8. მონიტორინგის ვიზიტის დროს რა გამოწვევები შეგხვედრიათ.

9. როგორ ფიქრობთ საჭიროა თუ არა მონიტორინგის ვიზიტისას, რომელიც ხორციელდება მანამდე განხორციელებული მონიტორის შედეგების შესამოწმებლად ვიზიტში ჩართული გახლდეთ პირველი მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფიდან ერთ-ერთი ექსპერტი მაინც.
10. როგორ ფიქრობთ, თუ გავითვალისწინებდით საერთაშორისო გამოცდილებას, რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა ცენტრთან ერთად არსებობდეს ასე ვთქვათ, გარე დამხმარე ორგანიზაცია ,,სააგენტოს სახით'' რომელიც მონიტორინგის საქმიანობს გაუძღვებოდა ცენტრთან ერთად ,,სააგენტო'' რომელიც არ იქნებოდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში და ის იქნებოდა კერძო სტრუქტურა ინსტიტუციების ერთობლივი ძალისხმევით შექმნილი.

დანართი 2

ინტერვიუების სტენოგრაფიული ჩანაწერები.

1. **ავტორიზაციის ექსპერტებთან ჩაღრმავებული ინტერვიუ.**

თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა პრობლემები იკვეთება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს და არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს?

- პირველი პრობლემა ჩემი აზრით და ყველაზე სწორად გამოკვეთილი არის, დაწესებულებათა დამოკიდებულება, მონიტორინგის პროცედურების მიმართ, დაწესებულებებს ხშირად აღქმული აქვთ რომ მონიტორინგი არის მათთვის არა გაუმჯობესებისთვის არამედ ეს არის მათი სადამსჯელო ღონისძიება.
- სიმართლე გითხრათ, ინსტიტუციის მხრიდან პრობლემები ხშირად არ გვხვდება , თუმცა შემიძლია გავიხსენო ერთ-ერთი მაგალითი, როდესაც დაწესებულებაში გვიწევდა წარმოსადგენი დოკუმენტაციას რამოდენიმეჯერ მოთხოვნა , იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება ცდილობდა თავი აერიდებინა დოკუმენტაციის წარმოდგენისათვის, რეალური მიზეზი გახლდათ შიში იმისა თუ, როგორ აღვიქვამდით დოკუმენტს დადებით თუ უარყოფით კონტექსტში, თუმცა რამოდენიმეჯერ განმეორებული მოთხოვნის შემდგომ დაწესებულებამ ვიზიტის დასასრულს შეძლო და წარმოადგინა დოკუმენტი რაც გახლდათ ექსპერტთათვის პრობლემა დროის ფაქტორის თვალსაზრისით.
- რა თქმა უნდა, დაწესებულებაში ვხვდებით პრობლემებს , მაგალითად დაწესებულებაში როცა იციან, რომ ისინი ელოდებიან მონიტორინგს თავის თავად ცხადია, რომ ემზადებიან ამისთვის, თუმცა ზუსტი თარიღი მათთვის უცნობია როდის შედგება ეს მონიტორინგი. აქ არის საკანონმდებლო შეზღუდვა უნდა გაუგზავნოს დაწესებულებას ექსპერტების შემადგენლობა, ისინი უნდა

გაეცნონ და ხომ არ აქვს რომელიმე ექსპერტის მიმართ ინტერესთა კონფლიქტი და უკან უნდა გამოგზავნონ პასუხი ცენტრისათვის, პროცედურას აქვს გარკვეული ვადები, რა დროშიც დაწესებულებას შეუძლია გარკვეული მანიპულაციები, თუნდაც განსაზღვრული ვადის მიწურულს გააკეთოს ექპერტის აცილების შესახებ განაცხადი, რაც ცენტრისათვის წარმოადგენს გარკვეულწილად პრობლემას დროის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა მსგავსი პრობლემები იკვეთება, აქვე გვაქვს პრობლემა დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ, დაწესებულებას ყოველთვის უჭირს, დამატებითი დოკუმენტაციის დროულად წარმოდგენა.

თუ შეგიძლიათ თქვენი მოსაზრება გაგვიზიაროთ, რა აზრის ხართ ავტორიზაციის თვითშეფასების ფორმაზე და რაიმე სახის ცვლილებას ხომ არ შეიტანდით მასში და რამდენად კომფორტულია თქვენთვის მუშაობის დროს?

- სიმართლე გითხრათ , თვითშეფასების ფორმა ვფიქრობ, საკმაოდ კარგად შემუშავებულია , ვინაიდან ის სტანდარტზე აგებულია, თვითშეფასებაზე მუშაობისას დისკომფორტი ნამდვილად არ მექმნება, ვინაიდან ჩვენ გვაქვს სახელმძღვანელო, რომელიც ჩვენი სამაგიდო დოკუმენტად არის ქცეული და სახელმძღვანელო იმდენად კარგად და დეტალიზებულად არის შექმნილი, რომ იგი პასუხობს ყველა კითხვას, რომელიც შეიძლება გაუჩნდეს ექსპერტს.
- თვით შეფასების ფორმა ნორმალურია და კარგია მე ასე მგონია იმიტომ, რომ ადრე არსებულთან შედარებით შეფასებების ნაწილში და ასევე ინფორმაციის მიწოდების ნაწილშიც ვფიქრობ, რომ თითქმის სრულყოფილია, ყოველ შემთხვევაში ჯერ ჯერობით რა გამოცდილებაც დაგვიგროვდა არ ვფიქრობ, რომ რაიმე ცვლილებების შეტანა არის აუცილებელი.

არაგეგმიურო მონიტორინგისას, დოკუმენტაციის შესასწავლად რამდენად საკმარისია მონიტორინგის ვიზიტისათვის განსაზღვრული დრო.

- მე რაც მახსოვს, ორი დღე გრძელდებოდა მონიტორინგი, რომელიც არ არის საკმარისი ნამდვილად იმისთვის, რომ სრულფასოვნად გაეცნო ყველა დოკუმენტს და შემდეგ მოპოვებული ინფორმაცია დასკვნაში ასახო. მითუმეტეს, როდესაც ექსპერტები აცნობენ მიგნებებს დაწესებულებას და სასურველია, რომ დასკვნაში არ აისახოს ისეთ ინფორმაცია, რაზეც ექსპერტებს არ უსაუბრიათ მიგნებების გამოცხადებისას.
- აუცილებლად უნდა ავღნიშნო, რომ ექსპერტები თითქმის ყოველთვის შემჭიდროვებულ ვადებში ვმუშაობთ, შესაბამისად, ვფიქრობ, საჭიროა ადექვატური დროის განსაზღვრა პრობლემატიკიდან გამომდინარე.
- დრო ყოველთვის არასაკმარისი იქნება და არც არის საკმარისი, თუ არ მოხდა პრობლემური საკითხის იდენტიფიცირება და შემდგომ დროის განსაზღვრა, თუ მკაცრად გვინდა, რომ იყოს დრო განსაზღვრული და მაგალითად უნდა ეწეროს , რომ ხუთი დღე მონიტორინგისათვის საკმარისი იყოს მაგრამ იმის გათვლით, რომ ის ათ დღეში მოხდება და დაგვიანდება. ეს დაგვიანების ფაქტორი უნდა იყოს გათვლილი ამ ვადაში.

რამდენად მიიჩნევთ მიზანშეწონილად, რომ გეგმიური მონიტორინგის დროს ინსტიტუციიდან გამოთხოვილ დოკუმენტაციას ახლდეს დაწესებულების მხრიდან თვითშეფასების ფორმაც.

- მონიტორინგის დროს თვით შეფასება არ იწერება, დაწესებულებამ თვითშეფასება არ უნდა მოამზადოს მხოლოდ იმისათვის რომ შეისწავლოს ექსპერტმა, ექსპერტი დოკუმენტაციას ითხოვს, დოკუმენტაციის შესასწავლად. შესაბამისად, არარის სავალდებულო ან/და საჭირო თვითშეფასების ფორმის წარმოდგენა.
- სიმართლე გითხრათ, არ ვიზიარებ დაწესებულებამ წარმოადგინოს თვითშეფასების ფორმა, თუმცა ძალიან ხელშემწყობი იქნება, როდესაც გამოთხოვილ დოკუმენტაციას თან ექნება დართული ფაილი სადაც აღწერილია თუ, რომელი დანართი, რომელ განსახილველ საკითხს შეესაბამება, ეს ძალიან

სასარგებლოა ექსპერტებისათვის, ექსპერტს ექნება მიწოდებული სრულფასოვანი და ლაკონური ინფორმაცია.

- მონიტორინგის დროს თვითშეფასების დოკუმენტს ვღებულობ და ვაფასებ კონკრეტულად იმ სტანდარტებზე დაწერილს, რომელიც უნივერსიტეტს ქონდა პრობლემურად. მე ესე ვფიქრობ, რომ ცუდი არ იქნება რომ უნივერსიტეტმა დაწეროს არა თვითშეფასების ანგარიში, არამედ დაწეროს დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული რა შეასრულა და რა ვერ შეასრულა.

რას ფიქრობთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებსა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რას შეცვლიდით მასში ან დაამატებდით სტანდარტებს.

- ვფიქრობ, ავტორიზაციის სტანდარტები, ძალიან გამჭვირვალედ და სრულფასოვნად არის გაწერილი და შესაბამისად გამჭვირვალე და სრულად აღსაქმელია შეფასების კრიტერიუმებიც , რომელიც მე პირადად კომფორტულ გარემოს მიქმნის სამუშაო პროცესისათვის.
- შვიდი სტანდარტი, რომელიც არის ავტორიზაციის, ამ შემთხვევაში ის სრულფასოვნად მოიცავს დაწესებულების საქმიანობას, როგორც ორგანიზაციულ სტრუქტურას, სტრატეგიას, მისიას, ხედვას, პროგრამებს, ადამიანურ რესურსებს, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს ანუ ეს სტანდარტები პრაქტიკულად იგივე არის რასაც ითვალისწინებს ევროპული სტანდარტი, ამიტომ რაიმე ცვლილებების აუცილებლობას მე ვერ ვხედავ.

საკმარისია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვროს 60 დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად თუ დაწესებულებაში ხარვეზი ეხება ავტორიზაციის ან აკრედიტაციის რამდენიმე სტანდარტის დარღვევას.

- ცალსახად შემიძლია ვთქვა, რომ არ არის საკმარისი , თუ ეს ეხება რეკომენდაციას, რომელიც საჭიროებს ტექნიკურ ჩასწორებას ვიტყვით, რომ საკმარისია 60 დღე

რეკომენდაციის შესასრულებლად, მაგრამ თუ დადგინდა ხარვეზი, მაგალითად მატერიალურ ტექნიკურ ბაზასთან მიმართებით, ასევე პერსონალის განვითარების ჭრილში, შეუძლებელია დაწესებულება 60 დღეში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა, ხშირ შემთხვევაში შედეგი არის ძალიან ფორმალური.

- ჩემი აზრი, სამოცი დღე სავსებით არა საკმარისია, იმიტომ, რომ სამოცი დღეში შესაძლოა სრულად ვერ ფარავდეს პრობლემის არს თუნდაც არასაკმარისი პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით, და ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ 60 დღეში მოვიძიოთ კვალიფიციური კადრები, რომელსაც ახალი მონიტორინგის ვიზიტის დროს პრობლემა არ ექნება და თან ვიზრუნოთ 60 დღეში პრობლემის აღმოფხვრის სისწრაფეზე? ასეთ შემთხვევაში 60 დღე ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს.

რას ფიქრობთ საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობის შესახებ ავტორიზაციის სტანდარტების შემოწმების დროს და რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ მონიტორინგის ვიზიტის დროს საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა.

- ვფიქრობ, რაც ნაკლებად იქნება მათი ჩართულობა იქ სადაც მათი ჩართვა საჭირო არ არის უკეთესია.
- ვფიქრობ, საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა მონიტორინგის ვიზიტის დროს არ იქნება მართებული, ვინაიდან საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა გაზრდის ხარჯებს დაწესებულების, ამავდროულად შესაძლოა ვიზიტის დროისათვის ვერ მოხერხდეს საერთაშორისო ექსპერტს მოწვევა დროის ფაქტორის გათვალისწინებით.
- არამგონია, რომ ასეთი საჭიროება იყოს. მონიტორინგის დროს ამას ცალსახად ვერ ვხედავ იმიტომ, რომ მონიტორინგები ხანდახან არის მოულოდნელი და ეს მონიტორინგი შეიძლება ეხებოდეს რაიმე კონკრეტულ საკითხს და საერთოდ ეჭვქვეშ არ უნდა დავაყენოთ ადგილობრივი ექსპერტების კვალიფიკაცია. დღეის

მდგომარეობით ჩვენ გვყავს ექსპერტთა ძლიერი კორპუსი, რომელიც თავისუფლად და ძალიან კვალიფიციურად გაუძღვება მონიტორინგის პროცესს.

არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით, რა აზრის ხართ რამდენად ადექვატური არგუმენტირებულ პოზიციაა დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი ხოლმე.

- უნდა ავღნიშნო, რომ მე ყოველთვის ვითვალისწინებ არგუმენტირებულ პოზიციას, თუმცა ჩემი კოლეგების აზრი ხშირად მომისმენია, რომ ექსპერტი არასოდეს არაფერს ცვლის და სვამენ კითხვას რატომ უნდა შევცვალოთ, თუმცა ვფიქრობ, რომ ექსპერტიც შესაძლოა შეცდეს, მაგრამ თუ დაწესებულებას შესაძლებლობა აქვს შესაძლებლობა დამატებით, კიდევ გაგვიზიაროს საკუთარი მოსაზრება, რატომაც არა არ შეიძლება მისი უგულებელყოფა, მაგრამ როდესაც დაწესებულება ვიზიტის დასრულების შემდგომ და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც შეიმუშავა რეკომენდაციის საფუძველზე და არგუმენტირებულ პოზიციაში მიუთითებს, რომ მან უკვე გამოასწორა რეკომენდაცია რაღათქმაუნდა აღნიშნულ გარემოებას ვერ გავითვალისწინებ და ამას დასკვნის პროექტში ყოველთვის ვაფიქსირებ ხოლმე , რომ დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ესა და ეს დოკუმენტაცია თუმცა არ ვიღებ მხედველობაში და არ განვიხილავ.
- დაწესებულებას აქვს საშუალება არგუმენტირებული პოზიციის იმ შემთხვევაში თუ ექსპერტის დასკვნა ან მიკერძოებულია ან არაპროფესიონალურია და არასწორად არის საკითხი განხილული. თავისთავად ცხადია დაწესებულებას უნდა ქონდეს ამისი განხილვის შესაძლებლობა და მისი მიწოდება საბჭოსთვის ანუ საბჭო ღებულობს, როგორც ექსპერტის დასკვნას ასევე დაწესებულების პოზიციას და მათ საშუალება აქვთ დაინახონ ვინ არის ამ შემთხვევაში ამ კამათში მართალი ექსპერტია მართალი თუ დაწესებულება.

საბჭოს თუ მიუღია რადიკალურად სხვა გადაწყვეტილება ექსპერტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებისგან და თუ მიუღიათ რა იყო ამის განმაპირობებელი ფაქტორი და რამდენად დასთანხმებულხართ საბჭოს გადაწყვეტილებას.

- რაღქმაუნდა მიუღია საბჭოს მსგავსი გადაწყვეტილება და ვფიქრობ, ეს ყოფილა მიკერძოებულობიდან გამომდინარე.
- ჩემს შემთხვევაში, აუცილებლად უნდა ავღნიშნო, რომ არაერთხელ მიუღია სხვა გადაწყვეტილება და ჩემს მიერ წარდგენილი გადაწყვეტილება შეუცლია, რაც სიმართლე გითხრათ, ძალიან არაკომპეტენტურია საბჭოს მხრიდან , მაშინ როდესაც მე მაქვს უფლება მოსილება შევისწავლო დოკუმენტაცია, ვიმყოფებოდე რამდენიმე დღით ვიზიტზე დაწესებულებაში, არაერთი ინტერვიურებიდან მიმიღია ძალიან ბევრ საკითხზე ინფორმაცია და სწორედ მის საფუძველზე ვწერ დასკვნის პროექტს, ამ დროს კი საბჭო ეჭქვეშ აყენებს ექსპერტის ობიექტურობას და ცვლის გადაწყვეტილებას, რაც ხშირ შემთხვევაში ექსპერტისათვისაც კი ბუნდოვანია, ეს არის ძალზეც შეურაცხმყოფელი როდესაც ექსპერტს უწევს საბჭოს წინაშე თავის მართლება და მტკიცება საკითხის ობიექტურობისა, ეს გახლავთ ექსპერტის ,,სადამსჯელო გილიოტინას'' თუმცა დასჯის მიზეზი უცნობია.
- სამწუხაროდ ყოფილა ასეთი შემთხვევები, როგორც ავტორიზაციის ისევე აკრედიტაციის დროსაც როდესაც საბჭო ცვლიდა ექსპერტების დასკვნას ან ამკაცრებდა მას რიგ შემთხვევაში ან პირიქით არბილებდა მაგრამ მანდ პრობლემა იყო ის, რომ საბჭოს არ ევალებოდა დაესაბუთებინა თავისი გადაწყვეტილება ანუ მაგალითად თუ არის ნაწილობრივად შესაბამისად შეფასებული და გადმოიტანა მეტ წილში არ ევალებოდა, რომ დაესაბუთებინა რატომ გააკეთა ან პირიქით, თუმა ბოლო პერიოდში ცენტრმა შეცვალა ეს მიდგომა, თუ საბჭო შეცვლის ექსპერტის შეფასებას მას მოუწევს არგუმენტაცია, დასაბუთება იმის, რომ რატომ უნდა შეცვალოს ეს აი ეს უკვე კარგია ამ შემთხვევაში საბჭო იძულებული იქნება უფრო ფრთხილად მოეკიდოს ასეთ გადაწყვეტილებებს.

როგორ ფიქრობთ საჭიროა თუ არა მონიტორინგის ვიზიტისას, რომელიც ხორციელდება მანამდე განხორციელებული მონიტორის შედეგების შესამოწმებლად ვიზიტში ჩართული გახლდეთ პირველი მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფიდან ერთ-ერთი ექსპერტი მაინც.

- აუცილებელი არარის თუმცა სასურველია, ვინაიდან მას აქვს ნათელი წარმოდგენა წინა ვიზიტის დროს, შესაბამისად გაგვიზიარებს დაწესებულების პროგრესის ან რეგრესის პროცესს.
- კარგი კითხვაა ძალიან, აუცილებლად არის საჭირო წინა ჯგუფიდან, ჯგუფის ერთი წევრი მაინც უნდა მონაწილეობდეს მეორე მონიტორინგის დროს, როცა მოწმდება, რამდენად შეასრულა დაწესებულებამ ის ხარვეზების რეკომენდაციები, რომელიც იყო გაცემული მონიტორინგის ჯგუფის მიერ. იმიტომ, რომ ძალიან ხშირად როცა შედის ახალი ჯგუფი ის შემდეგ წერს პრაქტიკულად ახალ რეკომენდაციებს რაც არ არის სწორი. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს სტრუქტურა ჩანს ცუდად და რეპუტაცია ელახება, შესაბამისად უმჯობესია რომ ყოველთვის იყოს ჩართული წინა ჯგუფიდან ვიღაც, რომელმაც იცის, რატომ დაიწერა ეს რეკომენდაციები, რასთან დაკავშირებით დაიწერა. მე როცა მიწევს ესეთ პროცესში მონაწილეობა ვუკავშირდები ხოლმე წინა ჯგუფის წევრებს და ვკითხულობ იმ დასკვნას რაც იყო დაწერილი დეტალურად ვეცნობი და თუ რამე საკითხები არის ამასთან დაკავშირებით ვუკავშირდები და ვიგებ ინფორმაციას იმიტომ რომ ყველაფერი დასკვნაში არ ჩანს იქ დასკვნა იწერება რაღაც ფაქტებზე დაყრდნობით მაგრამ იქ ბევრი რამე არ ჩანს და ამიტომ რა თქმა უნდა ჯობია რომ მონაწილეობდეს ვიღაცა წინა ჯგუფიდან.

როგორ ფიქრობთ, თუ გავითვალისწინებდით საერთაშორისო გამოცდილებას, რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა ცენტრთან ერთად არსებობდეს ასე ვთქვათ, გარე დამხმარე ორგანიზაცია „სააგენტოს სახით" რომელიც მონიტორინგის საქმიანობს

გაუძღვებოდა ცენტრთან ერთად „სააგენტო" რომელიც არ იქნებოდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში და ის იქნებოდა კერძო სტრუქტურა ინსტიტუციების ერთობლივი ძალისხმევით შექმნილი.

- ამ ეტაპზე შეუძლებლად მიმაჩნია სააგენტოს ჩართულობა, ვინაიდან ჩვენ ახლახანს დავიწყეთ ავტორიზაციის სტანდარტების შემოწმების მექანიზმების ამოქმედება და ვფიქრობ, თუ ეს პროცესი არ იქნება კარგად ცენტრაციზებული პროცესი. მე არ ვარ წინააღმდეგი ხარისხის ცენტრის ჩართულობა საბჭოსთან მიმართებითაც კი, ვინაიდან მე მხოლოდ და მხოლოდ დადებითად შემიძლია ცენტრის აქტივობებზე ვისაუბრო.
- აუცილებელიც კი არის მსგავსი სააგენტოების არსებობა, უბრალოდ ჩვენი ხელისუფლება ამაზე არ ფიქრობს, ანუ ინსტიტუციონალურად, ქვეყანა არ ვითარდება პირიქით უკან მიდის ამ კუთხით. პირველი რომ ცენტრი უნდა იყოს დამოუკიდებელი სტრუქტურა ეს არ უნდა ექვემდებარებოდეს განათლების სამინისტროს. მან უნდა მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, მეორე ქვეყანაში უნდა არსებობდეს კერძო სამართლის იურიდიული პირებიც და არა მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც ზუსტად იგივე საქმიანობას განახორციელებენ რასაც ცენტრი ახორციელებს, როგორც ეს არის ევროპის ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. როგორც არის ჩვეულებრივი აუდიტორიული კომპანიები რომლებიც ამოწმებენ სხვა კომპანიებს არაფერია ამაში განსაკუთრებული პირიქით ეს გამოიწვევს რომ იქნება ჯანსაღი კონკურენცია ამ სფეროში რაც გამოიწვევს განათლების ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებას. შემდეგ კერძო კომპანიები შეძლებენ უფრო აქტიურად ჩართონ ევროპული პარტნიორი ორგანიზაციები ან ამერიკული ცალკეული პროგრამების შემოწმებაში, ამიტომ ეს სივრცე უნდა გაიხსნას, რაც უფრო დიდხანს იქნება ჩაკეტილი ეს მით უფრო ცუდი იქნება , ერთის მხრივ საბიუჯეტო ხარჯები გაიზრდება ამით და მეორეს მხრივ განათლების ხარისხი ამით არ გაუმჯობესდება იმიტომ, რომ ცენტრს არ ყავს ამ შემთხვევაში კონკურენტი და როცა კონკურენტი

არ არსებობს და მონოპოლიური ორგანიზაციები არსებობენ იქ ყოველთვის არის პრობლემები. ამიტომ სრულიად ვიზიარებ იმას, რომ ცენტრი უნდა იყოს დამოუკიდებელი შემდეგ მან უნდა გასცეს ნებართვა იმ ორგანიზაციებისათვის , რომლებიც განახორციელებენ ამ პროცესს. უბრალოდ ისინიც განახორციელებენ იგივე საქმიანობას რასაც ცენტრი ახორციელებს. ეცდებიან მოიწვევენ ყველაზე კვალიფიციური ექსპერტები მოიწვიონ, ჩართონ უცხოელი ექსპერტები ამ შემოწმებებში და მაქსიმალურად ეცდებიან რო მათი დასკვნები იყოს ვალიდური, რომელსაც აღიარებენ საერთაშორისო ორგანიზაციები. კერძო ორგანიზაციები ამას უკეთესად გააკეთებენ ვიდრე ამას ცენტრი აკეთებს".

რამდენად ხშირია ტრენინგები დაწესებულებაში მონიტორინგის დროს აღმოჩენილი პრობლემატიკების შესახებ?

- ექსპერტებისათვის ხშირად იგეგმება ტრენინგები, თუმცა ვფიქრობ, მეტად სისტემური ხასიათი, რომ ჰქონდეს ტრენინგების ბევრად კარგი იქნებოდა. სამწუხაროდ პანდემიიდან გამომდინარე ტრენინგები კიდევ უფრო შესუსტდა.
- სიმართლე გითხრათ, ექსპერტებისთვის ხშირად იგეგმება ტრენინგები, თუმცა აუცილებლად უნდა ავღნიშნო ტრენინგში ძალიან იშვიათად რთავენ სტუდენტ ექსპერტს, რაც დამეთანხმებით ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს ბადებ? თუნდაც სტუდენტი ექსპერტის ჩართულობას ცენტრი აღიქვამს თუ არა ფორმალური ხასიათის ჩართულობად?

2. **შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის, შპს ევროპის უნივერსიტეტის, . საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის - დაწესებულებების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუ.**

როგორ ფიქრობთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალი სტანდარტები ადეკვატურია საქართველოს განათლების სისტემისთვის?

- ვფიქრობ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები წლების განმავლობაში ძალიან დაიხვეწა, ამჟამინდელ ავტორიზაციის სტანდარტებში წარმოუდგენლად ძალიან დიდი შრომაა ჩადებული ამჟამინდელ სტანდარტებში, მაგალითად თუ ძველი სტანდარტების დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს შეეძლო დამოუკიდებლად ემუშავა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გაწერაში დოკუმენტის დონეზე თუნდაც , დღეს უკვე დოკუმენტზე მუშაობა ითხოვს მთლიანი უნივერსიტეტის ჩართულობას, თუნდაც იმავე შეგვიძლია ვთქვათ ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშის შევსებასთან დაკავშირებით, თვითშეფასების ანგარიშის მომზადება არსი უნივერსიტეტის, როგორც ერთი ორგანიზმის გასაკეთებელი, გარდა ამისა თვითონ ცენტრის წარმომადგენლები გამუდმებით ცდილობენ გაგვიზიარონ ევროპული გამოცდილება.
- ახალი ავტორიზაციის სტანდარტების დანერგვის პროცესი, ძალზედ ღია და გაზიარებული პროცესი იყო ცენტრის მხრიდან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, დაახლოებით წელიწადნახევრის განმავლობაში ცენტრის მხრიდან იმართებოდა შეხვედრები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის და საკმაოდ დეტალიზებულად იყო გაზიარებული და განხილული ავტორიზაციის ახალის სტანდარტების და მექანიზმები, რომლის შესახებაც ცენტრმა მოისმინა და გაიზიარა დაწესებულების მხრიდან ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან დაკავშირებით შეფასებები და მოსაზრებები, ყველა უნივერსიტეტს ჰქონდა შესაძლებლობა დაეფიქსირებინა საკუთარი მოსაზრებები, რომელიც ვფიქრობ ცენტრის მხრიდან გარკვეულწილად იქნა გაზიარებული, შესაბამისად ვფიქრობ, მსჯელობით პროცესში საკმაოდ ადექვატურ რეალობამდე მივედით ახალ ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით.
- ახალი ავტორიზაციის სტანდარტების დანერგვის პროცესი რამდენიმე წელია მიმდინარეობს, ვფიქრობ, ჩვენ გავიარეთ არაერთი ციკლი ავტორიზაციის

პროცესისა, ეს გახლავთ ავტორიზაცია, რეავტორიზაცია თუ ავტორიზაციის სტანდარტების შემოწმების პროცედურები და ყოველივე განვლილმა დაადასტურა, რომ ახალია ავტორიზაციის სტანდარტები სავსებით ადექვატურია დღევანდელი საქართველოს განათლების სისტემისათვის თუ იმასაც გავითვალისწინებთ რომ დაწესებულებებმა შეძლეს ახალია სტანდარტების დანერგვა და სიღრმისეულად მასზე მუშაობა.

როგორ ფიქრობთ რა პერიოდია საჭირო იმისთვის რომ ევროპულ სტანდარტებს რეალურად მიუახლოვდეს ქართული?

- ეს გახლავთ ძლიან კომპლექსური საკითხი, რომელზე საუბარიც მარტივი არარის, არსებობს გარკვეული სახის პრობლემები, რომ ვიყოთ ევროპულ სივრცესთან ახლოს, მაგალითად თუ განვიხილავთ კვლევის საკითხს - მკვლევარს არ ეძლევა შესაძლებლობა სრულფასოვნად იკვლიოს საკვლევი საკითხში, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ მას უწევს დამატებით სხვა საქმიანობის შეთავსება და არასაკმარისი დრო აქვს კვლევით ნაწილში, ასევ ვთქვათ სახელმწიფო კვლევაში არ დებს ინვესტიციას პირიქით , კვლევის საკითხებში ნამდვილად არ აქვს სახელმწიფოსაგან ხელშეწყობა, სწორედ, რომ არის ასეთი კომპლექსური შემთხვევები , რომლებიც გვაშორებს ევროპულ ხარისხს თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ ქმედითი ნაბიჯებით, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო და მათ შორის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები თავისი ჩართულობით სულ მალე მივუახლოვდებით ევროპულ სტანდარტებს.
- ვფიქრობ, არსებული სტანდარტები, ევროპულ სტანდარტებთან გარკვეულწილად მიახლოებულია და ზოგადად რომ განვმარტო ვფიქრობ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ჰქონდათ საკმარისი დრო სტანდარტების დანერგვისა და გაზიარებისათვის თუმცა , რომ მოხდეს სრულად ევროპული სტანდარტების გაზიარება საჭიროა დაახლოებით 5 წელის, დრო რა პერიოდშიც სრულად დახვეწილი, გამჭვირვალე და გაზიარებული იქნება ევროპული

სტანდარტები საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საქართველოს განათლების სისტემისათვის.

- ვფიქრობ, გამიჭირდება კონკრეტული პერიოდის დასახელება თუ რა შეიძლება გაგვიჭირდეს , თუმცა უნდა აღინიშნოს , რომ ახალი სტანდარტების დამტკიცების შემდეგ უკვე ბევრად წინ წავიდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათ უკვე აქვს შესაძლებლობა სრულფასოვნად გაიზიარონ და იმუშაონ ევროპულ სტანდარტებთან მიმართები. ჩვენს დაწესებულებებს ჰქონდათ საკმარისი დრო პროცესში სრულფასოვნად ჩართულობისა, ვფიქრობთ, მომდევნო რეავტორიზაციისთვის სრულ თანხვედრაში იქნებიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ავტორიზაციის სტანდარტებთან .

რამდენად რეალურია ყველა სტანდარტის შესრულება? ხომ არ აწყდებით გარკვეული სახის პრობლემებს?

- ჩემი მოსაზრებით ვფიქრობ, რომ სტანდარტები შესრულებადია ,ვინაიდან მასზე მხოლოდ ხარისხის ცენტრს არ შეუმუშავებია , ის კომბინირებულად მუშაობდა სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ერთად და ითვალისწინებდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების არსს , საერთაშორისო ექსპერტების რჩევებს, ითვალისწინებდნენ არსებულ პრაქტიკას და მენტალობას, შესაბამისად შემიძლია ვთქვა რომ შესრულებადი არის თუმცა მარტივად შესრულებადი არარსი და ეს ასეც უნდა იყოს.
- დაწესებულებები, რომლებიც რეალურად იყვნენ ჩართული და სრულად ჰქონდათ გაზიარებული ავტორიზაციის სტანდარტები და ზრუნავდნენ და სამუშაო პროცესს ახორციელებდნენ შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, არ ვფიქრობ რომ რაიმე განსაკუთრებული პრობლემები შეიძლებოდა შექმნოდათ დაწესებულებებს.
- აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაწესებულებები გარკვეული გამოწვევები წინაშე ნამდვილად იდგენენ, როდესაც იგეგმებოდა ავტორიზაციის ახალი

სტანდარტების დანერგვა, ეს გახლათ თუნდაც მათი ფინანსურად შეზღუდული რესურსები , თუმცა დაწესებულებებმა დაძლიეს აღნიშნული პრობლემა, სწორი პოლიტიკითა და ძალიან დიდი შრომის და ძალისხმევის თანახმად, დღეს ვფიქრობ, რომ სტანდარტები შესრულებადი, შესაძლოა რთულად შესულებადი თუმცა სწორი პოლიტიკის დახმარებით შესრულებადი.

როგორ ფიქრობთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალი სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნები ძველ სტანდარტებთან შედარებით მეტისმეტად მკაცრი და რთულად შესასრულებელია? რა არის სტანდარტის დადებითი მხარეები.

- ახალი ავტორიზაციის სტანდარტები მკაცრი ნამდვილად არის, თუმცა ზედმეტად მკაცრი არ არის, კიდევ ერთხელ ავღნიშნავ, რომ შესრულებადია და ეს არის ის კომპონენტები, რომელიც დაწესებულებამ უნდა შეასრულოს, შედარებაც არ შეიძლება ძველ ავტორიზაციის სტანდარტებთან ვინაიდან ახალი ავტორიზაციის სტანდარტები ბევრად დახვეწილია და ამავდროულად გამკაცრებულიც, საჭიროებებიდან გამომდინარე, მისი დადებითი მხარეები ზუსტად ის არის, რომ ყველა იმ კომპონენტზეა ყურადღება გამახვილებული რომელიც სჭირდება დაწესებულებას.
- განსხვავება იცით რა არის , ძველ და ახალ სტანდარტებს შორის ის იყო, რომ რეალურად ახლა უფრო მეტად ორიენტირებულია დაწესებულებას შემუშავებული დოკუმენტებზე დაყრდნობით სამუშაო პროცესის მართვაზე ვიდრე, როგორც გახლდათ ძველი სტანდარტების დროს მხოლოდ დოკუმენტის შექმნაზე, შესაბამისად დაწესებულებებს ახალი სტანდარტების შესაბამისად მოუწიათ ბევრად მეტი შრომა ერთდროს გაწერილი დოკუმენტაციის დოკუმენტაციის ,,ამუშავებისა'' შესაბამისად უმეტესი დაწესებულებისათვის სწორედ ეს გახლდათ პრობლემა შესასრულებლად , თუმცა მინდა ავღნიშნო, რომ

ძველ სტანდარტებთან შედარებით ახალი სტანდარტების მოთხოვნები ბევრად გამკაცრებულია თუმცა ადექვატურად.

- ახალი სტანდარტები კი არ არის მეტისმეტად მკაცრი , არამედ ძველი სტანდარტები იყო მარტივი, როდესაც ვლაპარაკობთ ხარისხიან განათლებაზე, უნივერსიტეტზე და სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაზე დაწესებულებაში. მაშინ სწორედ, რომ საქმიანობაში თანაბრად უნდა ჩაერთოს და დღეს უკვე ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეული ახალ ავტორიზაციის სტანდარტებზე მუშაობისას, ერთიანად არის ჩართული დაწესებულება, როგორც ერთი მთლიანი მექანიზმი.

როგორ ფიქრობთ, თუ გავითვალისწინებდით საერთაშორისო გამოცდილებას, რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა ცენტრთან ერთად არსებობდეს ასე ვთქვათ, გარე დამხმარე ორგანიზაცია ,,სააგენტოს სახით" რომელიც მონიტორინგის საქმიანობს გაუძღვებოდა ცენტრთან ერთად ,,სააგენტო" რომელიც არ იქნებოდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში და ის იქნებოდა კერძო სტრუქტურა ინსტიტუციების ერთობლივი ძალისხმევით შექმნილი.

- თქვენს კითხვასთან დაკავშირებით, შემიძლია გითხრათ, რომ მე პირადად გავიზიარებდი ევროპულ გამოცდილებას და ვფიქრობ, შესაძლებელია არსებობდეს ასე ვთქვათ ,, სააგენტოები'', რომლებიც ჩართული იქნებიან ცენტრთან ერთად საქმიანობაში არ იქნება მხოლოდ ცენტრი, როგორც დომინანტი, რომელიც განსაზღვრავს და დასაწყისიდან დასრულებამდე გაუწევს კურირებას პროცესებს, თუმცა აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთმანეთს არ უნდა სცილდებოდეს საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების სურვილი და შესაძლებლობა განხორციელებისა ქართული რეალობიდან , მაგრამ ვფიქრობ, რომ ერთ დღეს რეალურად ამის საჭიროება დადგება და ჩვენ წავალთ აღნიშნული პრაქტიკის გაზიარებისაკენ.

- ვფიქრობ, აუცილებელია მსგავსი სახის ,,სააგენტოების'' არსებობა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში რათა დაწესებულებებს მიეცეთ ფართო სფეროში მუშაობის შესაძლებლობა და ფართო სფეროდან წამოსული შეფასებების გააზრებით და გაზიარებით უკეთესად დაგეგმონ და განახორციელონ თავიანთი საქმიანობის სფერო.
- ჩემი პირადი მოსაზრებისა და ჩემი გამოცდილების საფუძველში, შემიძლია ღიად გაგიზიაროთ მოსაზრება, რომ არ შეიძლება ცენტრი იყოს ერთადერთი ორგანო , რომელიც იქნება განათლების სექტორში დომინანტი ორგანო, რომელიც როგორც დაიწყებს პროცესებს საკუთარ ქუდქვეშ ასევე დაასრულებს პროცესებს საკუთარ ქუდქვეშ, ამ შემთხვევაში ძალიან გაგვიჭირდება მზარდი და განვითარებული ნაბიჯების გადადგმა საგანმანათლებლო საქმიანობაში.

თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა პრობლემები იკვეთება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს და არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს?

- ვფიქრობ, მთავარი პრობლემა არის, ხარისხის კულტურის არარსებობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში , რომ ხარისხის კულტურის დანერგვა და მასზე მუშაობა არარის მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქცია-მოვალეობა , პირიქით პროცესში უნდა იყოს ჩართული სრულად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული ადმინისტრაციული პერსონალი, ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა , რომელსაც მიჩვეულები არ ვიყავით დღემდე საქართველოში, შესაბამისად ვიზიტის დროს ეს პრობლემა ყოველთვის იჩენს ხოლმე თავსდა და იკვეთება შესაბამისი სტანდარტსა და ქვესტანდარტების მიმართულებით, თუმცა დღეის მდგომარეობით დაწესებულებებმა სრულად გაიზიარეს და გაიაზრეს რას ნიშნავს ხარისხის კულტურა.

- მტკიცებით ფორმაში შემიძლია გითხრათ, რომ მონიტორინგის მექანიზმები არ გაგვაჩნია, მონიტორინგის რეგულაციები და პროცედურები საკანონმდებლო დონეზე არის ძალიან ბუნდოვანი და არა ცხადი დაწესებულებებისათვის, თქვენ თუ სიღრმისეულად გაეცანით ავტორიზაციის დებულებას დაინახავდით, რომ არსებობს რეგულაციები და რეგულაციების ქუდქვეშ კიდევ დამატებითი რეგულაციები, რომელიც დაწესებულებისათვის არარის ცნობილი, გარდა დანერგილი პრაქტიკისა.
- სიმართლე გითხრათ, მონიტორინგის პროცედურებისას ძალზედ ბევრი კითხვა გვიჩნდება დაწესებულების წარმომადგენლებს, იმის გათვალისწინებით, რომ მონიტორინგის დროს როდესაც წარმოიშობა პრობლემა ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია პრობლემს მტკიცებულებაზე ,თუ რატომ აღიქმება საკითხი პრობლემად, შესაბამისად მონიტორინგის მექანიზმებთან დაკავშირებით შემიძლია გითხრათ რომ იგი პირდაპირ კავშირშია აღმოჩენილ პრობლემებთან , ვინაიდან დაწესებულებებს არ გვაქვს მტკიცებულებები იმ საკითხებთან დაკავშირებით რა გადაწყვეტილებებსაც ხშირად იღებენ ექსპერტები თუ საბჭო, ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ გადაწყვეტილება და არა გადაწყვეტილების მტკიცებულება საკანონდებლო დონეზე გაწერილი, რომელიც არ იქნება ზეპირსიტყვიერი დამკვიდრებული პრაქტიკა.

არაგეგმიურო მონიტორინგისას, დოკუმენტაციის შესასწავლად რამდენად საკმარისია მონიტორინგის ვიზიტისათვის განსაზღვრული დრო.

- ვფიქრობ მნიშვნელობა არ აქვს გეგმიური თუ არაგეგმიური ვიზიტი იქნება დაწესებულებაში, აქ მივდივართ იმ ფაქტორამდე რომ ცენტს უჭირს გამკლავება ზღვა დოკუმენტაციასთან და დროის ფაქტორი არის ის რაც ნამდვილად საჭიროებს გადახედვას და დახვეწას, გეგმიური ვიზიტის დროსაც კი ვფიქრობ, რომ ვიზიტისთვის განსაზღვრული დრო არარის საკმარისი, ყველივე ეს პროცესი იმდენად შემჭიდროვებულ ვადებში ხდება, თან პარალელურად თუ

გავითვალისწინებთ , რომ ექსპერტი რომელიც ახორციელებს ვიზიტს ის დასაქმებულია პარალელურად სხვა სამსახურში და შესაბამისად ვფიქრობ, ძალიან რთულია ზღვა მასალის სქელტანიან დოკუმენტაციას გაეცნოს ექსპერტი იმ შემჭიდროვებულ ვადებში რომელიც მას განსაზღვრული აქვს ხოლმე ცენტრისაგან, სწორედ ეს განაპირობებს ხოლმე იმ ფაქტს რომ ხშირად ექსერტები საკითხის არსში არ არიან ხოლმე სიღრმისეულად ჩასულები და ინტერვიურების დროს დაწესებულებას უწევს მტკიცებით ფორმაში საკითხის განხილვა , გამომდინარე აქედან ვფიქრობ, დროის ფაქტორი გადასახედია ცენტრის მხრიდან.

- არაგეგმიური მონიტორინგის დროს ხშირად საჭიროა სასწრაფო რეაგირება საკითხის მიმართ, რაც ხშირად გამოკვეთს გარემოებას, რომ უშუალოდ ვიზიტის დროს ვერ ესწრება დოკუმენტაციის სიღრმისეულად გაცნობა, შესაბამისად ვფიქრომ საჭიროა ცენტრის მხრიდან დროის ფაქტორის გადახედვა.

რამდენად მიიჩნევთ მიზანშეწონილად, რომ გეგმიური მონიტორინგის დროს ინსტიტუციიდან გამოთხოვილ დოკუმენტაციას ახლდეს დაწესებულების მხრიდან თვითშეფასების ფორმაც.

- ვფიქრობ, რომ უმჯობესია თვითშეფასების ფორმის დართვა დოკუმენტაციისათვის ვინაიდან, ლოგიკური იქნებოდა, გამომდინარე იქიდან რომ ავტორიზაციის ვიზიტის დროს თვითშეფასების ანგარიშიდან გამომდინარე აკეთებენ ექსპერტები აქცენტებს სტანდარტებთან მიმართებით და მათთვის ძირითადი დოკუმენტი რასაც ეცნობიან ეს არის თვითშეფასების ანგარიში, ამიტომ ვფიქრობ ლოგიკური იქნებოდა თვითშეფასების ანგარიშის დართვაც.
- ჩემი მოსაზრებით, რომ არ არის საჭირო, საკმარისია ცენტრს მიეწოდოს მოთხოვნილი დოკუმენტაცია და მიწოდებული დოკუმენტაციის

სრულფასოვნად შესწავლა მოხდეს, ეს იქნება დრის ფაქტორთან მიმართებითაც ბევრად ადექვატური და დაწესებულებისათვისაც ბევრად კომფორტული .

საკმარისია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვროს 60 დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად თუ დაწესებულებაში ხარვეზი ეხება ავტორიზაციის ან აკრედიტაციის რამდენიმე სტანდარტის დარღვევას.

- ზოგადად ვფიქრობ, რომ ვადების თემა არის ძალიან შეფასებითი, მაგალითად თუ ერთი სტანდარტის ქვესტანდარტის მიმართ გაქვს რეკომენდაცია დაწესებულებას გაწერილი მაშინ შესაძლებელი განსაზღვრული 60 დღე სრულად ადეკვატური და ჯანსაღი იყოს, მაგრამ თუ რამოდენიმე სტანდარტის მიხედვით აქვს დაწესებულებას რეკომენდაციები განსაზღვრული 60 დღე რეალურად იძებს ფორმალურ ხასიათს, ვფიქრობ ეს უნდა იყოს შეფასებითი პროცესი და უნდა არსებობდეს შეფასებისა და განსაზღვრის გარკვეული კრიტერიუმები , რომელიც არ იქნება ერთი კონკრეტული როგორც ეს 60 დღიანი ვადაა.
- ვფიქრობ, ხარვეზის გამოსასწორებელი ვადა განსაზღვრული უნდა იყოს გონივრულად განსაზღვრული ვადა თითოეული შემთხვევის დროს.

რას ფიქრობთ საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობის შესახებ ავტორიზაციის სტანდარტების შემოწმების დროს და რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ მონიტორინგის ვიზიტის დროს საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა.

- იცით რა შემიძლია გითხრათ, თვითონ საერთაშორისო ექსპერტთან დაკავშირებით მაქვს გაურკვევლობა, ვინაიდან ჩვენთან საერთაშორისო ექსპერტი აღქმულია როგორც უცხოელი სხვა ეროვნების და ქვეყნის წარმომადგენელი , სინამდვილეში საერთაშორისო ექსპერტი შეიძლება იყოს ადგილობრივი ექსპერტი რომელსაც აქვს საერთაშორისო ექსპერტის სტატუსი ,

ამდენად ჯერ თვითონ ავტორიზაციის სტანდარტებში საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობაზეა საუბარი ვფიქრობ, იქაც პრობლემაა ცოტა მეტი სიცხადე უნდა შევიდეს თუნდაც ჯგუფს ვინ უნდა უხელმძღვანელოს ეროვნებით უცხოელმა საერთაშორისო ექსპერტმა თუ ადგილობრივი ექსპერტმა, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს საერთაშორისო ექსპერტის სტატუსი აქაც ვფიქრობ, სიცხადეა შემოსატანი და უნდა მოხდეს იდენტიფიცირება, რაც შეეხება მონიტორინგის საკითხს ვერ ვხედავ ამაში კონკრეტულ ღირებულებას საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობისა, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა ვისწავლოთ პროცესების სიჯანსაღეზე ზრუნვა. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ექსპერტთა კორპუსი პროცედურები მექანიზმები და პროცესების მთელი სპექტრი ვაწარმოოთ ისე რომ მივიღოთ სამართლიანი გამჭვირვალე პროცესების შედეგად მიღებული ობიექტური შედეგი.

- მივესალმები საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობას, ავტორიზაციის პროცესში ვინაიდან საერთაშორისო ექსპერტ გარე ხედვიდან შეუძლია ასე ვთქვათ დააფიქსიროს თავისი მოსაზრება და იყოს ბევრად ჯანსაღი და ადექვატური თუმცა მონიტორინგის ვიზიტის დროს ვფიქრობ, ქართველი ექსპერტებიც სავსებით სრულფასოვნად ახორციელებენ მონიტორინგის ვიზიტის პროცესის განხორციელებას.
- ცალსახად მივესალმები საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობას მონიტორინგის ვიზიტის დროს ვინაიდან , აქ საუბარია ევროპული პრაქტიკის გაზიარებაზე, სხვა თვალით დანახულ სამუშაო პროცესზე, ხშირ შემთხვევაში ჩვენ დაწესებულებების განვითარებისაკენ წინ გადადგმულ ნაბიჯებს არ ვანიჭებთ გარკვეულწილად იმდენად დიდ მნიშვნელობას რომ დადებითად მივიჩნიოთ მათი საქმიანობა ვინაიდან ჩვენ ამ ყოველივეს მოვითხოვთ და ვფიქრობთ რომ უნდა იყოს აუცილებლად შესრულებადი თუმცა არ ხდება დაწესებულებების რესურსის სრულად შეფასება, საერთაშორისო ექსპერტი კი არის ჯგუფის ის წევრი რომელიც ყოველივე ამას უყურებს გარე დაკვირვებიდან

რომელიც პარალელურად ეცნობა დაწესებულების შიდა სამზარეულოს და ვფიქრობ რომ არ იქნებოდა დადებითი იქნებოდა საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა.

რას ფიქრობთ საბჭოების დამოკიდებულების შესახებ , მათი ჩართულობის შესახებ.

- ზოგადად საბჭოს მიმართ ბევრ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ უკამაყოფილების განცდა, პირველი არაის ალბათ მენტალური მომენტი, ,,ყველა ყველას იცნობს'' , ჩემი პირადი მოსაზრებით საბჭოს წევრი არ უნდა იყოს დასაქმებული სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ვფიქრობ ეს ფაქტორი გარკვეულწილად ქვეცნობიერ სუბიექტურ ფაქტორს აუცილებლად განაპირობებს, საბჭო უნდა იყოს დამოუკიდებელი ,,ორგანო'', საბჭოს წევრები იმ ვადით სანამ საბჭოს წევრები არიან არ უნდა იყვნენ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები.
- ვფიქრობ,საბჭოს არ უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება არგუმენტირებული გადაწყვეტილების გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება და შეცვალოს დასკვნის პროექტში წარმოდგენილი გადაწყვეტილება, დღემდე საბჭოს გადაწყვეტილებებს არ ახლდა დასაბუთება გადაწყვეტილების ცვლილებით, თუმცა ბოლო პერიოდში საჭიროა და საბჭოს უკვე მოეთხოვება საფუძვლიანი დასაბუთება.

არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით, რა აზრის ხართ თქვენს მიერ წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას თუ ითვალისწინებენ.

- ვფიქრობ, ექსპერტებს არგუმენტირებული პოზიცია აღქმული აქვთ, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიცია უნდა გააგზავნოს მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით , რასაც ასე არ ვუყურებ ვინაიდან ვფიქრობ რომ დაწესებულებას თუ აქვს არგუმენტირებული პოზიცია რეკომენდაციასთან დაკავშირებით ის აუცილებლად და მკაფიოდ უნდა

ჩამოაყალიბოს, თუმცა ხშირ შემთხვევაში აღნიშნულ გარემოებას ალბათ ექსპერტები იღებენ როგორც შეურაცხყოფას და არ ითვალისწინებენ ფაქტობრივი გარემოებების გარდა სხვა გარემოებების არსებობასაც.

როგორ ფიქრობთ საჭიროა თუ არა მონიტორინგის ვიზიტისას, რომელიც ხორციელდება მანამდე განხორციელებული მონიტორის შედეგების შესამოწმებლად ვიზიტში ჩართული გახლდეთ პირველი მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფიდან ერთ-ერთი ექსპერტი მაინც.

- აუცილებლად უნდა იღებდეს მონაწილეობას თუნდაც იმიტომ რომ ახალ მისულ გუნდს გადასცენ ინსტიტციური მახსოვრობა, როგორ და რა ფაქტორების გათვალისწინებით შეფასდა პროცესები რა იყო შედეგების განმაპირობებელი ფაქტორები და ახალ ჯგუფს აჩვენებს სწორ გზარ თუ დაწესებულებამ რა განვლო განვითარებისათვის რათქმაუნდა ეს მხოლოდ დადებითად წაადგება პროცესს.
- ცალსახად ვთვლი რომ საჭიროა, იყოს წარმოდგენილი ერთ-ერთი ექსპერტი მაინც ჯგუფში ვინაიდან ხშირად არის ხოლმე შემთხვევები, რომ დასკვნაში გაცემული რეკომენდაციები არის ბუნდოვანი, ვინაიდან შესაძლოა დაიბადოს კითხვები ექსპერტთა ჯგუფისაგან , რომელზე პასუხიც ასე დოკუმენტებში და აღწერით ნაწილში არარის მოცემული , თუმცა ექსპერტს არ აქვს ინსტიტუციური მახსოვრობა და მას შეუძლია უპასუხოს კითხვებს და ვფიქრობ ეს ბევრ პროცეს გაამარტივებ, ნათელს მოჰფენს და უფრო ჯანსაღი მიდგომაც იქნება.''

როგორ ფიქრობთ, თუ გავითვალისწინებდით საერთაშორისო გამოცდილებას, რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა ცენტრთან ერთად არსებობდეს ასე ვთქვათ, გარე დამხმარე ორგანიზაცია ,,სააგენტოს სახით" რომელიც მონიტორინგის საქმიანობს გაუძღვებოდა ცენტრთან ერთად ,,სააგენტო" რომელიც არ იქნებოდა სახელმწიფოს

დაქვემდებარებაში და ის იქნებოდა კერძო სტრუქტურა ინსტიტუციების ერთობლივი ძალისხმევით შექმნილი.

- ვფიქრობ, მიზანშეწონილია და კარგი პრაქტიკაც იქნება ქართულ საგანმანათლებლო სფეროში მსგავსი პრაქტიკის დანერგვა, თუმცა ერთია რამდენად მიზანშეწონილი შეიძლება იყოს პრაქტიკის დანერგვა მაგრამ მეორეა რამდენად შესრულებადია.
- მტკიცებით ფორმაში შემიძლია გითხრათ, რომ აუცილებელია ეგრეთ წოდებული სააგენტოების არსებობა, იმის გათვალისწინებით რომ არ შეიძლება ცენტრი იყოს საკუთარი თავის შემფასებელი, ჩემი პირადი მოსაზრების საფუძველზე ცენტრი იწყებს პროცესებს და ცენტრივე ასრულებს, რომელსაც თვითონვე ამოწმებს ეს გახლავთ ალოგიკური ქმედება.

3. **განათლები ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლ(ებ)თან ჩაღრმავებული ინტერვიუ.**

როგორ ფიქრობთ, რამდენად აღიარებულია მონიტორინგის მექანიზმები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან.

- მე როგორც ცენტრის თანამშრომლის სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვისაუბრო, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ცენტრის მხრიდან მაქსიმალურად აქვს სრული ინფორმაცია მიწოდებული მონიტორინგის პროცედურების შესახებ, ასევე ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია მათთვის გასაცნობად, გარდა ამისა ცენტრი ვმართავთ შეხვედრებ ძალიან აქტიურ რეჟიმში და თვით დაწესებულებებთან ერთად ხდება განხილვა შემუშავება, თუნდაც ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოსადგენი ანგარიშის ფორმისა, ამავდროულად მათ

თუ აქვთ საკითხის მიმართ, რაიმე ბუნდოვანება ან კითხვები შეუძლიათ ცენტრთან ჩანიშნონ კონსულტაცია და სრულად მიიღონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხების მიმართ, სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ დაწესებულებების მხრიდან აღიარებული და გააზრებულია მონიტორინგის მექანიზმები''.

- მონიტორინგი , გახლავთ რეგულაციაში ჩადებული მექანიზმი, მოგეხსენებათ გვაქვს გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგები შესაბამისად დაწესებულებებს გააზრებული აქვთ, რომ თუ მათ დაუდგათ მონიტორინგის საჭიროება, მონიტორინგი აუცილებლად უნდა განხორციელდეს მათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, დაწესებულება ერთვება მონიტორინგის პროცესში ნაკლებად ,,ენთუზიაზმით'' თუმცა იმ მოლოდინების საფუძვლად რისი მოლოდინებიც მათ აქვთ. ზოგიერთ დაწესებულებას დღემდე აქვს განცდა, რომ ჩვენ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ვახორციელებთ მათ წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებებს, თუმცა ამას ვერ ვიტყვით მას შემდეგ რაც მოხდა ახალი ავტორიზაციის სტანდარტების დანერგვა ეს მიდგომა გარკვეულწილად შეიცვალა და მე ხშირად მომისმენის დაწესებულებების წარმომადგენლების მხრიდან, რომ ელოდნენ ვიზიტის დროს სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელებას, თუმცა რეალურად აღმოჩნდა, ვიზიტი მათთვის განმავითარებელი პროცესი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მეტ-ნაკლებად უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მიიღეს ის გარემოება , რომ მონიტორინგი არა არის მათი დასჯის განმახორციელებელი ღინისძიება პირიქით ეს არის მათი განვითარებისათვის კიდევ ერთი ხელშემწყობი გარემოება, ამიტომ შეიძლება ვთქვათ რომ მეტ-ნაკლებად აღიარებულია მონიტორინგის მექანიზმები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან''.

მონიტორინგის ჩატარების შესახებ მოთხოვნები შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვადასხვა არხებით, მაგალითად, ცენტრისთვის სტუდენტთა მიმართვის გზით, ასეთ შემთხვევაზე მონიტორინგის ვადები, პირობები და ფარგლები რამდენად განსაზღვრულია დროში და რამდენად არის სრულად გამჭვირვალე.

- აღნიშნულ საკითხთან მიმართებით შემიძლია გითხრათ, რომ როდესაც ცენტრს მომართავენ განცხადებით, თუნდაც ეს იყოს სტუდენტის მხრიდან წარმოდგენილი საჩივარი, ცენტრი განიხილავს საჩივარს და მანამ სანამ უშუალოდ გადაწყდება მონიტორინგის ვიზიტის საჭიროება, ცენტრი აუცილებლად აცნობებს დაწესებულებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირების ინფორმაციას და მოითხოვს დაწესებულებიდან შესაბამის დოკუმენტაციას, რომლის განხილვაც აუცილებელია საჩივრის საფუძველზე, თუ აღნიშნული დოკუმენტაცია არ წარმოადგენ საკმარის გარემოებას საჩივრის შესასწავლად, და ცენტი მხედველობაში იღებს იმ გარემოებას , რომ საჭიროა დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება მხოლოდ ამის შემდგომ ხდება მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა და ვიწყებთ 90 დღიან ადმინისტრაციულ წარმოებას მონიტორინგის შესახებ, რეგულაციების საფუძველზე ვფიქრობ რომ მონიტორინგის ვადები, პირობები და ფარგლები განსაზღვრულია დროში და სრულად გამჭვირვალეა დაწესებულებისათვის.
- აღნიშნულ საკითხთან მიმართებით შემიძლია გითხრათ, რომ როდესაც ცენტრს მომართავენ განცხადებით, თუნდაც ეს იყოს სტუდენტის მხრიდან წარმოდგენილი საჩივარი, რომ დაწესებულებას აქვს რაიმე სახის დარღვევა ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით , აღნიშნული შემთხვევისათვის ცენტრს აქვს 30 დღიანი ადმინისტრაციული წარმოების ვადა, თუმცა 30 დღიან მონიტორინგის ვადაში არ ესწრება სრულად მონიტორინგი , მაგრამ მონიტორინგი არარის ერთ დღიანი, ერთ დღიანი შესაძლოა იყოს მონიტორინგის ვიზიტი დაწესებულებაში. ჩვენ განვიხილავთ საჩივარს/ განცხადებას, თუ იქნება საჭიროება განცხადების სრულად შესასწავლად

რათქმაუნდა ვაკეთებთ დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის ინიცირებას, ამავდროულად ვატყობინებთ ინფორმაციას დაწესებულებას და ვთხოვთ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენას თანდართული დოკუმენტაციის თანმხლებით, მას შემდგომ რაც, როგორც განმცხადებლისგან ასევე დაწესებულებიდან მივიღებთ შესასწავლ დოკუმენტაციას და გამოიკვეთება გარემოება მონიტორინგის ჩანიშვნისას, იწყება მონიტორინგის წარმოება, რომელიც არ გახლავთ რამოდენიმე დღიანი, მონიტორინგი გახლავთ 90 დღიანი, სწორედ ამ დროის განმავლობაში მიმდინარეობს დოკუმენტაციის შესწავლა, ადგილზე მონიტორინგის ვიზიტი, დასკვნის პროექტის მომზადება, შემდგომ დასკვნის პროექტის შესაგებებლას არგუმენტირებული პოზიცია , არგუმენტირებული პოზიციის შემდგომ კვლავ დასკვნის საბოლოო პროექტის წარმოდგენა და საბჭოზე გატანა, შესაბამისად ყოველივე ეს პროცედურა მოიცავს 90 დღეს თუმცა დაწესებულებაში უშუალოდ ვიზიტი განხორცელდეს ერთი დღე, თუმცა დოკუმენტაციის შესასწავლად ექსპერტებს დრო აქვს ვიზიტის განხორციელებამდეც და მას შემდგომაც დასკვნის პროექტზე მუშაობისას, რეგულაციების საფუძველზე ვფიქრობ რომ მონიტორინგის ვადები, პირობები და ფარგლები განსაზღრულია დროში და სრულად გამჭვირვალეა დაწესებულებისათვის.

რამდენად მიიჩნევთ მიზანშეწონილად, რომ გეგმიური მონიტორინგის დროს ინსტიტუციიდან გამოთხოვილ დოკუმენტაციას ახლდეს დაწესებულების მხრიდან თვითშეფასების ფორმაც.

- გეგმიური მონიტორინგის დროს დაწესებულება აგზავნის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ფორმისა, რაც სავსებით საკმარისია ექსპერტთა ჯგუფისათვის არსებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, შესაბამისად ვერ ვხედავ დამატებით თვითშეფასების ფორმის წარმოდგენა.''

- გეგმიური მონიტორინგი, შეიძლება წარმოებდეს კონკრეტული რეკომენდაციების შესრულების საფუძველზე, ამ შემთხვევაში მას უნდა ახლდეს ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ფორმისა, ამ შემთხვევაში ეს იქნება თვით შეფასების ფორმა თუ ზემოთ ნახსენები ანგარიშის ფორმა , შესაძლებელია თვითშეფასების ფორმის ნაცვლად დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტი თუ რა გზა განვლო ავტორიზაციის ვიზიტიდან მონიტორინგის ვიზიტამდე, ვფიქრობ, ეს ბევრად მიზანშეწონილი იქნებოდა და შესაძლებელია აუცილებელიც კი.

საკმარისია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვროს 60 დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად თუ დაწესებულებაში ხარვეზი ეხება ავტორიზაციის ან აკრედიტაციის რამდენიმე სტანდარტის დარღვევას.

- დაწესებულებას განესაზღვროს 60 დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად ეს გახლავთ საბჭოს პრეროგატივა, დაწესებულების მხრისათვის გაცემული რეკომენდაციების შინაარსის საფუძველზე, შესაბამისად თუ საბჭო მიიჩნევ, რომ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაციები შესრულებადია 60 დღეში, შესაძლოა ჩავთვალოთ რომ 60 დღე რეკომენდაციების შესასრულებლად ვალიდური დროა''
- ეს გახლავთ ძალიან კარგი კითხვა, ვინაიდან ამაზე ხშირად ვმსჯელობთ ხოლმე, თუმცა დაწესებულებას განესაზღვროს 60 დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად ეს გახლავთ საბჭოს პრეროგატივა, თუმცა საბჭომ ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ძალიან დიდი სიფრთხილით ვინაიდან ხშირ შემთხვევაში დღეში ნამდვილად ვერ ესწრება ყოველივე იმ რეკომენდაციის სრულფასოვნად გამოსწორება რასაც რეკომენდაციები გულისხმობს, 60 დღიანი ვადა დაწესებულებას მაშინ უნდა განესაზღვროს თუ გამოსასწორებელია ისეთი დეტალები და პროცედურული საკითხები, რომელიც 60 დღეში ადეკვატურად გამოსწორებადია, თუმცა თუ არის სიღრმისეული ხარვეზები რომლის გამოსწორების ობიექტური შესაძლებლობაც

არ არსებობს მაშინ საბჭომ უნდა იფიქროს გადაწყვეტილებაზე რამდენად ვალიდურია დაწესებულებას განუსაზღვროს 60 დღე და მოსთხოვოს რეკომენდაციების სრულყოფილად განხორციელება, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ 60 დღიანი ვადა ხშირად გვიჩვენებს პროგრესსაც ხოლმე თუ რა მდგომარეობაში იყო დაწესებულება მონიტორინგის ვიზიტამდე და რა გზა განვლო ხარვეზების გამოსასწორებლად, შესაძლოა ყველა ხარვეზი არ იყოს გამოსწორებული თუმცა იყოს ისეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგმული, რომ ექსპერტების მხრიდანაც და საბჭოს მხრიდანაც გადაწყვეტილება ყოფილა დადებითად შეფასებული.

როგორ განისაზღვრება არაგეგმიური მონიტორინგის დროს - საჩივრის შემოტანის შემდგომ, რომელი სტანდარტთან მიმართების უნდა შემოწმდეს დაწესებულება და ვინ განსაზღვრავს აღნიშნულ მიმართულებას.

- აღნიშნულ საკითხთან კავშირებით, გადაწყვეტილებას იღებს ცენტრი და მხოლოდ ამის შემდგომ ხდება ექსპერტთა ჯგუფის შექმნა.'' ,, - ,,აღნიშნულ საკითხს განსაზღვრავს ცენტრი საჩივრის საფუძველზე, ანუ საჩივარში აღწერილი გარემოებები რომელ სტანდარტთან მიმართებით დარღვევებს აღწერს, ამის შეფასება კი არა არის ძალიან რთული ვინაიდან სტანდარტები ძალიან დეტალიზებულია და არ არის რთული საჩივრის შინაარსი რომელი სტანდარტის რომელ კომპონენტებს მიესადაგება ხოლმე არარის რთული, თუმცა უშუალოდ ვიზიტის დროს დადგეს გარემოება რომ დარღვევები არის სხვა სტანდარტებთან მიმართებითაც, ამ შემთხვევაში უკვე ექსპერტები თავის გამოცდილებიდან გამომდინარე შეაფასონ დამატებით სტანდარტები, რომელშიც იკვეთება ხარვეზი''.

არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით, რა აზრის ხართ რამდენად ადექვატური არგუმენტირებულ პოზიციაა დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი ხოლმე.

- დებულების თანახმად, დაწესებულება ვალდებულია წარმოადგინოს არგუმენტირებული პოზიცია ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, თუმცა არის ხოლმე ძალზედ სქელტანიანი არგუმენტირებული პოზიციები ხოლმე დაწესებულების მხრიდან, რომელიც უკვე შინაარს ეხება და ხშირ შემთხვევაში ინფორმაცია ასახავს თვითშეფასებაში დაფიქსირებულ ინფორმაციასაც კი, შესაბამისად ვერ ვიტყვით რომ ყოველთვის ადექვატურია დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.''
- დაწესებულებებს ჩვენ ვთხოვთ ხოლმე დააფიქსირონ დამოკიდებულება - არგუმენტირებული პოზიცია ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით ხოლმე, თუმცა ხშირ შემთხვევაში დაწესებულებები აგზავნიან ხოლმე მთელ რიგ ახალ საავტორიზაციო დოკუმენტაციას ხოლმე და ამ დოკუმენტაციის განხილვა საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს და რთულია, თუმცა მიგვიღია არგუმენტირებული პოზიცია , რომელიც ზუსტად ასახავს მოთხოვნებს არგუმენტირებულ პოზიციასთან მიმართებით ხოლმე და ვიქრობ, ეს საკმაოდ კარგი შესაძლებლობაა სანამ საბოლოო დასკვნა მომზადდება ექსპერტთა მხრიდან დაწესებულებამაც წარმოადგინოს თავის პოზიცია პროცესთან მიმართებით .''

თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა პრობლემები იკვეთება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს და არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს?

- თუ შეიძლება რომ პრობლეად აღვიქვათ ეს შეიძლება იყოს დოკუმენტაციის წარმოდგენის სიფრთხილე დაწესებულების მხრიდან, მაგალითად არ სურთ ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენა ან რაიმე მსგავსი დოკუმენტაცია, ამავდროულად შეიძლება ინტერვიურებაზე იგრძნობოდეს რესპოდენტების

დაძაბულობა იმის თვალსაზრისით, რომ ექსპერტთა ყველა სიტყვას დაუკვირდეს და პროვოკაციისათვის გამოიყენოს საჭიროების შემთხვევაში, თუმცა არასოდეს არ ჰქონია მაშტაბური ხასიათი მხოლოდ მცირე ნიუანსები, რომელსაც არ გამოუწვევია ვიზიტის პროცესის არევა.''

მონიტორინგის ვიზიტის დროს რა გამოწვევები შეგხვედრიათ?

- მონიტორინგის წარმოება შეიძლება განსაზღვროს ძალიან ბევრმა ფაქტორმა, როგორც გეგმიური ასევე არაგეგმიური, შესაბამისად მე ვფიქრობ, რომ აუცილებელია ძალიან მკაცრად და კონკრეტულად გაიმიჯნოს თითოეული მონიტორინგის მიზნები და მონიტორინგის შეფასების კრიტერიუმები, კონკრეტული მონიტორინგის დროს რა ფასდება , რა არ ფასდება, რა გარემოებები უნდა იქნას შესწავლილი კონკრეტული მონიტორინგების დროს და რა გარემოებები შეიძლება დარჩეს ყურადღების მიღმა და რა გარემოებები არის ისეთი რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მონიტორინგი ეს არის ცოცხალი პროცესი და ამ პროცეს თავისთავად ჭირდება დაკვირვება და კვლევების წარმოება თუ რა პრობლემატიკა შეიძლება გამოიკვეთოს, რის შემდგომაც შესაძლოა შემუშავდეს მონიტორინგის მექანიზმების გეგმა და სამუშაო მექანიზმი, რომელიც ასე ვთქვათ მოაწესრიგებდა და ერთ ჩარჩოში მოაქცევდა ყველა სახის მონიტორინგის შეფასების მექანიზმებს და სწორედ რომ ზუსტად ეცოდინებოდათ დაწესებულებებსაც, რომელი სახის მონიტორინგის დროს რა მოეთხოვებოდა დაწესებულებას. ყოველივე ეს არსებობს რათქმაუნდა თუმცა ეს ყოველივე, რომ იყოს უფრო ნათელი, მკაფიო , გამჭვირვალე და სტრუქტურირებული, ორგანიზებული იქნებოდა ბევრად უფრო ეფექტური ჩემი აზრით.''

როგორ ფიქრობთ საჭიროა თუ არა მონიტორინგის ვიზიტისას, რომელიც ხორციელდება მანამდე განხორციელებული მონიტორის შედეგების შესამოწმებლად ვიზიტში ჩართული გახლდეთ პირველი მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფიდან ერთ-ერთი ექსპერტი მაინც.

- ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ ვიზიტში ჩართული გახლდეთ პირველი მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფიდან ერთ-ერთი ექსპერტი მაინც, თუმცა რეგულაციების გათვალისწინებთ მათი აუცილებლად ჩართულობის შესახებ ვალდებულება არ გვაქვს''.
- ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ , ხოლმე რომ მსგავსი პრაქტიკა გავითვალისწინოთ და დავგეგმოთ თუმცა ეს რეგულაციის საფუძველზე არარის გაწერილი, თუმცა ვფიქრობ მსგავსი პრაქტიკის დანერგვა კარგი იქნებოდა იმდენად რომ ექსპერტი ინსტიტუციურ მახსოვრობას გადასცემს ჯგუფს , მაგრამ არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც ვერ ხერხდება ხოლმე წინა ჯგუფიდან ერთ-ერთი ექსპერტის ჩართულობა მეორე ექსპერტთა ჯგუფში.''

როგორ ფიქრობთ, თუ გავითვალისწინებდით საერთაშორისო გამოცდილებას, რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა ცენტრთან ერთად არსებობდეს ასე ვთქვათ, გარე დამხმარე ორგანიზაცია ,,სააგენტოს სახით" რომელიც მონიტორინგის საქმიანობს გაუძღვებოდა ცენტრთან ერთად ,,სააგენტო" რომელიც არ იქნებოდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში და ის იქნებოდა კერძო სტრუქტურა ინსტიტუციების ერთობლივი ძალისხმევით შექმნილი.

- მე მოხარული ვიქნებოდი, თუ იარსებებდა ასეთი ,,სააგენტო'' და დაწესებულებები თუ შეძლებდნენ ერთმანეთთან ისე თანამშრომლობას, რომ ყოფილიყვნენ ამავდროულად ერთმანეთის შემფასებლები და შეფასებას ერთმანეთისაგან მიიღებდნენ ადეკვატურად და ობიექტურად და ისინი ზრუნავდნენ ერთმანეთის განვითარებაზე და არ იქნებოდა შეურაწმყოფელი, რომ ერთმა ინსტიტუციამ შეამოწმოს მეორე ინსტიტუცია, ეს არის არაჩვეულებივი შემთხვევა, რომელიც შეიძლება ყველამ ინატროს, და ვფიქრობ მსგავს შემთხვევაში თუ ეს იქნებოდა მიღწევადი ამას ცენტრი სავსებით დაუჭერდა მხარს, რათმქუნდა ეს არ ნიშნავს რომ ცენტრის შეფასება არ იქნება საჭირო და მისი არსებობა დადგება დღისწესრიგში, პირიქით ჩვენ რომ მივიდეთ არსებულ

კონდიციამდე ,,სააგენტოს'' არსებობისა ამისათვის საჭიროა მომზადებული საზოგადოება, ასევე აკადემიური საზოგადოება და ადმინისტრაციული პერსონალი და ამას ჭირდება გააზრება იმისა, რომ მონიტორინგის მექანიზმები არ არის სადამსჯელო ღონისძიებებს.''